

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

თამარ ჩოხარაძე

## სახელი სამხრულ კილოებში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მამია ფაღავა

ბათუმი 2017

## შინაარსი

შესავალი -----	3
1. თავი I. სამხრული კილოების საკითხი თანამედროვე ქართველოლოგიაში	
1.1 კლასიფიკაციის საკითხი -----	8
1.2 სამხრული კილოების შესწავლის მდგომარეობა-----	11
1.3. სამხრული დიალექტების გავრცელების თანამედროვე არეალი -----	20
1.3.1. აჭარული დიალექტი -----	21
1.3.2. კლარჯული დიალექტი -----	28
1.3.3. შავშური დიალექტი -----	35
1.3.4. ტაოური დიალექტი -----	40
1.4.5. ქართული ენის ცოდნის ხარისხი თურქეთის ქართველებში-----	42
თავი II. სახელის ფუძეთქმნადობა სამხრულ კილოებში	
2.1 სახელის ფუძეების ზოგიერთი თავისებურება-----	45
2.2 ზედსართავი სახელის და სიტყვათწარმოების ზოგიერთი თავისებურება--	51
2.2.1. მქონბლობის სახელები -----	51
2.2.2. უქონლობის სახელები -----	53
2.2.3. წარმომავლობის სახელები -----	53
2.3 რიცხვითი სახელის წარმოების ზოგიერთი თავისებურება -----	56
2.4. ნაცვალსახელი -----	58
თავი III. სახელის ბრუნვა, ბრუნვათა ფუნქციები და რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში	
3.1. სახელი -----	60
3.2. სახელთა ფუძე -----	62
3.3. ბრუნვის ნიშნები, ბრუნვათა თავისებურებები -----	66
3.4. ერგატიული კონსტრუქციისათვის სამხრულ კილოებში -----	83
3.5. თანდებულიანი ბრუნვები -----	87
3.6. ბრუნვათა ფუნქციები -----	97
3.7. რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში -----	104
3.8. ბრუნვის ძირითადი პარადიგმები-----	109
დასკვნები -----	122
გამოყენებული ლიტერატურა -----	130
დანართი -----	136

## შესავალი

სამხრეთი საქართველო მტკვრის ზემოწელთან ერთად მოიცავს ჭოროხის აუზის ცალკეულ რეგიონებს (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი...). სამხრული დიალექტების გავრცელების არეალი სწორედ დასახლებულ რეგიონებს შეადგენს.

ჭოროხის აუზი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართველ კაცს ბევრი უღვაწია ამ კუთხის დაწინაურებისა და აყვავებისათვის. მნახველს დღესაც აოცებს აქაური მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია: ოშკი, ბანა, იშხანი, ხახული, პარხალი, ოპიზა, ოთხთა ეკლესია, დოლისყანა... არტანუჯის, ართვინის, თორთომის... ციხეები. ხსენებული რეგიონი ძველად ქმნიდა რამდენიმე პროვინციას: აჭარას, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოსა და სპერს. საზღვრები ამ პროვინციებისა ზოგჯერ იცვლებოდა, მომიჯნავე ხეობები, ჟამთა ვითარების შესაბამისად, გადადიოდა ხელიდან ხელში. მაგრამ საზოგადოდ, კლარჯეთ-შავშეთი მოიცავდა ქვემო წელს აუზისა, შუა წელი ჭოროხისა - ოლთისით, თორთომით, პარხლით - ტაოდ იწოდებოდა; ხოლო ზედაწელი - ისპირად ანუ სპერად. უძველესი დროიდან მოყოლებული მთელი ეს ტერიტორია ქართული ტომებით იყო დასახლებული, შესაბამისად, ქართულენოვან სივრცეს წარმოადგენდა.

XVI საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს სამხრეთი პროვინციები ოსმალეთმა მიიტაცა, რასაც თან მოჰყვა აქაურთა იძულებითი გამაჰმადიანება. XIX-XX საუკუნეებში მუჰაჯირობის დიდმა ტალღამ გადაუარა სამხრეთ საქართველოს. ადგილობრივი მოსახლეობა აყარეს ძველი საცხოვრისიდან და ოსმალეთის შიგა პროვინციებში გადაასახლეს, სადაც მათ ჩამოაყალიბეს ახალი დასახლებები კუთხეების მიხედვით. მუჰაჯირთა რამდენიმე თაობა ადგილობრივი თურქული მოსახლეობისაგან იზოლირებულად ცხოვრობდა, შესაბამისად, ინახავდა ქართულ ენასა და ადათ-წესებს. დრომ თავისი გაიტანა. გადასახლებულებიც ჩაერთვნენ ქვეყნის სამეურნეო

საქმიანობაში, შვილები სკოლებში შეიყვანეს... თანდათან დაიწყო ასიმილაციის „ძნელი და დამთრგუნველი პროცესი“ (ნ. მარი), ქართული ენა დროთა განმავლობაში საოჯახო ურთიერთობის ენად იქცა, ხშირად აქედანაც გამოდევნა თურქულმა, - სახელმწიფო ენამ. ბევრ სოფელში საერთოდ დაივიწყეს წინაპართა ენა, ქართული ადათ-წესები და ეთნოგრაფიული ყოფა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვალოდ არ გამქრალა, - დაილექა ახალ კულტურაში.

ჭოროხის „ქვეყნების“ თანამედროვე ვითარების შესწავლაც ცხადყოფს, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, მიუხედავად ამისა აქ ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე რეგიონი თავისი მეტყველებით, ეთნოგრაფიული ყოფით, ფოლკლორით...

ქართული ენა იყოფა ტერიტორიულ დიალექტებად: ხევსურული, თუშური, ფაშაური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ქართლური, კახური, მესხურ-ჯავახური, იგივე: სამცხურ-ჯავახური, რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული, აჭარული. რამდენიმე დიალექტი თანამედროვე საქართველოს ფარგლებს გარეთაა: ინგილოური (აზერბაიჯანში), კლარჯული, შავშური და ტაოური (თურქეთში) და ფერედნული (ირანში, მე-17 საუკუნეში ძალდატანებით გადასახლებულ ქართველთა მეტყველება).

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს სამხრული კილოები, მათი გავრცელების გეოგრაფია და შესწავლის მდგომარეობა. ნაშრომის მიზანია, სამხრულ კილოებში სახელის თავისებურებათა ანალიზი.

სამხრული კილოების გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის აუზია, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაშია და ძირითადად, ართვინის პროვინციის ტერიტორიას შეადგენს. ქართულ ენაზე მეტყველებენ შავშეთის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში (იმერხევში, უსტამისსა და ჩიხისხევში), ნიგალში - ჭოროხის ხეობაში მარადიდიდან ართვინამდე (მურღულის ხეობითურთ); ზედა მაჭახლის (მაჭახლის ხეობის თურქული ნაწილის) ექვს სოფელში, ტაოში - პარხლისწყლის აუზის რამდენიმე სოფელში. აჭარასთან (და საქართველოს სხვა რეგიონებში შიდა მიგრაციის შედეგად დაფუძნებულ ზოგიერთ სოფელთან) ერთად სწორედ დასახლებული

ტერიტორია შეადგენს სამხრული დიალექტების გავრცელების არეალს ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

გარდა აღნიშნულისა, სამხრული დიალექტების გავრცელების არეალია თურქეთის მარმარილოსა და შავი ზღვის რეგიონების ის დასახლებები, რომლებშიც აჭარიდან, კლარჯეთიდან, შავშეთიდან, ტაოდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

ისტორიულმა რეალობამ წარუშლელი კვალი დატოვა ჭოროხის აუზის მოსახლეობის ყოფაზე. ისტორიულ-კულტურული მეხსიერება ინახავს არაერთი ისტორიული ეპოქის ტრაგიკულ თუ საამაყო ნიშანს. ეს ნიშნები ვლინდება როგორც მატერიალურ კულტურაში, ასევე ადათ-წესებში, ლეგენდებსა და თქმულებებში, ტოპონიმებში, ქართულ მეტყველებში და ენადაკარგულ ქართველთა თურქული მეტყველების ქართულ ლექსიკაშიც კი... თანამედროვე მოსახლეობაში ამ ინფორმაციის შეგროვება და სისტემაში მოყვანა მრავალმხრივ სურათს ხატავს რეგიონის წარსული თუ ამჟამინდელი ყოფის შესახებ და, ამასთან, არაერთ პრობლემას წარმოაჩენს თვალსაჩინოდ. ამდენად, კულტურათა უთანასწორო დიალოგის შედეგები, ისტორიული ქართული პროვინციების თანამედროვე ვითარება განაპირობებს უკანასკნელ წლებში წარმოებული კვლევების აქტუალობას.

წარმოდგენილი ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ მონოგრაფიულად არის შესწავლილი სახელის თავისებურებანი სამხრულ დიალექტებში. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ კვლევისას გამოყენებულია არა მხოლოდ უშუალოდ სამხრეთ საქართველოში ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტები, არამედ მუჰაჯირთა შთამომავლებთან შეგროვებული მასალებიც. ვიყენებთ, ძირითადად ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის მასალას, აგრეთვე - ჩვენ მიერ ექსპედიციების დროს ჭოროხის აუზსა თუ მუჰაჯირთა შთამომავლებთან - ორდუს, სამსუნის, ქოჯაელის, საქარიას, იალოვას... პროვინციებში ჩაწერილ ტექსტებს. ამდენად, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსულია დიდი მოცულობის მასალა, რაც ამავდროულად, განაპირობებს ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

რაც შეეხება კვლევისთვის გამოყენებულ მეთოდებს, აღვნიშნავ, რომ დიალექტოლოგიური მასალების ჩაწერა ხდებოდა როგორც ხელით, ასევე ელექტრონულ ფორმატში, რაც ჩაწერილი მასალების შემოწმებისა და ელექტრონული არქივის შექმნის შესაძლებლობას გვამძლევდა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ძირითადად გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდი, რაც, უპირველესად, გულისხმობდა საკვლევ რეგიონში სავლესე საქმიანობას და წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით ფოლკლორული, დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალების ჩაწერას. სავლესე-შემკვრებლობითი მუშაობა ჩატარდა ართვინის პროვინციის როგორც ქართულენოვან ხეობებსა და სოფლებში, ასევე, თურქეთის შიდა რეგიონებში, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში. ინფორმატორები შეირჩნენ ასაკისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ინტერვიუები ხორციელდებოდა ინდივიდუალურად, იშვიათ შემთხვევაში - ჯგუფური მეთოდით, გამოიყენებოდა თავისუფალი საუბრის მეთოდიც.

სავლესე მუშაობის პარალელურად შევისწავლეთ სათანადო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ბუნებრივია ისიც, რომ ნაშრომის საფუძველია უკანასკნელი წლების საენათმეცნიერო კვლევების შედეგები. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კომპლექსურ მონოგრაფიებს „შავშეთი“ (2011 წ.) და „კლარჯეთი“ (2016 წ.), ასევე მ. ფაღავას, შ. ფუტყარაძის, მ. ცინცაძის, მ. ბარამიძის, ნ. ცეცხლაძის, ნ. ფარტენაძის, მ. ხახუტაიშვილისა და სხვათა ნაშრომებს, რომლებიც, არსებითად, სამხრული დიალექტების კვლევის ახალ ეტაპს წარმოადგენს.

ნაშრომი შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნებისგან, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. პირველ თავში სამი პარაგრაფია, მეორეში - ოთხი, მესამეში კი რვა. დისერტაციაში განხილულია სამხრული დიალექტების გავრცელების არეალი საქართველოსა და თურქეთში, სამხრული კილოების კლასიფიკაციის საკითხები, სახელთა თავისებურებანი სამხრულ დიალექტებში, როგორც ჭოროხის აუზის ქართული მოსახლეობის, ასევე ქართველ

მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მაგალითზე. ფართოდაა განხილული ისეთი საკითხები, როგორცაა სახელის ბრუნება, ბრუნვათა ფუნქციები და რიცხვის წარმოება. ბრუნების ძირითადი პარადიგმები. გამოყენებულია ბევრი ახალი მასალა, რომლებიც მოპოვებულია როგორც ჭოროხის აუზის, ასევე თურქეთის შიდა პროვინციების ქართულენოვან დასახლებებში. კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ქართული ენის ისტორიის, დიალექტოლოგიის, ქართული ლექსიკოლოგიის... რიგი საკითხების სწავლებისა და კვლევებისთვის.

# თავი I. სამხრული კილოების საკითხი თანამედროვე ქართველოლოგიაში

## 1.1. კლასიფიკაციის საკითხი

ბოლო წლებში ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შეინიშნება მცდელობა დიალექტთა არსებული კლასიფიკაციის გადასინჯვისა. განსაკუთრებით ეს შეეხება სწორედ თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მეტყველებას. ახალი თვალსაზრისების გაჩენას აქვს ობიექტური საფუძველი: გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ისტორიული საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის, ჭოროხის ხეობის ქართველთა მეტყველების ადგილზე შესწავლა. გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი, მათ შორის - მონოგრაფიები. ბუნებრივია, ჩვენს კვლევებში სწორედ ამ სამეცნიერო ბაზას ვეყრდნობით. უპირველესად კი ყურადღებას გავამახვილებთ სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის ორ თვალსაზრისზე.

პროფ. შუმანა ფუტკარაძის აზრით, „ტაო-კლარჯულ ქართულში გამოიყოფა რამდენიმე დიალექტური ერთეული, როგორცაა **იმერხეული** (ისტორიული შავშური – ავტ.), **ლივანური**, **მაჭახლური** და **ტაოს ქართული**. მათ შორის ექცევა **აჭარულიც** (ფუტკარაძე, 1995: 38) ავტორი მიმოიხილავს მუჭაჯირთა მეტყველებას, მაგრამ მას არ უწოდებს დიალექტს. აღნიშნავს, რომ მუჭაჯირთა მეტყველებას „შენარჩუნებული აქვს 100-150 წლის წინანდელი აჭარული დიალექტის იერსახე“ ავტორი ტაო-კლარჯულში ხუთი დიალექტის გამოყოფისათვის ასეთ საფუძველს ხედავს: „ამ დიალექტების განმსაზღვრელი ენობრივი ნიშნები ემთხვევა ეთნიკურ ნიშანს. კერძოდ: იმერხეული იმერხეელებს შორის იმერხევეშია გავრცელებული; ლივანური - ლივანაში, მაჭახლური - მაჭახელში, ტაოს ქართული - ტაოში...“ (ფუტკარაძე, 1995: 41).

ამდენად, ეს არის ერთი ვარიანტი სამხრეთ საქართველოს ქართულის დიალექტური დაყოფისა:

1. იმერხეული;
2. ლივანური;



3. მაჭახლური
4. ტაოს ქართული;
5. აჭარული
6. (მუჰაჯირთა ქართული).

განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობს პროფესორი მ. ფაღავა. მისი აზრით, სამხრულ მეტყველებაში ოთხი დიალექტი უნდა გამოიყოს:

1. აჭარული (კილოკავებით ზემოაჭარული, ქვემოაჭარული, ქობულეთური);
2. შავშური (კილოკავებით მაჭახლური და იმერხეული);
3. კლარჯული;
4. ტაოური.

გამომდინარე იქედან, რომ მუჰაჯირებმა ახალ საბინადროში თან წაიღეს სწორედ მშობლიური რეგიონის დიალექტი, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას იგი სამხრული მეტყველების (სამხრული დიალექტების) შესასწავლ დამატებით მასალად მიიჩნევს (ფაღავა, 2004; 2015. შდრ. გოგოლაშვილი, 2016:15).

საკითხის ისტორიის სისრულისთვის აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ ქართველურ ენათმეცნიერებაში არის განსხვავებული შეხედულებებიც, კერძოდ:

I. აჭარულსა და იმერხეულს უწოდებენ ქართული ენის დიალექტთა სამხრულ-დასავლურ ჯგუფს (არ. მარტიროსოვი, შ. ფუტკარაძე, ტ. ფუტკარაძე).

შევნიშნავთ ასევე, რომ პროფ. ტარიელ ფუტკარაძე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა მეტყველებას უწოდებს „მესხურ კილოებს“ და გამოყოფს შემდეგ დიალექტებს: აჭარული, სამცხური, ჯავახური, იმერხეული (შავშური), ტაოური, მაჭახლური, ლივანური.

ბ. ჯორბენაძე სამხრეთ-დასავლურ კილოკავებად მიიჩნევს მესხურსა და ჯავახურს, რამდენადაც ისინი გავრცელებული არიან აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, ხოლო გურულს, აჭარულსა და იმერხეულს უწოდებს დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტებს (ჯორბენაძე 1989: 12)

ის ფაქტი, რომ ქართულ დიალექტოლოგიაში არ არის ერთგვარობა სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით,

ბუნებრივიცაა: სხვადასხვა ავტორი განსხვავებულ მონაცემებზე დაყრდნობით სხვადასხვა პრინციპით ახდენს კლასიფიკაციას.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ ვეყრდნობით პროფ. მ. ფაღავასეულ კლასიფიკაციას. როგორც აღვნიშნეთ, სამხრული მეტყველების ინტენსიური შესწავლის საფუძველზე, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, მ. ფაღავამ ასეთი ვარიანტი შემოგვთავაზა:

1. აჭარული კილო // აჭარული დიალექტი კილოკავებით: ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური.
2. შავშური კილო // შავშური დიალექტი კილოკავებით: იმერხეული, მაჭახლური.
3. კლარჯული კილო // კლარჯული დიალექტი კილოკავებით: ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული (ლივანური).
4. ტაოური კილო // ტაოური დიალექტი.

აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც სამხრულ დიალექტებს//სამხრულ კილოებს ან სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ (ფაღავა, 2013; შდრ. გოგოლაშვილი, 2016).

აჭარული, კლარჯული, შავშური და ტაოური ერთმანეთთან ახლოს დგანან, გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, მათ ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც, ისინი ქმნიან ერთმანეთთან ახლოს მდგომ ქართული ენის დიალექტთა სამხრულ ჯგუფს (ფაღავა, 2002), ისტორიულ სამხრულ მეტყველებას (მიძიგური 1975. იხ. ნიჟარაძე 1975, რედაქტორის წინასიტყვაობა).

უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ ტერმინი – სამხრული კილოები უფრო მოხერხებულიცაა და რეალობის ამსახველიც (მ. ფაღავა, 2005).

ამდენად, ვითვალისწინებთ რა საკითხის კვლევის ისტორიას და არსებულ თვალსაზრისებს, წარმოდგენილ ნაშრომში სამხრულ კილოებს//სამხრულ მეტყველებას (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე) ვუწოდებთ აჭარულს, შავშურს, კლარჯულს, ტაოურს.

რაც შეეხება მუჰაჯირთა მეტყველებას - აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველება ტიპური აჭარულია, შავშელებისა - შავშური, კლარჯებისა - კლარჯული და ა.შ. მუჰაჯირებს შენარჩუნებული აქვთ წინაპართა რეგიონების მკვიდრთა მეტყველებისათვის

დამახასიათებელი აქცენტიც, ეს მეტყველება თავისუფალია სალიტერატურო ქართულის გავლენისაგან, უფრო მეტიც, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებამ შეინახა სამშობლო რეგიონების ბევრი ის თავისებურება, რომელიც ახასიათებდა საუკუნე-ნახევრის წინ და რომელიც „დაივიწყა“ აჭარულმა აჭარაში. კალრჯულმა კლარჯეთში, შავშურმა შავშეთში და ა.შ. ამდენად, მუჰაჯირთა მეტყველება საყურადღებოა ენის ისტორიისთვისაც.

და ბოლოს, როდესაც სამხრულ დიალექტებს ვიკვლევთ, აღარაა საკმარისი დღევანდელი ჭოროხის აუზის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვება, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაც (შრომები, 2016:112).

## 1.2 სამხრული კილოების შესწავლის მდგომარეობა

სამხრული კილოების კვლევას საფუძველი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაეყარა.

ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი) პირველი კვლევები დაკავშირებულია ორი ცნობილი ქართველი მოგზაურის - დიმიტრი ბაქრაძისა და გიორგი ყაზბეგის სახელებთან. ისინი ჩვენთვის საინტერესო რაიონებში ოსმალთა ბატონობის დროს მოგზაურობდნენ.

დ. ბაქრაძემ 1873 წელს, რუსეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის მივლინებით, გურიაში, ქობულეთსა და აჭარაში იმოგზაურა. მოგზაური აკვირდებოდა აჭარელთა ყოფას, ტრადიციებს, მეტყველებას. მკვლევარი ცდილობდა, დამატებითი ნიშნების გამოყენებით რუსული ანბანით რაც შეიძლება მეტი სიზუსტით ჩაეწერა ქართული სიტყვები. იგი კარგად ხედავს სხვაობას ქართლ-კახურ, იმერულ, გურულ, ქობულეთურ და აჭარულ მეტყველებას შორის და მოაქვს შესაბამისი მასალა. შეიძლება ითქვას, სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ და ენათმეცნიერულ შესწავლას დ. ბაქრაძემ ჩაუყარა საფუძველი.

1874 წელს „თურქეთის საქართველოში“ იმოგზაურა გ. ყაზბეგმა და გამოაქვეყნა წიგნი „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ (იხ. ყაზბეგი, 1995). მკვლევარმა მოიარა ზემო აჭარა, შავშეთი, არტანუჯი, ლივანა, ლაზეთი. გ. ყაზბეგი ინტერესით აკვირდება მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი კუთხეების მკვიდრთა ცხოვრებას, საუბრობს ქართული ენის მდგომარეობაზე.

დ. ბაქრაძის მოგზაურობის ძირითადი მიზანი აჭარისა და მასთან ერთად, გურიის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა იყო (ბაქრაძე, 1987), გ. ყაზბეგის მოგზაურობა კი უფრო სამხედრო სტრატეგიულ და სტატისტიკურ გამოკვლევას ისახავდა მიზნად. მიუხედავად სიძნელებისა, გ. ყაზბეგმა შეძლო შეეკრიბა არა მხოლოდ სამხედრო-სტატისტიკური, ტოპოგრაფიული და სტრატეგიული მნიშვნელობის ცნობები, არამედ მეცნიერებისათვის მეტად ღირებული მასალებიც, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვანი წყაროა სამხრეთ საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოლოგიის საკითხების საკვლევად.

გ. ყაზბეგის როგორც გეოგრაფისა და ისტორიკოსის დამსახურებაა, რომ დ. ბაქრაძესთან ერთად თავისი პუბლიკაციებით პირველად გააცნო იმდროინდელ ევროპას აჭარა და „თურქეთის საქართველოს“ სხვა კუთხეები, რომლებიც მისივე დახასიათებით, მაშინდელ რუკებზე ან სულ არა, ან ზოგადად იყო აღნიშნული. წიგნის „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ამ მხარეში ჩვენს მიერ ნახული მრავალი კუთხის შესახებ ევროპამ არაფერი იცის, სხვათა შესახებ კი მხოლოდ სტრაბონის და არიანეს მონათხრობებს იმეორებს. გეოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა აღიაროს, რომ თურქეთის საქართველოს ზოგიერთი ნაწილის შესახებ, მაგალითად, შავშეთის ან მთიანი ლაზისტანის შესახებ, უფრო ცოტა იცის, ვიდრე შიდა აფრიკაზე“ (ყაზბეგი, 1960:79).

გ. ყაზბეგი და დ. ბაქრაძე პირველი ქართველი ისტორიკოსები იყვნენ, რომლებმაც ოსმალთა ბატონობაში მყოფი აჭარის, შავშეთის, ლივანას, ლაზეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსული, მატერიალური კულტურის ძეგლები აღწერეს და მეცნიერულად შეისწავლეს. საინტერესოა აგრეთვე მათი კომენტარები რეგიონში

ენობრივი სიტუაციის შესახებ. მათი ნაშრომების შემდეგ, ქართველთა ცოდნა მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

აჭარული კილოს შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით თ. სახოკიას ჩანაწერებში. მოგზაური ბევრ საინტერესო ამბავს იგონებს. იგი წერს, რომ აჭარლებმა სთხოვეს დაკვირვებოდა და აზრი გამოეთქვა „მეტყველების ხასიათზე“. თ. სახოკიაც აკვირდება, ზოგჯერ უჭირს აჭარელთა „ნათქვამის გაგება“, მაგრამ კარგად რომ „დუყუყურადებს“, პრობლემაც აღმოიფხვრება ხოლმე.

სამუსლიმანო საქართველოს შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო ზ. ჭიჭინაძემ. მან მრავალგზის იმოგზაურა ამ კუთხეში. მის ჩანაწერებში სხვა საკითხებთან ერთად მკითხველი იპოვის სამხრული კილოების მასალებს. ზ. ჭიჭინაძემ შემოიარა და აღწერა ქობულეთი, აჭარა, მაჭახელი, ლივანა, შავშეთი, მურღული... მოგზაური მიუთითებს, თუ რომელი სოფლებშია შემონახული ქართული და რომელში - არა. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი, მან XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ფეხით დაიარა აქაური სოფლები და მრავალი უნიკალური ჩანაწერი დაგვიტოვა. სამართლიანად წერდა აპოლონ წულაძე: „საქართველოს სხვა დიდებული და ნასწავლი პირები თუ მხოლოდ წერდნენ გრძნობიერ წერილებს და სხვებს მოუხმობდნენ, დაეხმარეთ, გაანათლეთ და დაიახლოვეთ ქართველი მუსლიმანებიო, ეს პატარა კაცი მარტო წერას და სიტყვას არ ჯერდებოდა. ის პირდაპირ საქმესაც აკეთებდა, მან რამდენჯერმე თავის ფეხით მოიარა აჭარა-ქობულეთი, პირადად გაეცნო ხოჯებსა და სხვა გავლენიან პირებს, პირისპირ ძმურად ელაპარაკა ყველას... ბლომად დაარიგა ქართული წიგნები და ანბანი, აღწერა ყველა სოფელი, გაეცნო ძველ ისტორიას. თავისი წერილი დააბეჭდვინა გაზეთში და მერე, რამდენიმე სქელტანიანი წიგნი, მის მიერ დაწერილი, დააბეჭდვინა. ერთი სიტყვით, ზაქარიას შრომა და ღვაწლი შეუფასებელია“ (წულაძე, 1991:42).

ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესახებ ცნობებს ვხვდებით ნ. სოლნიშკინის, ნ. მარის და სხვათა შრომებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. მარის „დღიურები“, რომელშიც შეტანილია ე.წ. იმერხეული მეტყველების ნიმუშები და ტოპონიმიკური მასალა. მან 1904 წელს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ სავანეთა ძიების მიზნით იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში. შავშეთში იგი არდაჰანიდან

შევიდა. მოიარა უპირველესად შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროს სოფლები და ნორგიალის გზით გადავიდა კლარჯეთში.

100 წელზე მეტი გავიდა ნიკო მარის „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურების“ გამოსვლიდან. გამოცემიდან თითქმის 80 წელი წიგნი იყო ერთ-ერთი ყველაზე სანდო წყარო ისტორიული შავშეთისა და კლარჯეთის ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და მეტყველების შესასწავლად. დღეს, როდესაც ინტენსიურად მიმდინარეობს ჭოროხის „ქვეყნების“ კვლევა, დიდია „დღიურების“ მეცნიერული, ისტორიული და, გნებავთ, პრაქტიკული მნიშვნელობა. თუნდაც იმიტომ, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან, 1904 წლიდან, როდესაც ნ. მარმა მოაწყო ცნობილი ექსპედიცია, ბევრი რამ შეიცვალა შავშეთსა და კლარჯეთში: დავიწყებას მიეცა მრავალი ფოლკლორული ნიმუში, ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტები, პირისაგან მიწისა აღიგავა ქართული მატერიალური კულტურის ბევრი ძეგლი, ზოგადად შორს წავიდა მხარის ასიმილაციის საქმე... სხვაგვარად, რაც ნახა ნ. მარმა, ვერ პოულობს თანამედროვე მკვლევარი. ასე რომ, გამოცემიდან დღემდე ფასი მოიმატა, თორემ არაფერი დაკლებია „დღიურებს“ (ფაღავა, 2012:5).

შემდეგი ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილმა მოაწყო 1917 წელს. მისმა ექსპედიციებმა და გამოკვლევებმა უდიდესი წვლილი შეიტანა ამ ვრცელი რეგიონის შესწავლის საქმეში.

პირველი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ცნობები სამხრეთ საქართველოს შესახებ სწორედ ზემოხსენებულ ავტორთა ნაშრომებში გვხვდება. ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ თურქეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მყარი ელემენტი აღმოჩნდა ენა, მაგრამ ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წყობის დამყარებას, მოსახლეობის გამაჰმადიანებას მაინც მოჰყვა ქართული ენის ჯერ შესუსტება, შემდგომში კი, სამუსლიმანო საქართველოს არაერთ რეგიონში, საერთოდ დაკარგვა. დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით, „ისლამის მიღებიდან თუ მესამე თაობა წინაპართა ენის სიწმინდეს ინახავდა, მეოთხე თაობა მერყეობდა და მშობლიური ენის წიაღში უხვად უშვებდა უცხო ენის ნაკადს. მეხუთე თაობა უკვე ფიქრობდა და აზროვნებდა ძალით თავმოხვეულ ენაზე და მშობლიურ ენას მხოლოდ შინაურობაშიღა

ხმარობდა. ასე თაობათა სიღრმეში, უცხო რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური გარემოს გავლენით, დავიწყებას ეძლეოდა მესხეთის ქართველთა შორის ქართული ენა“. „ისლამის ბრალია, - შენიშნავდა დ. ბაქრაძე, - რომ ქართული ენა სულ ერთიან დათრგუნულია, ხოლო ზოგან სრულიადაც გაქრა თურქეთის საქართველოში, სადაც მაჰმადის რელიგია ადრე დამკვიდრდა“ (ბაქრაძე, 1987:73). მოგვიანებით იგივე ავტორი უფრო ფართოდ ეხება მექართულე გურჯების თემას: „ქართული ენა სრულიად ხელშეუხებელი დარჩა იმერხევის ზემო ნაწილებში და ყვირალას-წყლის ხეობაში, რომელიც შეადგენს შავშეთის ჩრდილოეთ ნაწილს; ე. ი. დარჩა იმ ადგილებში, რომელთაც მისვლა-მოსვლა ჰქონდათ აჭარასთან; ის ადარ ისმის შავშეთის დასავლეთის ნაწილში (ბაქრაძე, 1887:3).

XX საუკუნეს საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში დადგენილი საზღვრებით შეხვდა, ანუ სამხრეთ საქართველოს ქართული ტერიტორიების დიდი ნაწილი, საქართველოს შემადგენლობაში იყო და საფრთხეც თითქოს არსაიდან ჩანდა, სანამ პირველი მსოფლიო ომის ქარიშხალი არ ამოვარდა. ომის დასკვნით ეტაპზე, 1918 წლის 3 მარტს, ბოლშევიკურმა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატული ზავი დადო. ბოლშევიკებს თავიანთი გაჭირვებოდან, მაგრამ ეს ზავი მწარედ შეეხო საქართველოს: გერმანიის მოკავშირეთაგან ერთ-ერთმა, ოსმალეთმა, რუსეთისგან მიიღო უკვე კარგა ხნის წინ გამოტირებული ტერიტორიები – ბათუმის, ყარსისა და არტანის ოლქები. ამათ გარდა, ოსმალეთმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიც მიიტაცა და საქართველოს მთელი ისტორიული მესხეთი ჩამოსცილდა.

გასაბჭოების შემდეგ ვითარება კვლავ უარესობისკენ შეიცვალა. მართალია, 1921 წ. 25 თებერვლის შემდეგ ბოლშევიკური მმართველობა დამყარდა და ფაქტობრივად, ქვეყანა ისევ რუსეთის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. მოსკოვის მოლაპარაკებაზე თურქეთმა სწორედ რუსეთის წინაშე დააყენა საქართველო-თურქეთის საზღვრის დემარკაციის საკითხი, რაც აისახა კიდევ საბოლოო დოკუმენტში. ქართული მიწა-წყლის თურქეთისადმი გადაცემა მოსკოვში გადაწყდა, ხოლო მოგვიანებით, 1921 წ. 13 ოქტომბერს, ისევ და ისევ რუსეთის შუამდგომლობით, ქართულმა მხარემ მიიღო ეს

წინადადება ყარსში - ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და თურქეთს შორის ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულების გაფორმებისას. ეს შეთანხმება, ფაქტობრივად, გამოხატავდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს და გაგრძელება იყო იმ პოლიტიკისა, რასაც წითელი რუსეთი აწარმოებდა თურქეთის მიმართ. ყველაზე ტრაგიკული კი, რაც ამ შეთანხმებამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა, იყო ის, რომ საქართველომ საბოლოოდ უარი თქვა თავის ისტორიულ ტერიტორიებზე - კოლაზე, არტაანზე, შავშეთზე, კლარჯეთზე, ტაოზე, სპერზე, ჯავახეთისა და მაჭახლის ნაწილზე.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, თითქმის 70 წელი, XX საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველ მკვლევარს თურქეთის ქართულ პროვინციებში ფეხი არ დაუდგამს. სამხრული მეტყველებისა და სამხრეთ საქართველოს შესახებ მეცნიერები მსჯელობდნენ იმ ჩანაწერებითა და ცნობებით, ძველი თაობის მკვლევრებმა რომ დაგვიტოვეს. ქართულ ენათმეცნიერებაში აღიარებული იყო, რომ თურქეთის საქართველოს მკვიდრთა მეტყველება არის ერთიანი და მას ერთნი იმერხეულ კილოს უწოდებდნენ, მეორენი – იმერხეულთან ერთად კლარჯულს. ე. წ. იმერხეულ თუ კლარჯულ კილოზე საუბრობდნენ იმ მცირე მასალაზე დაყრდნობით, გასული საუკუნის დასაწყისში რომ ჩაიწერა და გამოაქვეყნა ნიკო მარმა, თუმცა რეალობა სულ სხვაა. დღეისათვის, როცა სამხრული მეტყველება შევიწროვებულია თურქული ენისაგან, როცა ბევრ ისტორიულ ქართულ პროვინციაში დავიწყებიათ ქართული, კიდევ არის გადარჩენილი რაღაც ნაწილი, „ნამსხვრევები“ ოდესღაც ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებული მეტყველებისა, რომლის ანალიზი შეგვაძლებინებს სამხრული მეტყველების ისტორიული პროფილის დადგენას.

აქვე უნდა მივუთითოთ პროფ. მერი ცინცაძეს ნაშრომის - „კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი“ (ცინცაძე, 1954) - შესახებ, არსებითად, ესაა პირველი კვალიფიციური ნაშრომი, რომელიც კლარჯულ კილოს ეხება. კლარჯულის მასალები კი, ჩაწერილი იმავე ავტორის მიერ 1950-1951 წლებში, გამოქვეყნდა თითქმის 50 წლის შემდეგ, 1998 წელს (იხ. ქესს, VIII, 1998). ქართული დიალექტოლოგიის ტრადიციით კირნათ-მარადიდის მეტყველება აჭარული კილოს ქვემოაჭარული კილოკავის ნაწილად მიიჩნის, თუმცა ორ სოფელში შეკრებილი მასალებიც



გვიჩვენებდა, რომ საქმე გვექონდა სტრუქტურულად აჭარულისაგან განსხვავებულ მეტყველებასთან (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2016, 176).

XX საუკუნის 90–იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ჭოროხის ქვეყნებში სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა, ზოგჯერ ინდივიდუალური გასვლები, შედეგად მოპოვებულ იქნა საყურადღებო ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალები. დაიწყო სამხრული მეტყველების, ზოგადად სამხრეთ საქართველოს, ინტენსიური კვლევა. დაიწერა პირველი გამოკვლევები, გამოითქვა მრავალი მოსაზრება, ურთიერთგამომრიცხავიც.

პირველმა პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ იმოგზაურა რამდენიმეგზის თურქეთის რესპუბლიკაში, ჩაიწერა იქ მცხოვრებ ქართველთა მეტყველების ნიმუშები და გამოაქვეყნა ცალკე წიგნად (იხ. ფუტკარაძე 1993; ფუტკარაძე 2016), რომელმაც დიდი ინტერესი აღძრა.

მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომელსაც გვაწვდის შუშანა ფუტკარაძე წიგნში „ჩვენებურების ქართული“, სრულ წარმოდგენას გვიქმნის სამხრულ მეტყველებაზე. საშუალება გვძლევს შევადაროთ იგი მომიჯნავე კილოებს. ზემოთ უკვე შევხეთ სამხრული დიალექტების კლასიფიკაციის საკითხს, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით ამ თემაზე. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს განახლებული კვლევები წარმატებით გაგრძელდა საქართველოს არაერთ სამეცნიერო ცენტრში, მათ შორის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული დარგობრივი ლექსიკის (განსაკუთრებით აჭარულის) შესწავლაში. აღსანიშნავია მ. ქამადაძის, ალ. მსხალაძის, ნ. ნოლაიდელის, ნ. სურმაჯას, ნ. ცეცხლაძის, ი. სიხარულიძის, თ. კუკულაძის, ნ. ახვლედიანისა და სხვათა ნაკვლევები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო პერიოდში ქართულის კვალზე თურქულ ენაში დაინტერესდნენ თურქი მეცნიერებიც. 1991 წელს ბათუმისა და სამსუნის უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე თურგუთ აჩარმა წაიკითხა მოხსენება: „სია იმ ქართული სიტყვებისა, რომლებიც არსებობს ართვინის მეტყველებაში“. მკვლევარი ცდილობს, ართვინულ თურქულში ფონეტიკურ და

ლექსიკურ დონეზე გამოავლინოს ქართული ელემენტი. მისი შენიშვნით, არა მარტო თურქულმა ენამ მოახდინა გავლენა ქართულზე, არამედ, პირიქით, ქართულმაც იქონია გავლენა თურქულზე.

თუმცა, თურქი მკვლევრები ხშირად სცოდავენ ობიექტურობის თვალსაზრისით, მრავალთაგან ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თევფიკ ათასელიმის „გამოკვლევა“, რომლის ერთი თავი საქართველოს ეძღვნება. „მკვლევარი“ გულმოდგინედ ცდილობს გაარკვიოს, ვინ არიან ქართველები და „ისტორიულ-ეტიმოლოგიური წიაღსვლებით“ ამტკიცებს, რომ ისინი თურქული მოდგმის ხალხიაო. თავის ამ მოსაზრებას „ამყარებს“ ქართული ტოპონიმების თუ ეთნიკური სახელების მისეული ეტიმოლოგიებით, რომელთაც თურქულად მიიჩნევს... ასეთი ტიპის ნაშრომები თურქულ ისტორიოგრაფიაში სხვაც არაერთია. მათზე პასუხის გაცემა აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოსა და ქართული ენის არამცოდნე თუ ცუდად მცოდნე თურქეთში მცხოვრებ ქართველს თევფიკ ათასელიმისა და სხვათა „მეცნიერული“ მსჯელობანი ჭეშმარიტება არ ეგონოს (ფაღავა, 2004:12).

აჭარულსა და საერთოდ, სამხრულ კილოებში კიდევ ბევრია საკვლევი. ჯერ კიდევ 1961 წელს ვ. თოფურია აჭარულის შესახებ წერდა: „როგორც ჩანს, აჭარულის კილოკავებად კლასიფიკაციისათვის მასალები საკმარისი არ არის. საჭიროა ამ ახლო მომავალში ამ საინტერესო დიალექტის სოფელ-სოფელ შესწავლა.... მთავარი მაინც ახლო მომავალშია გასაკეთებელი. აუცილებელია აჭარულ-იმერხეულ-მესხურ ჯავახურის ურთიერთმიმართების შესწავლა“. მეცნიერის ეს მოსაზრება ყველა სამხრულ დიალექტზე შეიძლება გავავრცელოთ. მართალია, 1961 წლის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, გამოქვეყნდა გამოკვლევები აჭარულისა და სამხრული დიალექტების შესახებ, მაგრამ წინ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი (ფაღავა, ცინცაძე 1998:5).

2000 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ (შემდეგ „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ 2004 წ., შემდეგ „ქართველოლოგიის ინსტიტუტი“ 2009 წ; ახლა ქართველოლოგიის ცენტრი), რომლის

კვლევის მთავარ პრიორიტეტად გამოიკვეთა „ჭოროხის ქვეყნებისა“ და ლაზეთის კვლევა. ცენტრთან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია (ხელმძღვანელი, პროფესორი მამია ფაღავა), რომელმაც მოაწყო ექსპედიციები ზემოაჭარის სოფლებში, კლარჯეთში, შავშეთში, ტაოში, ლაზეთში, მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში თურქეთის რესპუბლიკის შიგა პროვინციებში... დღემდე მოეწყო ოცზე მეტი დიდი თუ მცირე ექსპედიცია, დაგროვდა მნიშვნელოვანი მასალები და ცოდნა ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესახებ. 2011 წელს გამოიცა კომპლექსური მონოგრაფია „შავშეთი“, ხოლო 2016 წელს - კომპლექსური მონოგრაფია „კლარჯეთი“; ასევე, „შავშური ჩანაწერები“ (ფაღავა, 2011; 2013), „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“ (ფაღავა, 2016), „ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში“ წიგნი პირველი (მარმარილოს ზღვის რეგიონი) (ჩოხარაძე 2016) და სხ. დაისტამბა ათეულობით სტატია, ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებზე წაკითხული იქნა მრავალი მოხსენება... ბათუმელ მკვლევართა კვლევები დარგის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

როგორც აღვნიშნეთ, დიალექტური მასალებისა და ისტორიული რეალობის გათვალისწინებით თანამედროვე მკვლევრები სამხრულ მეტყველებაში გამოყოფენ რამდენიმე დიალექტურ ერთეულს, კერძოდ: შავშურს, კლარჯულს, ტაოურს, და აჭარულს. სამხრული კილოების ყველაზე კარგად გადარჩენილი მოწმეა აჭარული, მასთან ერთად შავშური და კლარჯულიც. ისინი ტაოურთან ერთად ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელთაც ახასიათებთ საერთო ფონეტიკური და გრამატიკული გარდაქმნები და მათი შესწავლა კომპლექსურად, ერთ კონტექსტში უნდა მოხდეს. სამხრული მეტყველების შესწავლისას ამოსავლად აჭარულის მახასიათებელი ნიშნები უნდა ავიღოთ.

### 1.3. სამხრული დიალექტების გავრცელების თანამედროვე არეალი

ყველა სამხრული დიალექტი დღემდე არსებული, ცოცხალი დიალექტებია. ამ დიალექტებზე მეტყველი აჭარლები, შავშები, კლარჯები, ტაოელები ცხოვრობენ როგორც ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე - ერთი მხრივ - საქართველოს რესპუბლიკაში (აჭარასა და, მასთან, ქვეყნის სხვა რეგიონებში - შიგა მიგრაციების შედეგად), მეორე მხრივ - თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ ქართულ ტერიტორიებზე - შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში; ასევე, თურქეთის შიდა რაიონებში (ქართველები თურქეთის არაერთ პროვინციაში ცხოვრობენ, მეტადრე, ქალაქებში, მაგრამ კომპაქტური დასახლებები თავმოყრილია მარმარილოს და შავი ზღვის რეგიონში). ეს უკანასკნელნი არიან ა) მუჰაჯირობის პროცესში გადასახლებულთა შთამომავლები; ბ) თურქეთის შიდა მიგრაციების შედეგად გადასახლებულები (შავშეთიდან, კლარჯეთიდან და ტაოდან. აგრეთვე, მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებიდან).

ქვემოთ შევეცდებით წარმოვადგინოთ უფრო კონკრეტული ინფორმაცია თურქეთის რესპუბლიკაში არსებული ქართული დასახლებების შესახებ ერთგვარი „დიალექტური მოზაიკის“ შესაბამისად. აღვნიშნავთ, რომ მონაცემთა სისტემატიზაციისას ვეყრდნობით ერთი მხრივ ერთი მხრივ, უახლეს კვლევებს და თანამედროვე ავტორების - პროფ. მამია ფალავას (ფალავა: 2011 (II) ფალავა: 2016); პროფ. შ. ფუტკარაძის (ფუტკარაძე 1993, ფუტკარაძე 2016); პროფ. მ. ჩოხარაძის (ჩოხარაძე 2016 - I; ჩოხარაძე 2016 - II; ჩოხარაძე, 2015), - ნაშრომებს, ასევე ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევართა კოლექტიურ მონოგრაფიებს (შავშეთი, 2011; კლარჯეთი, 2016); მეორე მხრივ, ჩვენსავე ჩანაწერებს, კერძოდ, მასალებს ექსპედიციებისა, რომლებშიც ვღებულობდი მონაწილეობას ზემოხსენებული ცენტრის მკვლევრებთან ერთად (მხედველობაში მაქვს ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციები თურქეთის რესპუბლიკაში, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ პროვინციებში, საგრანტო პროექტის - მუჰაჯირობის (გადასახლების) ისტორია და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში *(საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა დასახლებებისა და ყოფის კვლევის პროგრამა)* - ფარგლებში: 2014 წელს

– ბურსის, ბალიქესირის, დუზჯეს და სინოპის პროვინციებში; 2013 წელს – ქოჯაელის, საქარიას, ბურსის და დუზჯეს პროვინციებში; 2012 წელს – ორდუსა და სამსუნის პროვინციებში).

აქვე შევნიშნავთ, სულ თურქეთში მუჰაჯირთა შთამომავლების ოთხასზე მეტი სოფელია. ქართველთა დასახლებების სისტემატიზაციისთვის კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო, და, შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემების გარკვეული ნაწილი ჯერაც დასაზუსტებელი და შესავსებია, მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი მასალა საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა სამხრული დიალექტების თანამედროვე გეოგრაფიისთვის.

**1.3.1. აჭარული დიალექტი**, როგორც აღვნიშნეთ, სამხრული კილოების ყველაზე კარგად გადარჩენილი მოწმეა. იგი ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი კილოთაგანია. მე-8 საუკუნიდან აჭარა სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად შედიოდა ტაო-კლარჯეთის სამთავროში. საქართველოს ისტორიაში ეს ის ხანაა, როცა ტაო-კლარჯეთი ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენს. ყოველივე ეს კი იმის მომასწავებელიცაა, რომ სხვა სამხრულ კილოებთან ახლო მონათესავე აჭარულმა მეტყველებამაც გარკვეული როლი შეასრულა სამწერლო ქართულის ჩამოყალიბებაში (ცინცაძე, ფაღავა, 1998: 78).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარული საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უცხო, თურქული, ენის გავლენას განიცდიდა, სავსებით შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული სტრუქტურა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. მართალია, იგივე შეიძლება ითქვას სხვა სამხრულ კილოებზე, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თურქულის გავლენა აჭარულში - შავშურთან, კლარჯულთან თუ ტაოურთან შედარებით - წინათაც ნაკლები იყო. აჭარის მოსახლეობამ მტკიცედ დაიცვა ქართული ზნე-ჩვეულება და, რაც მთავარია, მშობლიური ქართული ენა. აჭარულმა ორგანული კავშირი არ გაწყვიტა ქართულ ენასთან, მის დიალექტებთან.

აჭარული დიალექტი ძირითადად, გავრცელებულია თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე: ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონების ტერიტორიებზე.

აჭარული დიალექტის კილოკავებია: ზემოაჭარული (ხულოს, შუახევისა და ქედის და, ნაწილობრივ, ხელვაჩაურის მკვიდრთა მეტყველება - აჭარისწყლის ხეობის მკვიდრთა მეტყველება), ქვემოაჭარული (ბათუმის შემოგარენის მკვიდრთა მეტყველება) და ქობულეთური (ქობულეთის მკვიდრთა მეტყველება).

საქართველოში აჭარის გარეთ აჭარული სოფლები გვხვდება:

გურიაში: ზოტი, ჩხაკაურა, ქვაბლა;

ადიგენის რაიონში: კიკიბო, დერცელი.

ხუთივე სოფელი 1880-იან წლებშია გაშენებული ზემოაჭარელი მიგრანტების მიერ. ხუთივე სოფლის მოსახლეობამ დღემდე შეინარჩუნა ზემოაჭარული მეტყველება.

საქართველოს რეგიონებში აჭარული ეკომიგრანტები კომპაქტურად ასევე ცხოვრობენ: ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის (სპასოვკა), წალკის (თრიალეთი), საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხის, გორის, კასპის, ქარელის, ასევე ქვემო ქართლის რაიონებში.

როგორც ვხედავთ, საქართველოში აჭარის გარეთ აჭარულთა სოფლები მრავლადაა, შესაბამისად, ფართოა აჭარულის გავრცელების არეალი.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარლები სახლობენ და მშობლიურ კილოზე მეტყველებენ თურქეთის შიგა პროვინციებშიც. მუჰაჯირი აჭარლების შთამომავლებმა, დღევანდელმა უფროსმა და საშუალო თაობამ, უმეტესად, შეინარჩუნა წინაპართა ენა დიალექტური თავისებურებებით.

აჭარული დიალექტი საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი თურქეთის შავი ზღვის და მარმარილოს რეგიონების აჭარულ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლების უმრავლესობაში. ძირითადად, საშუალო და უფროს თაობაში.

შავი ზღვის რეგიონში სულ 18 პროვინციაა. მათგან ქართველთა კომპაქტური დასახლებები ცხრა პროვინციაშია. შავი ზღვის რეგიონში სჭარბობს აჭარიდან -

აჭარისწყლის ხეობიდან, ბათუმის მახლობელი სოფლებიდან, ჩაქვიდან და ქობულეთიდან გადასახლებულთა სოფლები. ქვემოთ, პროვინციების და რაიონების შესაბამისად, წარმოვადგენთ მუჰაჯირთა შთამომავლების იმ „მექართულე“ სოფლების სიას, რომლებიც აჭარულ დიალექტზე მეტყველებენ:

**ორდუს პროვინცია:** ორდუს ქართველთა უმრავლესობა აჭარისწყლის ხეობიდან (ქედის რაიონი), ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია.

**უნიეს რაიონი:** აღიდერე (Ağidere); ათაქოი (Ataköy); აიდინთეფე (Aydıntepe); ბაშქოი (Başköy) ჯევიზდერე (Cevizdere); ჩათალფინარი (Çatalpınar); ჩათალთეფე (Çataltepe); ჩინარჯიქი (Çınarcık); (დენიზბზუქუ) Denizbükü; ელმალიქი (Elmalık); ერენიურთი (Erenyurt); ესენქალე (Esenkale); გობუ (Göbü); გუნფინარი (Günpınarı); გუზელიალი (Güzelyalı); ჰიზარბაშიგუნლუქი (Hızarbaşığünlük); ჰიზარბაშიქუმარლი (Hızarbaşıkumarlı); ინქური (İnkur); კადილარი (Kadılar); კუშდოღანი (Kuşdoğan); ნადირლი (Nadirli); ორთაქოი (Ortaköy); სარაიჯიქი (Saraycık); სეილანი (Seylan); სოფუთეფესი (Sofutepesi); თაფლანჯიქი (Taflancık); თეფექოი (Tepeköy); უღურლუ (Uğurlu); იავი (Yavı); იაიჯი (Yaycı); იაილალი (Yaylalı); იაზქონაღი (Yazkonağı); იენიქოი (Yeniköy); იუჯელერი (Yüceler).

**ფაცას რაიონი:** აიაზი (Ayazlı); ბაღლარჯა (Bağlarca); ბაჯანაქი (Bacanak); ბოზდდალი (Bozdağı); ბუჯაქლი (Bucaklı); დუაიერი (Duayeri); დულუნლუქი (Düğünlük); ჰოიულუ (Hoylu); ჰამლაქი (Hamlık); ისლამდაღი (İslamdağ); კაბაქდაღი (Kabakdağı); კარათაში (Karataş); კარაქუჯაქი (Karakucak); კონაქბაში (Konakbaşı); მეჰმეთაქიფი (Mehmetakif); ოლუქლუ (Oluklu); გეიქელი (Geykeli); სალიჰლი (Salihli); საზჯილარი (Sazcılar); სუდერე (Sudere); თაჰთაბაში (Tahtabaşı); აშალითეფე (Aşağı tepe); იენიქარგიჯაქი (Yenikargıcak); იუსუფლუ (Yusuflu); ჯეჯილო (Cecilo).

**ქუმრუს რაიონი:** ბალი (Balı); ესენჯე (Esence); გუნეიჯიქი (Güneycik); კადინჯიქი (Kadıncık); ქუჩუკაქაქესე (Küçükakçakese); იენიაქაალანი (YeniAkçaalan);

იენიჩოქდელირმენი (Yeniçokdeğirmen); იენიდივანე (Yeni Divane); იენიერგანი (Yeniergen); იემიშქენი (Yemişken).

**ფერშემბეს რაიონი:** ბოლათლი (Bolatlı); ჩაქა (Çaka); დერიეჩი (Dereiçi); ეფერლი (Efirli); გაჯალი (Gacalı); თონგელდუზუ (Tongeldüzü); სელიმიე (Selimiye); შენიურთი (Şenyuet); იენიქოი (Yeniköy).

**გოლქოის რაიონი:** ჯიჰადიე (Cihadiye); ჩათაქი (Çatak).

**ორდუს ცენტრალური რაიონი:** აქქესე (Akkese); ალემბეი (Alembey); ბაჰარიე (Bahariye); ბოზთეფე (Boztepe); ბურჰანეთთინი (Burhanettin); გუნორენი (Günören).

**ქორგანის რაიონი:** დუზდაღი (Düzdağ); სარიალიჩი (Saraliç); სოღუქვინარი (Soğukpınar); იაზლიქი (Yazlık); იეშილალანი (Yeşilalan).

**ჩაიბაშის რაიონი:** ქურუდერე (Kurudere).

**გურგენტეფეს რაიონი:** ჰასანჯიქი (Hasancık); ოჩუბელი (Okçubel).

**ულუბეის რაიონი:** აქოლუქი (Akoluk) აჭარა.

**ქაზადუზის რაიონი:** ქირაზდერე (Kirazdere); იოქუშდიბი (Yokuşdibi);

**სამსუნის პროვინცია:** სამსუნის პროვინციაში აჭარული დიალექტი ოთხ რაიონშია წარმოდგენილი. აქ ცხოვრობენ როგორც ქობულეთის რაიონიდან, ასევე, აჭარისწყლის ხეობიდან (ქედიდან) გადასახლებულ მუჰაჯირთა

**სალიფაზარის რაიონი:** აიაზმა (Ayazma); ფიდანჯიქი (Fidancık); ქიზილოთი (Kızılot); ქუშჯილაზი (Kuşçığaz); იენიდოღანი (Yenidoğan); იეშილქოი (Yeşil Köyü).

**თერმეს რაიონი:** დუმანთეფე (Dumantepe); ქესიქეაია (Kesikkaya); ქოჯამანბაში (Kocamanbaşı); ქოიბუჯაქი (Köybucağı); ქუშჩა (Kuşca); ოზიურთი (Özyurt).

**ლადიქის რაიონი:** არსლანთაში (Arslantaş); ჰამამაიაღი (Hamamayağı).

**ათაქუმის რაიონი:** ქარაქოვუქი (Karakovuk).

**დუზჯეს პროვინციაში** ძირითადად აჭარისწყლის ხეობიდან (ხულოს, შუახევის და ქედის რაიონები) და ხელვაჩაურის რაიონიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებია, მხოლოდ ორიოდე დასახლებაა მაჭახლელებისა და



ნიგალელებისა. ფუძესოფლებია: ღორჯომი, ჭალა, ზემოხევი, ბრილი, ახალდაბა, წონიარისი, გონიო, მირვეთი და სხ.

**ღუზჯეს ცენტრალური რაიონი:** აიდიფინარი (Aydınpinar); ასარი (Asar); გოლორმანი (Gölormanı); დოდანლი (Doğanlı); იეშლიჩამი (Yeşilçam); მუნჯურლუ (Muncurlu); მუსაბაბა (Musababa); ფინდიკლიაქსუ (Findikliaksu); ჩაქირჰაჯიიბრაჰიმი (Çakırhacıibrahim); ჩიფთლიქქოი (Çiftlikköy); შიმშირი (Şımşır).

**აქჩაკოჯას რაიონი:** დოდანჯილარი (Doğancılar); ესმეჰანიმ (Esmahanım); მელენაღზი (Melenagzi); უღურლუ (Uğurlu).

**ჩილიმლის რაიონი:** იეშლითეფე (Yeşiltefe); მაჰირაღა (Mahırağa); ჰიზარდერე (Hızardere).

**გოლიაქას რაიონი:** ჰამამუსტი (Hamamusti); ჰაჯიაკუფი (Hacıyakup).

**ილიჯას რაიონი:** ქირიქ (Kırık).

**გირესუნის პროვინციაში** 16 რაიონია. მათგან ქართული სოფლები არის ხუთში. კერძოდ, ბულანჯაქის, პირაზიზის, ქეშაპის, დერელის გირესუნის (ცენტრალურ) რაიონებში. სოფლები ერთადაა დაჯგუფებული. ოდნავ მოშორებითაა ქურბაფინარი, ამბარალანი, იჩმესუ და აქქაია. დასახლებული სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმეა შერეული მოსახლეობით. უმრავლესობაში ყველა ოჯახი ქართულია.

გირესუნის ქართული მოსახლეობა აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია, ძირითადად თანამედროვე ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონის სოფლებიდან.

**ბულანჯაქის რაიონი:** დამუდერე (Damudere); ეზელთერე (Ezeltere); გუნეიქოი (Güneyköy); ჰაჯეთი (Hacet); ქარააღაჩი (Karaağaç); ქაიაბაში (Kayabaşı); ქიშლა (Kışla); ქუჩუქდერე (Küçükdere); ოდადუზუ (Odadüzü); თეფეორენი (Tepeören); თოქმადინი (Tokmadin); იენიქოი (Yeniköy); იეშლითეფე (Yeşiltepe).

**გირესუნის ცენტრალური რაიონი:** ამბარალანი (Ambaralan); იჩმესუ (İçmesu); იაიქინლიქი (Yayıklık).

**ვირაზიზის რაიონი:** თეფექოი (Tepeköy); იუნუსემრე (Yunusemre).

**ქეშაფის რაიონი:** ქურბაფინარი (Kurbapınarı) - აქარა (ქედა).

**დერელის რაიონი:** აქქაია (Akkaya).

**თოქათის პროვინციაში** აქარიდან (უფრო ქედის რაიონიდან: სალორეთი, აგარა და სხვა) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლები ნიქსარის და თურჰალის რაიონებშია:

**ნიქსარის რაიონი:** დალქაია (Dalkaya); ოლუქლუ (Oluklu);

**თურჰალის რაიონი<sup>1</sup>:** ბოიაჯილარ (Boyacılar); მუფთი მაჰალესი (Mufti mahalesi);

**ამასიის პროვინცია:** ქართული სოფლები, ძირითადად, თაშოვას და ამასიის ცენტრალურ რაიონებშია. აქარული დიალექტის მატარებლები, ძირითადად, აქარისწყლის ხეობიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან. მათი ფუძესოფლებია ბზუბზუ, ბელეთი, ბოძავრი, ღურტა, რიყეთი, დანისპარაული, დიოკნისი, ტაბახმელა.

**ამასიის ცენტრალური რაიონი:** აქიაზი (Akyazı); ჩივი (Çivi); ელიქთექქე (Eliktekke) ;

**თაშოვას რაიონი:** ალთინლი (Altınlı);

**სინოპის პროვინცია:** სინოპის პროვინციაში ქართველების უმრავლესობა ნიგალიდან წასულთა შთამომავლებია. ეობულეთ-ჩაქვიდან და აქარისწყლის ხეობიდან გადასახლებულთა რაოდენობა მცირეა და ისინი, ძირითადად, ორ რაიონში ცხოვრობენ..

**სინოპის ცენტრალური რაიონი:** ოსმანიე (Osmaniye); ქილიჩლი (Kılıçlı).

**თურქელის რაიონი:** საზქიშლა (Sazkışla); ქუზქოი (Kuzköy); ჰაჯიქოი (Hacıköy); იაფრახლი (Yapraklı).

---

<sup>1</sup> თურჰალის რაიონის აქ წარმოდგენილი დასახლებები ამჟამად რაიონული ცენტრის ნაწილებს შეადგენენ, მაგრამ ჩვენ დამოუკიდებელ სოფლებად მივუთითეთ.

ერთი სოფელია რიზეს პროვინციის, ფაზარის რაიონში - ჰამიდიე (Hamıdye), რომელშიც ქობულეთიდან და ჩაქვიდან გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ.

მარმარილოს ზღვის რეგიონში 11 პროვინცია (ილი) შედის. მათგან ქართველების კომპაქტურ დასახლებათა სიმრავლით გამოირჩევა ბურსას, საქარიას და ქოჯაელის პროვინციები, თუმცა, ჩვენებურთა დასახლებები სხვა პროვინციებშიც მრავალია. ხსენებულ რეგიონში კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები სჭარბობს. თუმცა, იქ საკმაოდ ბევრია აჭარიდან გადასახლებულთა მიერ დაარსებული სოფლებიც. ასეთი სოფლები, ძირითადად, ბურსის პროვინციაშია. რამდენიმე სოფელია საქარიას პროვინციაშიც.

ბურსის პროვინცია: ბურსაში ძირითადად აჭარისწყლის ხეობიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებია. უფრო ზემო აჭარიდან. ჩაქველენისაა მურათბეი და ჰასანფაშა. აჭარისწყლის ხეობიდან (უფრო ზემო აჭარიდან) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებია იზნიქის რაიონშიც. გემლიქის რაიონში მახინჯაურელთა, ჩაქველთა და, ქობულეთელთა სოფელია.

ინეგოლის რაიონი: ბაჰარიე (Bahariye); ბაჰჩეკაია (Bahçekaya); გულბაჰჩე (Gülbahçe); ესკიქარაკაია (Eskikaracakaya); თუფექჩიქონაკი (Tüfekçikonak); მერზუქიე, (Merzukiye); მესრურიე (Mesruriye); მურათბეი (Muratbey); საადეთი (Saadet); სულჰიე (Sulhiye); ფევზიე (Fevziye); ქარაკადი (Karakadı); ჩაილიჯა (Çaylıca); ჩიფთლიქი (Çiftlikköy); ჰამიდიე (Hamıdye); ჰასანფაშა ( Hasanpaşa); ჰილმიე (Hilmiye).

იზნიქის რაიონი: ელმალი (Elmalı); ქირინტი (Kırntı); ქუთლუჯა (Kutluca); ჯანდარლი (Candarlı); ჰაჯიოსმანი (Hacıosman);

გემლიქის რაიონი: ჰაიდარიე (Haydariye);

საქარიას პროვინციაც, ძირითადად, კლარჯებითაა დასახლებული. მხოლოდ რამდენიმე სოფელია აჭარისწყლის ხეობიდან და ბათუმის მახლობელი ტერიტორიებიდან გადასახლებულებისა:

ქოჯაალის რაიონი: დემირაჩმა (Demriaçma); ბეზირგანი (Bezirgan); ქოზლუქი (Kozluk);  
ქოიიერი (Köyveri).

აქიაზის რაიონი: გუჯუჯექ (Gücücek).

ქარაფურჩექის რაიონი: აჰმედიე (Ahmediye); მეჯიდიე (Mecidiye); ქანლიჩაი (Kanlıçay);  
ქარაფურჩექი (Karapürçek).

1.3.2. კლარჯული დიალექტი გავრცელებულია ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე, ჭოროხის აუზის იმ ნაწილში, რომელიც „ნიგალის“ ან „ლივანას“ სახელითაა ცნობილი. ეს ტერიტორია, ისევე, როგორც ჭოროხის აუზის, უდიდესი ნაწილი დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. მიუხედავად ამისა, ქართულენოვანი სივრცე სახელმწიფო საზღვრის მიღმაც ბუნებრივად გრძელდება. საზღვრით გაყოფილი მოზრდილი სოფლის, მარადიდის თურქულ ნაწილს მურათლი ჰქვია, თუმცა ადგილობრივთა მეტყველებაში იგი დღესაც ზედა მარადიდად იწოდება.

ნიგალის ტერიტორია ჭოროხის ქვედაწელზე, სადაც სოფელ ერგეს მიდამოებთან იწყებოდა და ართვინამდე აღწევდა (ვახუშტი 1973:136). ეს იყო უძველესი ქართული მხარე, გამორჩეული ტრადიციული კულტურით და განვითარებული მეურნეობით. მოსახლეობა ქართულად ლაპარაკობდა ოსმალთა მდევრით, ოსმალთა პერიოდშიც და მიუხედავად იმისა, რომ ავბედითი დროის კვალი მეტად თვალსაჩინოა, მთელი ნიგალი, ძირითადად, ქართულენოვანი სივრცეა დღესაც. სამწუხაროდ, კლარჯეთის სხვა ნაწილებში - „ათორმეტ სავანეთა“ მხარეში, არტანუჯისწყლის ხეობაში, ართვინსზედა სივრცეში - ქართული ენა დავიწყებულია.

XIX საუკუნის ავტორები, უმეტეს შემთხვევაში, საგანგებოდ მიუთითებენ ნიგალელთა გამართული ქართულის შესახებ. ქართული მაშინ მოსახლეობის ძირითადი და, ხშირად, ერთადერთი საურთიერთო ენა იყო და ბევრმა, უფრო ქალებმა, თურქული საერთოდ არ იცოდა (ჭიჭინაძე 1912:148). გამართული

მეტყველებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მურღულელები, რომლებიც, ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, „ყველა ქართველ მაჰმადიანზე უფრო კარგად ლაპარაკობდნენ ქართულს წმინდა ქართულის დარბაისლურის ენით და ამათ საუბარში კაცი ისე ხშირად ვერ გაიგონებდა ოსმალურს სიტყვებს, როგორც სხვა მხარის მაჰმადიანებში“. ზ. ჭიჭინაძე იმოწმებს სხვა ავტორიტეტებსაც და შენიშნავს: „ამათი ქართული ენის ასე შენახვის გამო აღტაცებული იყო განსვენებული დ. ბაქრაძე, მოგზაური გ. ყაზბეგი და ნამეტურ გრ. გურიელი, რომელმაც მურღულელების შესახებ ძლიერ ბევრი ძვირფასი ამბები იცის (ჭიჭინაძე, 1912:205).

მურღულელთა ქართულით აღფრთოვანებულია „დროების“ კორესპონდენტიც. „თუმცა ეს ხეობა კარგად დაშორებულია ჩვენს უწინდელს საზღვრებს, ენა წმინდა ქართული აქვთ. მურღულელები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, ქართულად ესაუბებიან. ოსმალეთის საქართველოს ბევრ სხვა ნაწილში „სალამალეიქუმ“ ისმის, აქ კი „გამარჯვება“. კაცები ოსმალურს მხოლოდ შემდეგში სწავლობენ, ქალებმა კი მთელი სიცოცხლე ქართულის მეტი არ იციან“ (დროება, 119:4).

ამდენად, ნიგალელთა ქართული XIX საუკუნის ბოლო მეოთხედშიც, პრაქტიკულად, უხინჯოა. საზოგადო სურათი კი ნათლად ჩანს გიორგი ყაზბეგის მოგზაურობათა დღიურებში, რომელშიც აღნიშნულია: „ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებლები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპით და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკვანს წარმოადგენდა და ახლა, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნა თავისი ძველი ღირსებები“ (ყაზბეგი, 1995:116).

როგორც აღვნიშნეთ, ნიგალი ქართულენოვან სივრცედ რჩება დღესაც, თუმცა, საზოგადო სურათი მნიშვნელოვნად შეცვლილია. ჯერ ერთი, კარგა ხანია ჩაბარდა წარსულს ის დრო, როცა ბავშვები მშობლიურ ენაზე იდგამდნენ ენას. ქართულად ნიგალში, ისევე, როგორც სხვა „ქართულ“ რეგიონებში თურქეთისა, მხოლოდ საშუალო და უფროსი თაობა მეტყველებს; მეორეც, განუწყვეტელმა მიგრაციამ, უფრო მეტად კი მუჰაჯირობის პროცესმა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის

დასაწყისში, რამდენადმე შეცვალა ქართული ენის გეოგრაფიაც და დემოგრაფიული სურათიც.

ართვინსქვემო ჭოროხის ხეობაში, მარჯვენა სანაპიროზე, ქართულენოვანი სივრცე ახალდაბით (Kuşlıca) იწყება. იგი ადაგულს უბანია (Artvinli, 2013: 53). ამის შემდეგ მარჯვენა სანაპიროზე განლაგებულია ქართულენოვანი სოფლები ადაგული და ებრიკა (თავისი *პეტრულით*, *მარმაწმინდით* და *ნიგიით*). უშუალოდ ბორჩხასთან იწყება დევსქელის ხეობა, სადაც განლაგებულია სოფლები – არავეთი, შუახევი, დევსქელი და ბაგინი. მარცხენა სანაპიროს სოფლებია (ხატილას ქვემოთ) ომანა, ქართლა, თხილაზორი, ავანა, ორჯი, დამპალი (თუმცა, ორჯი და დამპალი ერთი სამუხტროა, ცენტრალური სოფელია დამპალი), ტრაპენი, არხვა. ქართული სივრცე უზურმადან იწყება, რომელიც ომანას უბანია. უზურმაში და, მეტ-ნაკლებად, ომანაშიც, შედარებით უჭირთ ქართული (როგორც გვითხრეს, იქ „ნახევარი გურჯია, ნახევარი – ახისხელი თურქი“). სხვა სოფლებში დაახლოებით თანაბარი ვითარებაა და მოსახლეობაც ქართულია.

საზღვრიდან ბორჩხამდე კლარჯული დიალექტი ისმის სოფლებში: მარადიდი, ხება, ქვედა ქლასკური, ზედა ქლასკური – ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე და – კატაფხია, არჩვეთი – მარცხენა ნაპირზე (ბელღევანი, სუჯუნა და ოხორდია, ისევე, როგორც ჩხალის ხეობის სოფლები, ლაზური ფასახლებებია).

მთელი მურღულის ხეობაც ქართული მხარეა, ქართულენოვანი მოსახლეობით, მურღულისწყლის მარცხენა სანაპიროს სოფლებია (ფრჩხილებში მივუთითებთ ზოგიერთი უბნის სახელს): *ბაშქოი* (*გოგილეთი*, *ფოროსეთი*, *ლომიკეთი*, *ჩხალეთი*), *გურბინი* (*ბაგა*), *ერეგუნა* (*ქამელეთი*), *კაპარჭეთი* (*ბედიეთი*, *სკურჩა*), *ქურა* (*ქვამჩირეთი*, *ჭილავერი*);

მურღულისწყლის მარჯვენა სანაპიროს სოფლებია: *ბუჯური*, *გველი* (*თოხვეთი*, *კოსტანეთი*), *დურჩა* (*ადურჩა*), *კორდეთი*, *ოსმალი*, *მანცული* (*აგარა*, *ისკები*).

კლარჯული დიალექტი დღემდე ისმის, ასევე, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებში.

შავი ზღვის რეგიონში კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლები თავმოყრილია, ძირითადად, სინოპის პროვინციაში. რამდენიმე სოფელია სამსუნის, დუზჯეს და თოქათის პროვინციებშიც.

სინოპის პროვინცია. სინოპში 9 რაიონი ანუ ილჩეა. ქართველთა კომპაქტური დასახლებები ხუთშია. მათგან ოთხში - კლარჯების სოფლებია. სინოპური დასახლებების თავისებურება ისაა, რომ სოფლების უმრავლესობა შერეულია. ქართველები უმეტესად ცხოვრობენ ან ცალკე უბნად, ან მიმოფანტული არიან მოსახლეობაში. ზოგან შეიძლება ხუთი-ექვსი კომლი ცხოვრობდეს, ზოგან - ოცი და მეტი. ქართველების უმრავლესობა ნიგალიდან, უფრო - ბორჩხის რაიონიდან წასულთა შთამომავლებია.

**სინოპის ცენტრალური რაიონი:** ავდანი (Avdan); ალოღლუ (Aloğlu); გოღლერი (Göller); ერიკლი (Erikli); თანგალი (Tangal); ლალა (Lala); მელექშაჰი (Melekşah) -; ორდუქოი (Orduköy); სინეჯანი (Sinecan); კაბალი (Kabalı); კარაფინარი (Karapınar); ჩობანლარი (Çobanlar).

**ერფელიქის რაიონი:** აბდურაჰმანფაშა (Abdurrahmanpaşa); ბაშარანი (Başaran); ერფელიქი (Erfelek); თექექე Tekke; იენიჩამი (Yeniçam); ინჯემეიდანო (İncemeydan); ჰამიდიე (Hamidiye); ჰასანდერე (Hasandere); თუფანი (Tufan).

**გერზეს რაიონი:** აქკირაჩი (Akkıraç); იაიქილი(Yaykıl); იაკადიბი (Yakadibi); იუვალი (Yuvalı); იზარჩაი (Hizarçayı).

**აიანჯიქის რაიონი:** მესტანი (Mestan); ფაზარჩიქი (Fazarcık); გოღდაღი (Göldağ); მადენი (Maden); ქირან ჰარმანი (Kıran harman).

სამსუნის პროვინცია. **ზაფრას რაიონი:** დუზქოი (Düzköy); გოქჩეაღაჩი (Gökçe ağaç).

**ვეზირქოფურუს რაიონი:** იურთდაღი (Yurtdağı).

**დუზჯეს პროვინცია.** **აქჩაკოჯას რაიონი:** ჩიჩეკვინარი (Çiçekpınar).

თოქათის პროცინცია. ნიქსარის რაიონი: მუხტარდუზუ (Muhtardüzü)<sup>2</sup>.

მარმარილოს ზღვის რეგიონში, როგორც აღვნიშნეთ, უმრავლესობა მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებისა კლარჯულია.

ბალიქესირის პროვინცია: ბალიქესირში 19 რაიონი ანუ ილჩეა. ქართული სოფლები არის გონენის, მანასის, ბალიას და სუსურლუქის რაიონებში, აგრეთვე, ბალიქესირის ცენტრალურ რაიონში. არ გამოვრიცხავთ ქართული დასახლების არსებობას ბანდირმას რაიონშიც.

ბალიქესირის ქართველები კლარჯეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია. უმრავლესობა - მურღულელები, აგრეთვე, ბორჩხის მახლობელი - ჭოროხის მარცხენა სანაპიროს სოფლების მოსახლეობა.

**გონენის რაიონი:** ბალჯიდედე (Balçidede); ჩინარფინარი (Çinarpınar); ჩიფთლიქალანი (Çiftlikalanı); ექშიდერე (Eksidere); ქოჩბაირი (Koçbayırı); გუნეშლი (Güneşli); სუჩიქტი (Suçıktı); ფეჰლივან ჰოჯა (Pehlivanhoca).

**მანასის რაიონი:** ჯუმჰურიეთი (Cumhuriyet); დოღანჯი (Doğancı); დეღირმენბოღაზი (Değirmenboğaz).

**სუსურლუქის რაიონი:** გუნაიდინ (Günaydın).

**ბალიას რაიონი:** იენიქავაკი (Yenikavak).

**ბალიქესირის ცენტრალური რაიონი:** არმუთალანი (Armutalan).

ბურსის პროვინცია: როგორც აღვნიშნეთ, ბურსაში ქართველთა უმრავლესობა აჭარიდან წასული მუჰაჯირებია. თუმცა იქ არის კირნათი-მარადიდიდან, მურღულიდან და კლარჯეთის სხვა რაიონებიდან გადასახლებულთა სოფლებიც.

---

<sup>2</sup> მუხტარდუზუში კლარჯების (სოფ. ანაჩლი) გარდა შავშებიც ცხოვრობდნენ და, შესაძლოა, ტაოელებიც. სოფელი თითქმის მთლიანად მიგრირებულია და რეალურად ხუთიოდე ოჯახია დარჩენილი. ქართულის მცოდნე სოფელში ვერ ვნახეთ (2015 წ.), მაგრამ სიაში მაინც შევიყვანეთ ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა შესახებ სოფელშივე მოძიებული და ჯერაც დაუზუსტებელი ცნობების გამო.



ქესთელის რაიონი: ალაჩამი (Alaçam); ორჰანიე (Orhaniye); ოსმანიე (Osmaniye);  
საიფიე (Sayfiye).

გემლიქის რაიონი: ადლიე (Adliye); ჰამიდიე (Hamidiye).

მუსტაფაქემალფაშას რაიონი: ქარაფინარი (Karapınar); ქომურჯუქადი  
(Kömürcükadı).

იალოვას პროვინცია: იალოვაში სულ სამიოდე კლარჯული დასახლებაა:

არმეთლუს რაიონი: სელიმიე (Selimiye); ჰაირიე (Hayriye).

ჩინარჯიქის რაიონი: ესენქოი (Esenköy).

საქარიას პროვინცია: საქარიას (ადაფაზარის) პროვინციაში 13 რაიონია. ამათგან 8 „ქართულია“. სოფლები, ძირითადად, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებსაა. აქარისწყლის ხეობიდან გადასულებიც ცხოვრობენ ალაგ-ალაგ, მაგრამ უმრავლესობა მარადიდის, კირნათის, ხეზას, ბელლევანის მუჰაჯირებია.

ჰენდექის რაიონი: ბალიქლიიჰსანიე (Balıklıhsaniye); ბიჩქიათიქ (Bıçkıtık); გულდიბი (Güldibi); გუნდოღანი (Gündoğan); ესენტეფე (Esentepe); იეშილვადი (Yeşilvadi); იქბალიე (İkbaliye); იქრამიე (İkramiye); ლუთფიექოშქი (Lütfiyeköşk); მურადიე (Muradiye); ნურიე (Nuriye); სერვეთიე (Servetiye); სულეიმანიე (Süleymaniye); ფინარლი (Fınarlı); ქარგალიენიქოი (Kargalıyeniköy); ქიზანლიქი (Kızanlık); ჰამითლი (Hamitli); ჰიჯრიე (Hicriye); ჰუსეინშეიჰი (Hüseyinşeyh).

საფანჯას რაიონი: აქჩაი (Akçay); გულდიბი (Güldibi); ერდემლი (Erdemli); იანიქი (Yanık); მაჰმუდიე (Mahmudiye); მურადიე (Muradiye); საფანჯა (Sapanca); ქადიფინარი (Kadıpınar); ქირქეფინარი (Kırkpınar).

გეივეს რაიონი: დოღანჩაი (Doğançay); ილიმბეი (İlimbey); ნურუოსმანიე (Nuruosmaniye); ქარაჩამი (Karaçam); შერეფიე (Şerefiye).

აქიაზის რაიონი: რეშადიე (Reşadiye).

ქარასუს რაიონი: აზიზიე (Aziziye).

საქარიას რაიონი: ქიშლაჩაი (Kışlaçay)

ქოჯაელის პროვინციაში 12 რაიონი ანუ ილჩეა. ქართველები ყველა მათგანში ცხოვრობენ, მაგრამ კომპაქტური დასახლებები 6 რაიონშია, ყველაზე მეტი - გოლჯუქში. ქართული მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ქოჯაელის პროვინციაში კლარჯეთიდან გადასახლებულთა შთამომავლებია.

**გოლჯუქის რაიონი:** აივაზფინარი (Ayvazpınarı); ესქიფერჰადიე (Eskiferhadiye); ირშადიე (İrşadiye); იჯადიე (İcadiye); იჰსანიე (İhsaniye); ლუთფიე (Lütfiye); მამურიე (Mamuriye); ნიმეთიე (Nimetiye); ნუზჰეთიე (Nüzhetiye); სიირეთიე (Siyretiye); ,ულაშლი (Ulaşlı); უმმიე (Ümmiye); ფანაიერი (Panayır); შევკეთიე (Şevketiye); შირინქოი (Şirinköy); ჰამიდიე (Hamidiye); ჰასანეინი (Hasaneyn); ჰისარეინი (Hisareyn).

**ქართევს რაიონი:** ბალაბანი (Balaban); დერბენთი (Derbent); ეშმეაჰმედიე (Eşmeahmediye); ნუსრეთიე (Nusretiye); შირინსულჰიე (Şirinsulhiye).

**ბაშისქელეს რაიონი:** ბაჰჩეჯიკი (Bahçecik); იენიქოი (Yeniköy).

**ქარამურსელის რაიონი:** აქფინარი (Akpınar); ნუსრეთიე (Nusretiye).

**იზმიითის ცენტრალური რაიონი:** ჩუბუქლუბალა (Çubuklubala).

გარდა აღნიშნულისა, ორიოდ სოფელია მარმარილოს ზღვის სხვა პროვინციებშიც:

ბილეჯიქის პროვინცია. **ოსმანელის რაიონი:** ადლიე (Adliye).

სტამბოლის პროვინცია. **ბეიქოზის რაიონი:** სოფელი დერესეკი (Dereseği).

კლარჯეთიდან გადასახლებული პირველი თაობის მუჰაჯირთა შთამომავლების რამდენიმე სოფელია ამავე პროვინციის შილეს რაიონში. მხედველობაში გვაქვს ქომურ-ლუქი, ბიჩქიდერე, ორუჩოღლუ, ულუ პელითი, ქალეალთი, უვეზლი, ერენლერი, დარლიქი, ქერვანსარაი. აქ ძირითადად ბერთასწყლის ხეობიდან და ართვინის რამდენიმე სხვა სექტორიდან გახიზნულთა შთამომავლები ცხოვრობენ, შესაბამისად, ქართული იმ პირველმა თაობამაც არ იცოდა, თუმცა, შილეს შესახებ

ზოგიერთი ინფორმაცია დასაზუსტებელია - მათ შორის, ქართულ ენასთან დაკავშირებითაც.

**1.3.3. შავშური დიალექტი** გავრცელებულია ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე. გავიმეორებთ კიდევ ერთხელ, რომ შავშურ კილოში გამოყოფენ ორ კილოკავს – იმერხეულსა და მაჭახლურს. საკუთრივ შავშეთს, რომელიც მოიცავს თანამედროვე თურქეთის ართვინის პროვინციის შავშათის რაიონს, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ორ ნაწილად ყოფენ: მექართულე შავშეთი (იმერხევის ხეობის ქართულად მოლაპარაკე სოფლები, ასევე უსტამისი, ჩისისხევი...) და მეთურქულე შავშეთი – შავშეთისწყლის ხეობის უმეტესი სოფლები, რომელთა მკვიდრნი, ძირითადად, მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან, თუმცა მათ მეტყველებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართული ელემენტი. მეთურქულე შავშეთში ახსოვთ ძველი ქართული გეოგრაფიული სახელები და ა.შ..

დღევანდელთან შედარებით უფრო ფართო იყო ქართული ენის გავრცელების არეალი XIX საუკუნის შავშეთში. როგორც მოგზაურთა უმრავლესობა მიუთითებდა, ამ პერიოდში შავშეთში მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართული იყო: ქართველები მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, შავშეთში ქართული ენის დავიწყების პროცესი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „შავშეთში ამ 40 წლის წინათ ყველა მოხუცმა - ქალმა და კაცმა იცოდა ქართული ლაპარაკი. ამის შემდეგ აქ ხმები მოჰფინეს, რომ გურჯიჯას ენაზე ლაპარაკს თავი გაანებეთ, თორემ დღეს თუ ხვალ რუსი მოვა აქ, ტბეთს აიღებს და მაშინ, ვინც ქართულად იტყვის რაიმეს, იმას უეჭველად გააქრისტიანებენ. შავშელთ დიდად ეშინოდათ ამისი და ამიტომ ყველა შავშელი თავის შვილს მხოლოდ მაჰმადიანურს ლაპარაკს და წერა-კითხვას ასწავლიდა. ასე და ამრიგად, შავშეთში ქართული ენის ძირიანად ამოვარდნის დრო 1840 წლიდან იწყება“ (ჭიჭინაძე 1915:30).

გიორგი ყაზბეგის ცნობით, შავშეთის ძირითადი მოსახლეობა ქართულია. აქვე რამდენიმე სოფელია სომხებისა. „იმერხევის ჩათვლით აქ 58 სოფელია, რომელთაგან

საკუთრივ შავშეთისაა 36. ხელისუფლების აღწერით კომლთა რიცხვი 1740-მდე აღწევს, სინამდვილეში 2000-ზე მეტია. თითოეულ კომლზე 6-7 სულს თუ ჩავთვლით, შავშეთის მთელი მოსახლეობის რიცხვი 12-დან 14 ათასი სული იქნება. ეს მოსახლეობა, 145 კომლი სომხის გამოკლებით, სუფთა ქართველურ რასას მიეკუთვნება. საოჯახო ყოფაში ისინი სუფთა ქართულით, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე. ი. კავკასიის მთიულების აქცენტით ლაპარაკობენ. გარდა ამისა, აქაურ მეტყველებაში ხევსურული კილოსთვის დამახასიათებელ მრავალ სიტყვას შევხვდებით. საკუთრივ შავშეთში ყველა არ ლაპარაკობს. მრავალ სოფელში ეს ენა სრულიად გაქრა და მის ადგილას პროპორციულად განვითარდა თურქული ენა, რომელმაც სხვათა ენისაგან მიიღო მრავალი სიტყვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი გზის გასწვრივ განლაგებული სოფლების მცხოვრებლებმა მთლიანად დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა ყველა მათგანი დაუფარავად ამბობს, რომ მათი მამები გურჯები იყვნენ. რაც უფრო ვუახლოვდებით არტანუჯს, მით უფრო ნაკლებად გვხვდებოდა ქართული ენის მცოდნე, თუმცა, გობიხვეწიას მთის შემოგარენში მდებარე 12 სოფელს ხალხი გურჯისტანს უწოდებს“ (ყაზბეგი 1995:90).

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ყაზბეგმა ოსმალს საქართველოში 1874 წელს იმოგზაურა და მაშინ სწორედ ოსმალეთის ქვეშევრდომი გურჯები აცხადებდნენ დაუფარავად ქართული წარმომავლობის შესახებ. ყაზბეგისვე ცნობით, „შავშეთში ყველამ იცის, რომ მათი მხარე ძალით მოწყვეტილია საქართველოზე და რომ მათი წინაპრების რელიგია ქრისტიანული იყო“...

ნიშანდობლივია, რომ თუმცა არტანუჯისკენ ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი კლებულობს, შავშეთიდან არტანუჯისკენ მიმავალ გზაზე ყაზბეგი არ უარყოფს მექართულეთა არსებობას: იგი ამბობს, რომ ნაკლებად გვხვდებოდა ქართულის მცოდნეო. ე. ი. მაინც გვხვდებოდა.

ზაქარია ჭიჭინაძე არაერთხელ მიუთითებს, რომ ქართული ენა შემორჩენილია იმერხევში. მისი აზრით (რომელიც ადგილობრივთა მონათხრობს ეყრდნობა), ქართული აქ იმიტომ შემორჩა, რომ „იმერხევში ერთობ ცუდი ადგილებია, გონჯი და აქაურებს ოსმალები არ ეტანებოდნენ, ცხოვრება უძნელდებოდათ“ (ჭიჭინაძე 1913:293).

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 90-იანი წლებისთვის აქაც შეპარულია ოსმალური ენა. მაგალითად, იგივე ავტორი შენიშნავს, რომ „სოფელ წყალსიმერში ქართველ მაჰმადიანთა ბავშვები უკვე ოსმალურად ეჩვევიან ლაპარაკს, მე თვით ვნახე ლომინადის და სხვების ოჯახებში, რომ ბავშვები ოსმალურად ლაპარაკობდნენ. სახლობაში თუმცა ქართული იციან და მე ქართულად მელაპარაკებოდნენ, მაგრამ ოსმალური უფრო ეხერხებოდათ“ (ჭიჭინაძე, 1913:294).

ქვემოთ წარმოვადგენთ იმერხევისა და მიმდებარე ხეობების (ჩრდილოეთ შავშეთის) იმ სოფლების სიას, რომლებშიც ქართული ენა და შესაბამისად, შავშური დიალექტი შენარჩუნებულია დღემდე (ჩამონათვალი წარმოდგენილია გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით): დასამობი, ფხიკიური, დავლათი, ნიოლითი, ჯვარისხევი, წყალთბილა, ოთხკილდე, ჩიხორი, ბრილი, აგარა, ჩაქველთა, სვირევანი, უბე, ფარნუხი, დაბა, ხევწრული, ბაზგირეთი, გამეშეთი, ზიოსი, ზაქიეთი, წეთილეთი, ხოხლევი, მაჩხატეთი, მანატბა, ბზათა, შოლტისხევი, იფხრევი, ივეთი, უსტამისი, ჩიხისხევი (ჩიხისხევში დღეს ერთგვაროვანი სურათი არაა, ხეობაში არის უბნები და სოფლები, სადაც ქართულად ლაპარაკობენ: კოკბერეთი//კოკვერეთი, ქორიენთი, დუტბეთი, ბაღლარი, სამწყარი (სოფელი პრაქტიკულად დაცლილია), მოკლიეთი, დერელარი, ჩავლიეთი). ზოგან ძალიან უჭირთ ლაპარაკი: მამლიეთი, ზუბიეთი, ზევზათი, იშხნიეთი; ზოგან კიდევ სრულიად დავიწყებიათ, მაგ. ხოზაბარში).

იმერხევის რამდენიმე სოფელში დღეს ქართული აღარ ახსოვთ. ესენია: დიობანი, წყალსიმერი და მთელი ყვირაღას ხეობა (მიქელეთი, ჯინალი...). საგულისხმოა, რომ აქ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში უჭირდათ მშობლიურ ენაზე საუბარი.

რაც შეეხება მაჭახლურ კილოკავს, იგი გავრცელებულია მაჭახლის ხეობაში. ეს ხეობა ოსმალობის პერიოდშიც გამოირჩეოდა გამართული ქართულით და მშობლიური ენის სიყვარულით. ხეობის ნაწილი - ზემო მაჭახელი - დღეს თურქეთის შემადგენლობაშია. იქ ექვსი სოფელია - აკრია, ეფრატი, მინდიეთი, ზედვაკე, ქვაბითავი, ხერთვისი - დაახლოებით ორი ათას სულამდე მოსახლეობით. საშუალო და უფროს თაობაში ქართული ენა და, შესაბამისად, მაჭახლური კილოკავი კარგადაა შენახული.

შავშური კილოს გავრცელების არეალი, მსგავსად სხვა სამხრული დიალექტებისა, მუჰაჯირობის შემდეგ, საგრძნობლად გაფართოვდა შავში და, განსაკუთრებით, მაჭახლელი მუჰაჯირების სოფლების ხარჯზე თურქეთის სხვადასხვა რეგიონში. ქვემოთ სწორედ შავშ და მაჭახლელ მუჰაჯირთა ქართულენოვან სოფლებს მივუთითებთ.

**ა) შავშ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები:**

**შავი ზღვის რეგიონი:**

ორდუს პროვინცია. გოლქოს რაიონი: ფაშაფინარი (Paşapınar); იუვაფინარი (Yuvapınar).

თოქათის პროვინცია: ნიქსარის რაიონი: ასარი (Asar); აქინჯი (Akıncı); მერჯიმეკდუზი (Mercimekdüzü); მუსაფინარი (Musapınarı); ორენლერი (Örenler); ოსმანიე (Osmaniye); სორჰუნ (Sorhun); თეფეიათაქი (Tepeyatak); უმურლუ (Umurlu); უსთაჰასანი (Ustahasan).

თოქათის ცენტრალური რაიონი: ექინჯიქი (Ekincik).

ქასთამონუს პროვინცია. ჩათალზეითინის რაიონი: ჰამიდიე (Hamıdye).

**მარმარილოს ზღვის რეგიონი:**

ბურსის პროვინცია. ქარაჯაბეის რაიონი: ბოღაზქოი (Boğazköy).

საქარაის პროვინცია. აქიაზის რაიონი: ბელდიბი (Beldibi)

**ბ) მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები:**

მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლების ყველაზე მეტი დასახლება ორდუსა და სამსუნის პროვინციებშია. მათგან ზოგი შერეულია და ზოგიც მხოლოდ მაჭახლელები ცხოვრობენ. მათგან უმრავლესობა პირველი თაობის მუჰაჯირთა დასახლებებია, ნაწილში კი მაჭახლელები შიდა მიგრაციის შედეგად არიან ჩასახლებული. ქვემოთ ამ

დეტალების გარეშე ჩამოთვლილია სოფლები, რომლებშიც მაჭახლური კილოკავი დღემდე ისმის.

**შავი ზღვის რეგიონი.**

**ორდუს პროვინცია.**

უნიეს რაიონი: ეკინჯიქი (Ekincik); კილიქი (Killik); ნურეთთინი (Nurettin); თექქირაზი (Tekkiraz) იენიქიზილჯაქესე (Yenikızılcakeşe); იენიქენთი (Yenikent).

გოლქოს რაიონი: იჩიაქა (İçyaka); კონაქი (Konak).

ჩაიზაშის რაიონი: აქბაზა (Akbaba); ჩინარი (Çınar); კოქლუქი (Köklük).

გურგენტეფეს რაიონი: შირინქოი (Şirinköy).

ულუბეის რაიონი: რეფაიე (Refahiye); იენისაიაჯა (Yenisayaca).

აქქუშის რაიონი: ესენტეფე (Esentepe); დუმანთეფე (Dumantepe).

იქიზჯეს რაიონი: ქაინარფინარი (Kaynarpınar); იაღდაში (Yağdaş).

**სამსუნის პროვინცია.**

სალიფაზარის რაიონი: ბიჩმე (Biçme); კარადერე (Karadere); კარაჯაორენი (Karacaören); კარამანი (Karaman); კირგილი (Kırgıl); მუსლუბეი (Muslubey); იუქარიქესთანეფინარი (Yukarıkestanepınarı).

ჩარშამბას რაიონი: აჰუბაზა (Ahubaba) -; ჩათაქი (Çatak); გულიაზი (Gülyazı); კარაბაჰჩე (Karabahçe); კარამუსთაფალი (Karamustafalı); ქესთანეფინარი (kestanepınarı); ოვაჯიქი (Ovacık); იუქარიდიქენჯიქი (Yukarıdikencik).

თერმეს რაიონი: აქჩაი (Akçay).

ლადიქის რაიონი: აივალისოქადი (Ayvalısokağı); ჰაჯიალიფინარი (Hacıalipınar).

**სინოპის პროვინცია.**

სინოპის ცენტრალური რაიონი: აჰმეთიერი (Ahmetyeri).

ერფელიქის რაიონი: დეირმანჯილი (Degirmencili); ვეისელი (Veysel).

აიანჯიქის რაიონი: თევფიქიე (Tevfikkiye) .

ამასიის პროვინცია.

ამასიის ცენტრალური რაიონი: ბელდაღი (Beldağı); ჩათალჩამი (Çatalçam); ჩათმა (Çatma); იუვაქოი (Yuvaköy);

თაშოვას რაიონი: ილიფინარი (Ilıpinar); თათლიფინარი (Tatlıpinar).

თოქათის პროვინცია.

ნიქსარის რაიონი: ქოქლუჯე (Köklüce).

ერბაას რაიონი: ზოდალლიჩუქურ (Zoğallıçukur).

დუზჯეს პროვინცია. ჩილიმლის რაიონი: იეშილმაჰალესი (Yeşilmahalesi).

მარმარილოს ზღვის რეგიონი:

ბურსის პროვინცია.

ინეგოლის რაიონი: ჰაირიე (Hayriye) .

ორჰანგაზის რაიონი: ჰამზალი (Hamzalı).

იალოვას პროვინცია.

არმუთლუს რაიონი: მეჯიდიე (Mecidiye).

თერმალის რაიონი: იენიმაჰალე (Yenimahalle); აქეოი (Akköy).

ჩინარჯიქის რაიონი: თეშვიქიე (Teşvikiye).

**1.3.4. ტაოური კილო** გავრცელებულია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – ტაოში, რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებშია. ცნობილია, რომ ტაო ორად იყოფოდა - იმიერ და ამიერ ტაოდ. იმიერ ტაოში ქართული მთლიანად დაუვიწყიათ, ამიერტაოს ზოგიერთ სოფელში კი დღემდე შემოუნახავთ ქართული ენა. ეს სოფლები ტაოში, ოთხი ქართული სოფელია პარხლის აუზშია. ხევაი, ქობაი და



ბალხი - ელიასხევის დასახლებებია - მთელ ხეობაში გაფანტული უბნებით. უფრო ქვემოთ, მდინარე პარხლის პირასაა ვანისხევი, რომელშიც ორი ქართულენოვანი უბანია - ჭილათი და მახათეთი.

აქვე უნდა ვახსენოთ სოფელი ბინათიც, რომელიც აღნიშნული ტერიტორიიდან მოშორებით, ართვინსზედა სივრცეში, ტაოსა და კლარჯეთის პირობითი საზღვრის მიდამოებში, ჭიმჭიმთან ახლოს მდებარეობს.

ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქართული მეტყველების კვალი შეიძლება ვეძიოთ ჭოროხის ქვეყნების მეთურქულე ნაწილშიც, სადაც ჯერ კიდევ გადარჩენილია ქართული ტოპონიმია, მცენარეთა ქართული სახელები, ადგილობრივთა თურქულ მეტყველებაში დალექილა ქართული ლექსიკა...

თურქეთის შიდა რაიონებში, მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში ტაოელი ქართველების კვალი ნაკლებად შესამჩნევია. ჭოროხის აუზის ეს ნაწილი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების შემდეგაც. მხოლოდ მცირე ხნით, პირველი მსოფლიო ომის დროს, დაიკავა რუსეთმა მთელი ჭოროხის აუზი. ტაოელები - პარხლელ და ბინათელ - გადასახლებულთა შთამომავლები ვნახეთ მარმარილოს ზღვის რეგიონის საქარეას პროვინციის აქიაზის ილჩეს სოფელ შერეფიეში (Şerefiye), რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს უნდა იყოს დაარსებული ქართველ მუჰაჯირთა მიერ. გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონში ამასიის პროვინციის სულუოვას რაიონში არის სოფელი, ქილიჩარსლანი (Kılıçaslan), რომელშიც, სოფელ ბალხიდან გადასახლებული ქართველების ათიოდე ოჯახი ცხოვრობს. ბალხელთა გადასახლება თურქეთის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია. ისინი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ჩასახლებულან სულუოვაში.

როგორც შერეფიეში, ასევე ქილიჩარსლანში მცხოვრებ ტაოელებში ქართული ენის ხსოვნა იმდენად მწირია, რომ შეუძლებელია საანალიზო მასალის მოპოვება დიალექტზე დაკვირვებისათვის.

### 1.3.5. ქართული ენის ცოდნის ხარისხი თურქეთის ქართველებში

ნიშანდობლივია, რომ მუჰაჯირთა ახლადდაარსებულ სოფლებში მაშინვე გაჩნდა ქართული მიკროტოპონიმებიც. ეს ტოპონიმები, რამდენიმე თაობის შემდეგაც, დღემდე შემონახულია. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

ბურსის პროვინცია, გემლიქის რაიონი, ჰამიდიე: მომწვარი, საკანაფო, ბელენგური, ვაკე, მალაყანა, ზეგნები, ხამები, ოვები, მოკაფული ყანა.

ბურსის პროვინცია, ქესთელის რაიონი, სოფ. საიფიე: ნაქერავი, წისქვილიკარი, ჭანები, ბოლოყანა, ვაშლოვანი...

თოქათის პროვინცია, ნიქსარის რაიონი, სოფ. უსთაჰასანი: ჭიკიენთი, კოვიენთი, ფიქლოენთი...

საქარიას პროვინცია, ქარასუს რაიონი, სოფელი აზიზიე: თვალწყარო, წისქვილი კარი, ვაკე, კაკლიძირი, გოდორაჲ, ნაწყვეტი...

საქარიას პროვინცია, ჰენდექის რაიონი, სოფ. ნურუოსმანიე: შავყანა, ჭალა, ვაკე, პაწაჲ ბახჩა, ბათუმი, ნაპურავი, ნასახლევი...

აქვე ერთ საინტერესო და, გარკვეული თვალსაზრისით, პარადოქსულ ფაქტსაც მინდა შევეხო: ჭოროხის აუზში ართვინთან ახლოს მდებარეობს ხატილას ულამაზესი ხეობა. ხატილას მოსახლეობა ქართულად ვეღარ ლაპარაკობს. ხატილელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ ჰენდექის ილჩეში (გუნდოლანი, იქრამიე); აქიაზის ილჩეში (რეშადიე); ბურსას პროვინციის ქესთელის ილჩეში (ორჰანიე)... საინტერესო ისაა, რომ ხატილას ხეობიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს დღემდე ახსოვთ ქართული ენა!

იგივე მდგომარეობაა ნაჯვიადან გადასახლებულთა შორის. ნაჯვია ართვინთან ახლოს მდებარე სოფელია. იქ დღეს ქართულად აღარავინ ლაპარაკობს. სამაგიეროდ, სინოპის პროვინციის სამ სოფელში (ლალა, აქქირაჩი, თანგალი) მცხოვრებმა ნაჯვიელებმა ქართული იციან.

სამწუხაროდ, ამგვარი გარემოებები ვერაფერს შველის წინაპართა ენის დავიწყების შეუქცევად პროცესს. მთელ თურქეთში ქართული ენის შესახებ ზოგადად შეიძლება ითქვას: ა) საგრძნობლად გაღარიბებულია ლექსიკა; ბ) ლექსიკაში გაზრდილია

თურქიზმების წილი; გ) იშვიათად შეხვედები ახალი თაობის წარმომადგენელს, მშობლიური ენა რომ იცოდეს: საშუალო და უმცროსი ასაკის ყმაწვილებმა აღარ იციან ქართული.

ენადავიწყებულ სოფლებში ჭოროხის აუზსა თუ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც კი, ზოგან კარგად უწყიან, გურჯი წინაპრები რომ ჰყავდათ, ზოგან მხრებს იჩეჩავენ, ზოგანაც ცივად უარყოფენ ქართულ ფესვებს. სახელმწიფო იდეოლოგია და ასევე საუკუნეთა განმავლობაში თაობათა ცვლის პროცესი განაპირობებს მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობებსაც.

ქართულად თითქმის ყველგან მხოლოდ უფროსი თაობა ლაპარაკობს. მიზეზად, მსგავსად სხვა სოფლებისა, იმას ასახელებენ, რომ ქართული ენის საარსებო სივრცე შევიწროებულია და პრაქტიკული აუცილებლობა არ არსებობს. გარდა ამისა, პერიოდი, როცა ქართული ენა სასტიკად იდევნებოდა, ყველამ გაიარა და შედეგი ყველაფრისა გახლავთ ის, რომ 20-30 წლის შემდეგ ქართულ სოფელში წინაპართა ენის მცოდნე თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნება.

„ოსმალის საქართველოს“ ცალკეული რეგიონებიდან ქართული ენის გაქრობის ერთ-ერთი მიზეზი იყო მოსახლეობის მიგრაცია: XVI-XVIII საუკუნეებში, ერთი მხრივ, ომიანობისა, და, მეორე მხრივ, გაოსმალების პროცესზე თავის არიდების ერთ-ერთი გზა მამა-პაპათა სამკვიდროდან აყრა-გადასახლება იყო. გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე ოსმალები ათასი ჯურისა და გვარ-ტომის ხალხს ასახლებდნენ, რაც აჩქარებდა მოსახლეობის ეროვნულ აჭრელებას და ასიმილაციას (ლომსაძე, 1975:321).

ეს პროცესი გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც, რუსობის დროს. მიგრაციას ამ დროს სხვა საფუძველი ჰქონდა, მაგრამ შედეგი იგივე იყო - ისტორიული სამხრეთ საქართველო მკვიდრი მოსახლეობისგან იცლებოდა.

ენის დავიწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე გარემო და ცივილიზაციის მონაპოვრები: სოფლის ოჯახებშიც თითქმის აღარ არსებობს იდილიური საღამოები, მშვიდი ხელსაქმე და ძველებური „ხებრები“, ზღაპრები და გაზღაპრებული ისტორიები წინაპართა შესახებ, ნადი და შაირები...

ეს ყველაფერი ტელევიზორმა თუ კომპიუტერმა ჩაანაცვლა. წინაპართა ენასთან ცოცხალი ურთიერთობისათვის ამათი გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ სურვილი აღარ არსებობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე თურქეთის კანონმდებლობით, ნაციონალური უმცირესობებისათვის ნებადართულია სკოლებში მშობლიური ენის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლება. ეს სულ ახალი ამბავია: 2014 წელს საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის მარადიდელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელში, ნურუოსმანიეში, გაიხსნა ორი ქართული კლასი (მასწავლებელი - მუსტაფა ქოლათი). 2015-2016 სასწავლო წლისთვის ქართული ენის კიდევ ორი ჯგუფი გაიხსნა მურღულის (ართვინის პროვინცია, მურღულის რაიონი) სკოლაში. მასწავლებელია ფათიჰ მეიდან (ცვარიძე).

ამ შემთხვევაში არ ვეხებით ქართული ენის მოკლევადიან კურსებს, რომლებიც დროის ამა თუ იმ ინტერვალით ფუნქციონირებს ხოლმე თურქეთის სხვადასხვა ქალაქში. ხოლო თურქეთის განათლების სისტემის მნიშვნელოვანი სიახლე - ნაციონალურ უმცირესობათა ენების სწავლება არჩევითი საგნების ფარგლებში - ნელ-ნელა და მძიმედ მკვიდრდება - ჯერჯერობით მხოლოდ ორ სკოლაში გამოჩნდნენ მსურველები. პროცესის დაჩქარებას, მასწავლებლების და სახელმძღვანელოების დეფიციტზე რომ არაფერი ვთქვათ, მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი უშლის.

## II თავი. სახელის ფუძეთქმნადობა სამხრულ კილოებში

### 2.1 სახელთა ფუძეების ზოგიერთი თავისებურება

საინტერესოა სახელის ფუძეთქმნადობა სამხრულ კილოებში. ჭოროხის აუზის ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვება ფუძეთქმნადობის რამდენიმე ტენდენციას ადასტურებს. სახელთა ფუძეებს შევხებით მესამე თავშიც, მაგრამ იქ ძირითადად, ბრუნებას და ბრუნვათა ფუნქციებს განვიხილავთ. ამჯერად კი შევეცდებით წარმოვაჩინოთ ფუძეთქმნადობის სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები.

კლარჯულში, შავშურში, აჭარულსა და ტაოურში საკმაოდ ხშირად გვხვდება ფუძის საწყისი ბგერის დაკარგვის შემთხვევები. განვიხილოთ მაგალითები:

#### კლარჯული:

...**თაზე** (<მთაზე) არ მივალ, აქ მოვალ-და (დეესქ.); **ძედან** (რძედან-<რძისგან) გავაკეთავთ მაწონი... (ჯივ); რანშე ესე **თავრობის** (<მთავრობის) ადგილი იყო (ზუჯ.); **პილენძის** (<სპილენძის) ქარხანა იყო, ახლა **პილენძი** არ არი (ზუჯ.); ჩვენ მარადიდელი **ძალი** (<რძალი) მყავან, მეტი კაჲ **ძალობა** (<რძლობა) იჯება (ჯივ.); **ძალი** (რძალი) რომ მოსულა, "ფოთა ეფენდიო" მეგერ დუუძახია (მარად.); ჩემი ძეგნის ბიჰს ყავს თიფლისიდან **ძალი** (<რძალი)(ჯივ.); იმას კაჲ **სხალი** (<მსხალი) უსხია, ისე გავ (მარად.); **სხალი** (<მსხალი) შენ წედღე ბათუმ (მარად.); მურთაზას **სხალი** (<მსხალი) მეგერ დამჰალა თლათ (მარად.)...

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება შეგვხვდეს როგორც საწყისი ბგერის გარეშე, ასევე ნორმის მიხედვითაც. მაგ: თიფლისიდან **რძალი** მოიდა (ჯივ.).

#### შავშური:

**თაზე** (<მთაზე) არ ვარ, დავბერდი, **თაში** ვედარ ავალ (ზაქ.); ჩვენ ჩვენი **თავრობა** (<მთავრობა) გვაჰმევდა, გვასმევდა (მან.); ერთ საცხა მეზერ დეინახევდენ **კვდრისას**, (<მკვდრისას) ზიარეთიაო (ჩაქ.); რაფერ, **კდარი** (<მკვდარი) შეხვალ, ცოცხალი გამოხვალ (ხევწ.); ამ წვიმებზე ამოდის, **თველზე** (<რთველაზე) (მერჯ.); **თველზე** სიმინდებ რომ

მოჭრიან, იმ დროზე (მერჯ.); მოშოშთაჲ **სხალი** (<მსხალი) არი, წარიაჲ **სხალი** (<მსხალი) ქვია (ბაზგ.)...

შედარებით იშვიათად გვხვდება მსგავსი ფორმები ქობულეთელ მუჰაჯირთა და ტაოურ მეტყველებაში:

**აჭარული:**

**შვილდისრის** (<მშვილდისრის) რკალს გააკეთევ (კაბაქ.); რომე გააღვიძა შოფერი, **თვარე** (<მთვარე) დაბლა დარჩაო (თახთ.); ახალ **თვარეზე** (<მთვარეზე) მოჭოს არ დააჟდუმლებდენ (თახთ.)...

**ტაოური:**

ვიცით **თუარე** (<მთვარე), **ზე** (<მზე), **ზითულიც** (<მზის თვალი) ვიცით (ქუაბ.); ახლა **თავრობა** (<მთავრობა) მოვდა, მექთეფი გახსნა (ცუც.); ერთხელ **თის** (<მთის) წვერზე ცოტა გათოვებულა (ელიას.); ასე ილაპარაკებენ, **წორი** (<სწორი), მართალი არ ვიცი (ელიას.)...

ასევე აღსანიშნავია ისეთი ფორმები, როდესაც ბგერა დაკარგულია, მაგრამ არა საწყისი ბგერა:

**კლარჯული:**

წყალ მათხაპებდა, **სახში** (<სახლში) შეიყვანდა (ჯივ.); მემრენ მუყყვანიან **სახში** (<სახლში) (ჯივ.); ვინცხას **ბავში** (<ბავშვი) არ ეყოლება.. მიდიან ის, დაწვებიან (ჯივ.); ჩეემი **ბავშია** (<ბავშვია), ამან ქართული არი იცის (ჯივ.); თენზილევ, მე მივალ **სახში** (<სახლში), მომემშია (მარად.); აშედეც მივა მისი აბლამისი **სახში** (<სახლში) (მარად.)...

**შავშური:**

ერთ წელწადზე შვიდი **მოზვი** (<მოზვერი) (ხევწ.); ერთ შვიდი **მოზვი** (<მოზვერი) შეგემატოს (ხევწ.); ზომოთ **სახშია** (<სახლშია) დუგუნნი (ბაზგ.)...

**ტაოური:**

წვრილ **ბოვშები** (<ბავშვები) წევდოდესო (ელიას.); მამაჲს დედაჲ პატარა **ბოვში** (<ბავშვი) ყოფილა (ელიას.); **საწყავის** (<სარწყავის) ჩამოსაგდებათ რომ იქნება "გოზი" წყაროა (ელიას.)...

**აჭარული:**

მე ჯერ **სიკტილი** (<სიკვდილი) არ მწაღია(ფ.); თევზს შეწვიდენ **ნიგზის** (<ნიგვზის) ჟვერში (თახთ.)...

სახმხრულ კილოებში გვაქვს შემთხვევები, როდესაც სახელის ფუძეში უ და ო-ს ნაცვლად გვხვდება ვ ბგერა და პირიქით - ვ'ს ნაცვლად - უ და ო. ეს უკანასკნელი შემთხვევა ძირითადად შეინიშნება ტაოურში. განვიხილოთ მაგალითები:

**კლარჯული:**

ღმერთის **ჭკვა** (<ჭკუა) შენ ზეიდან იყოს (თხილ.); **ჭკვიდან** (<ჭკვიდან) არაა ისე (ჯივ.); **ჭკვას** (<ჭკუას) რატომ თვალი არ ეცემა, ყველას (ჯივ.); **შვახევში** (<შუახევში) ახლა გეისლებოდა (დევისქ.); მუსაფირები მყავს, მეილანენ, **კოღვებ** (<კოლოებს) უკბენიან (მურღ.); ბიჭებმა **გოგვებს** (<გოგოებს) გამუთქმიდენ (ჯივ.); **გოგვები** (<გოგოები) გეეთხვენ, ბიჭიც დაქორწილდა (ჯივ.)...

**შავშური:**

**ჭკვაში** (<ჭკუაში) არ იყო-და (მერჯ.); იმდენი **ჭკვაში** (<ჭკუაში) მოსულიყო ქი... (მერჯ.); **გოგვები** (<გოგოები) ორი ისტამბულ არიან (შავშ.)...

**ქვაბისთაუში** (<ქვაბისთავში) ამათ ხისიმები ყოლიან (მერჯ.)...

**აჭარული:**

ღმერთს არცერთი **ტყვილი** (<ტყუილი) არ გამოვა... (ფ.); იაშარის მამა ჩემი **სიმავრია** (<სიმამრი) (ფ.);

ღმერთს **ჭკუა** (<ჭკუა) მუუცემია, **ჭკვანა** (<ჭკუა უნდა) იხმაროს (ფ.)...

დედოფალს რუმ ნეფის ოჯახში მიიყვანდენ, **სიმაური** (<სიმამრი) ძროხას გამოჰგრიდა (ფ.)...

შეგვხვდა ასეთი ფორმებიც: მაღ მის ბაბას ჩაჰკითხვიდა **ყოლიფერს** (<ყველაფერს) (თახთ.); **ყოლიფერი** (<ყველაფერი) იცის (თახთ.)...

**ტაოური:**

**ბევრი** ამედღეს (ელიას.)...

ვრა ცალი **ცხუარი** (<ცხვარი) (ცუც.); ვრა **თუე** (<თვე) იქ ვიმუშავე (წით.); ხარების ჭედვა მაისის **თუეშია** (<თვეშია) (წით.); მაშინ **ბეური** (<ბევრი) ფულები ქონებთან (ელიას.); ღამით თხრიან, იღებდეს აქ **ბეურნი** (<ბევრნი) მოვლნეს თურისტები (ელიას.);

**ჩუნ** (<ჩვენ) ზროხებ ვინახავთ (ელიას.); **ლაპარიკობენ, წურილნი-წურილნი** (<წვრილ-წვრილნი) აღარ პარიკობენ (ელიას.)...

როგორც აღვნიშნეთ, ფუძეებს ქვემოთაც შევეხებით, მაგრამ აქ შევეხებით სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელ ისეთ ფორმებს, როდესაც ფუძე არ არის შეკვეცილი ან შეკუმშული ისეთ სახელებში, სადაც ჩვეულებრივ ხდება კვეცა ან კუმშვა. ასეთი ფორმები ძირითადად დამახასიათებელია კლარჯული კილოსთვის, თუმცა, მეტნაკლებად გვხვდება ყველა სამხრულ კილოში.

განვიხილოთ მაგალითები:

**კლარჯული:**

იქიდანაც მოვა **ხმაები** (<ხმები) (იბრ.); **ყანიები** (<ყანები) გვექონდენ (ჯივ.); უთხრა მეგერ და თან **ქიები** (<რქები) (მარად.); ბაბი! მაჲ საქათმედსთინ რაფერი **ხიები** (<ხეები) მოგიტანია? (მარად.); მე ვუთხარი ბიძას ე **ამბავები** (<ამბები), ჰამა არ დიმისმინა (მარად.); შენი და ჩემი **ამბავები** (<ამბები) ახვა, შენ იმას რატონ არ იძახი თვარა! (მარად.); იმან იმდონი **ამბავები** (<ამბები) იცის, რომ თავი გეტკინება... (მარად.); **ხიებზე** (<ხეებზე) მუშაოფს-და, ტყეში (მარად.); არც ჩამოვდა ერთი ანტერმა აქ, **ვაკიებში** (<ვაკეებში) (მარად.); მოკდენ **ბებერები** (<ბებრები) (მურღ.); **ბებერების** (<ბებრების) თეთრი თმა ნუ გინდაო, ნუ გინდაო ბევრი თქმა (ჯივ.); **ბებერები** (<ბებრები) არიან, ახლებიც არიან (გურბ.); გოგვები გასულან **ბებრებთან** (<ბებრებთან) (თხილ.)...

**შავშური:**

აქედან ვედოდენ, კარჩხალაში გედეფარდენ, ასე **თიებიდან** (<მთებიდან) (უსტ.); **ოდიები** (<ოდაები) მქონდეს, დაგაწვენთ (შავშ.); ცივ **წყალით**'ნა (<წყლით) დეიბანო... (მერჯ.); ბევრი სახლის ემე იმდენი **რამიები** (<რალაცები) არ იცოდა (მერჯ.)...

**აჭარული:**

სამნივე **სიძიები** (<სიძეები) კაჲ მყავს (თახთ.); **ხიები**, (<ხეები) **ქვიები** (<ქვეები)... (თახთ.); ჩვენამდე **სომეხები** (<სომხები) ცხოვრობდენ (დუა.); ესენი **გენერალები** (<გენერლები) ყოფილან (ფ.); **ქამართ** (<ქამრით) გეიკეთეფ (ფ.)...

**ტაოური:**



ძველათ აქ მამის **დედეები** (<დედეები) როგორ ჩამოედნენ (ელის.); **აჭარადამ** (<აჭარიდან) მოსული იმათი ქართულებ ცოდნით (ელის.)...

ზოგჯერ გვხვდება ისეთი ფორმები, როდესაც გადანაცვლებულია ან ჩამატებულია ბგერა. განვიხილოთ ორივე შემთხვევა:

**კლარჯული:**

დაქფილია, **ქფილსავენ** (<ფქვილსავით) მივა (ბუჯ.); ჭადი ქფილი (<ფქვილი) ამოკრავ (დევსქ.); **ქფილის** (<ფქვილს) სული წუუვა... (დევსქ.); **ქფილი** (<ფქვილი) წყალში'ნა გახსნა (დევსქ.)...

ზაგაზე დავაბამთ ზენჯირით, ისთა **თოკვითა** (<თოკით) (ჯივ.); **კიბილი** (<კბილი) რომ არ მაქვა, ზოგჯერ მოხარშულსაც ვერ ვჭამ (მარად.); მოაკალიბე **ყველამფერი** (<ყველაფერი) (მარად.); **თიბილია** (<თბილი) მარტოდ და რა'ნა ვჭამო (მარად.)...

**შავშური:**

ამა **ზრუგ** (<ზურგს) ეტყვიან (მერჯ.); აქიდან **ზრუგში** (<ზურგში) და **ზრუგის** (<ზურგის) თერეფის პერანგი ზედ ჩაწვილიყო (მერჯ.); ერთი ემეე მოილოდა, **თიფლისიდან** (<თბილისიდან) იყო (შავშ.)...

შარშანწინ, **წრეველ** (<წელს) ბირბუჩულზე ედტანებენ (ხევწ.)... **წრეველ** (<წელს) ბევრი არ ასხია თუთას (ხევწ.)... ცომში ურევენ, **თასიაზე** (<თასზე) ჩაასხმენ (ხევწ.)...

**აჭარული:**

პურის **ქფილიო** (<ფქვილი) არ ხონდენ საფქვაკი (თახთ.); საქონელს **ზრუგზე** (<ზურგზე) ხელს არ წუუსმიდენ (თახთ.); **გამბული** (<გაბმული) ხარი დუუტეკია და გაქცევლა (თახთ.)...

ხუთ-ექს რაიონში ჯანდარმის **უმფროსი** (<უფროსი) იყო (ფ.); **ყველამფერი** (<ყველაფერი) მე მითხარით (ფ.)...

ალამბრიდან წამოსული **ყველამფერ** (<ყველაფერი) იცოდა (თახთ.); **ცეცხლამნები** (<ცეცხლამეები) იქანად დაჟდეს ბაჯანაქ სოფელჩი (თახთ.); **ბრეველი** (<ბევრი) არ იქნებოდა (თახთ.)...

**ტაოურში** მსგავსი შემთხვევები არ მოიძებნა.

გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც სახელურ ფუძეში დაკარგულია ბგერა თუ ბგერები.

სამხრულ მეტყველებაში საკმაოდ ხშირია ერთი ბგერის შეცვლა სხვა ბგერით, რასაც კონკრეტული ფონეტიკური მოვლენა უდევს საფუძვლად. განვიხილოთ მაგალითები:

**კლარჯული:**

**დოდოფალს** (<დედოფალს) ხელზე დაადებენ აგზე, ხელის გულზე (ადაგ.); თქვენც **დოდოფალ** (<დედოფალს) ეტყვიო? (ისკ.); სხალი ვერ ვჭამ, კადა, მწყენულობს, **შექერი** (<შაქარი) მაქ (ჯივ.); მამაშენმა დღეს **შიშა** (<შეშა) აპოფს ჰო? (მარად.); **თერჯიმანი** (<თარჯიმანი) თელ ძერზე გჭირია (დევსქ.); ისე **არაფელი** (<არაფერი) არალი ხომ? (მარად.); **ჩაღმახიც** (<ჩახმახი) ბელლი არაა ჰადმეო (მარად.); იმის ცოტა იქეთაა **საავატყოფო** (<საავადყოფო) (ბუჯ.); თურქეთიდან **ჭვირთი** (<ტვირთი) წამეველე (ჯივ.); **ბზითვალი** (<მზის თვალი) ჩეერბინა, თან გავაგდე და წამუელი (მარად.); ასე მალი **ბზე** (<მზე) უნდანან ბაღნეფ (მარად.); მე დევებმარე **აფხანაკს** (<ამხანაგს) (მარად.); **ლენგერით** (<ლანგრით) ძეა იქა (მარად.); წევდენ **დივებმა** (<დევებმა) ჰაცხან საქმეზე (მარად.); ერთმა **დივმა** (<დევმა) გაჰერსდა მეგერ (მარად.); **დივები** (<დევები) დიდვანი კაცებია (მარად.)...

**შავშური:**

ცალკე'ნა დააჟდუმლო **დოდოფალი** (<დედოფალი) (ხევწ.); შენ **დოდოფალ** (<დედოფალს) ეყვარები (ხევწ.); **ყურზენი** (<ყურძენი) ფენა მოდიოდა, ახლა აღარ მოდის (უსტ.); აქ დადიოდენ **მაჭახლელები** (<მაჭახლელები), გობები მათედენ (უბე); **ნეფეს** (<მეფეს) თოფი ექნება, ესროლებს (შავშ.); ქართველმა უთხრა, **ფენჯერეზე** (<ფანჯარაზე) დადგო (შავშ.); ...ესა მერჯიმეგია, წურილ-წურილია, **ლობისავეთ** (<ლობოსავით) (შავშ.); იქ **ზაღლის** (<მაღლის) საფინავია (ხევწ.); პური გადავარდა და **ზაღლი** (<მაღლი) გადაყვა (ხევწ.); იმდენი **ზაღლები** ყავს, გრიალებენ (ხევწ.); ზოგი წასული არიან,

**მოაჯირად** (<მუჰაჯირად) წევდენ (მერჯ.); **იყბალი** (<იღბალი) ისე მქონდა (მერჯ.); ისაც იმტე **შორედან** (<შორიდან) რავა იქნებო იმტე (მერჯ.)...

**აჭარული:**

**დოდოფალივით** (<დედოფალივით) სიძე მყავს (თახთ.); ზღვა **კობზით** (<კოვზით) დეილევას (ფ.); **ჯიფეში** (<ჯიბეში) არ გუუჩერდება (ფ.); ამეფლო ქაფშია **ჯიფიდან** (<ჯიბიდან) (თახთ.); **ლემსით** (<ნემსით) ქსოვა - ენიში დღესაც არ იციან თურქებმა (ფ.); შენი ცხენი ასი კილო **ჭვირთის** (<ტვირთის) ქვეშ... (კაბაქ.); **ფორთოქალის** (<ფორთოხალის) ტყავს გეიქნევ (თახთ.); სულეიმან **ბუძიეს** (<ბიძიას) ქალმა ცხვარს მოქცემ თხად მომეო (ფ.); ალისა, მალისა, ... **მოზობლისა** (<მეზობლის)...(ფ.); ორმოცამდე **ჭვირთი** (<ტვირთი) არ ამაწვევის (ფ.); **ბათომიდან** (<ბათუმიდან) გამოტანილია (ფ.); იმ სოფელში **შექერ** (<შაქრის ) ფაბრიკად ყოფილა (თახთ.); **რუმელცხად** (<რომელიდაცა) მენდილს გამუართმიდა (ფ.); **პტყელი** (<ბრტელი) ქვაა'ნა გქონებოდა ხელზე (ფ.);...

**ტაოური:**

ბევრი **ხალღი** (<ხალხი) იქნებოდა (ელიას.); იმათ **შექერ** (<შაქარს) მიცემდეს (ელიას.); **ყოლაფერა** (<ყველაფერი) უქნიან (ელიას.); ჩუენ **ზროხებ** (<ძროხებს) ვინახავთ (ელიას.)...

## 2.2 ზედსართავი სახელი და სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება

2.2.1. **მქონებლობის სახელები.** მქონებლობის სახელები იწარმოება –*იან* და –*ა* სუფიქსებით.

-*იან*: გააღო დოლაბი, რომ **თოფიანი** დგას შიან (კირნ.); ერთმა კაცმა მოვდა, **თოფიანმა** (კირნ.); კაცი მოვდა **წვერებიანი** (ჯივ.); ილიასამ წამეფკიდა **ძიანი** კარდალი (ჯივ.); **ჭკვიანი** კაცი სერსემი რატომ'ნა გახდე? (ბუჯ.); ცოტა **წამლიანია** (გურბ.)...

– *იან* **შეიძლება დაერთოს თურქულ ფუძესაც: ყაბულიანი** (თ. kabyk – ქერქი) – ქერქიანი: თხილი გვაქ... თხელი **ყაბულიანი** (იბრი.)...

საინტერესოა, რომ მქონებლონის სახელები თურქული სუფიქსითაც იწარმოება ხოლმე. მაგალითად, ქართულ *-იან* სუფიქსს მნიშვნელობით უტოლდება თურქული *-ლი* (-li) სუფიქსი.

*ბერეკეთლი* (თ. bereket – ხვავი, ბარაქა) – ხვავიანი, ბარაქიანი: მემრე დასლული *ბერეკეთლი* კეთდება (დევსქ.).

*ემექლი* (თ. emek (ği) – შრომა, მუშაობა) – ამაგდარი, პენსიონერი: *ემექლი* ვარ (ბუჯ.).

*აღლი* (თ. yag – ერბო, ცხიმი) – ერბოიანი, ცხიმიანი: *აღლი* ყველი ეტყვიან კამაღიან ყველს (მარად.).

*ნიშანლი* (თ. nişan – ნიშანი, კვალი; ნიშნობა, დაწინდვა, ბელგის მიცემა...) – დანიშნული, დაწინდული: ოთხ წელიწად *ნიშანლი* ვიყავ (ბაგ.).

*ოდალი* (თ. oda – ოთახი) – ოთახიანი: ხუთი *ოდალი* სახლი გქონებია? (მარად.).

-ა სუფიქსი აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა, მცენარეთა სახელებს. აღნიშნავს ამა თუ იმ თვისების მქონებლობას, რომელიმე ნიშნის მიხედვით რაიმესთან მსგავსებას:

ჩემი *შავია* გაზდილა, კოლექტურში მუშაობს (კირნ.). *შავია* ხარის სახელია.

*ყოჩა* თხილი ჯობია (ადაგ.)...

*ნიკორა* ძროხის სახელია, ნიკორი აქ (ქართ.).

შდრ. აჭარული: *ნიკორი* – პატარა ნიშანი გამოსახული ადამიანის ან ცხოველის სახეზე (ჩვეულებრივ შუბლზე) (ნიჭარაძე, 1971: 38).

ძროხას *ყარაყიზას* ვეტყვით, *პირნათელას*, *ბუკნათელას* (ქლასკ.); მოზვრები მყავან, არის *ალთუნა* (ისკ.); *ლამაზა*, *ფუსკულა*, *ჩიჩეგა* – ესენი თელი ფურის სახელებია (ისკ.)...

*ალთუნი* – ოქრო, *ფუსკული* (თ. p sk l) ფერადი ძაფის ან სირმის ფუნჯად ასხმული ფოჩია (ნიჭარაძე, 1971: 72. შდრ. საბა: *ძაფის კონა*)

*ჩიჩეგი* (თ. çiçek) ყვავილი.

ლეღვი არი თეთრი, შავი, *ფათლიჯანა* (ბუჯ.); *შექერა*, *ჭანურა* სხალი გუუთევს (ბუჯ.).

აქ ყველა ბალახი არი, ყვავილა ბალახები (უ.); სამყურად (უსტ.); ამ სხალ წარის ვეტყვით (უ.); გაღმა მთას სარტყელად ქვია (უ.); ალთუნად სიმინდი (უსტ.).

ა სუფიქსით იწარმოება სხვადასხვა ზედსართავი:

*ძირად* (=ძირს ჩამოყრილი, ჩამოცვენილი) ვაშლი ვის მიაქვან, ჭო? (მარად.); *უკანად* (=შემდეგი, მომდევნო) არ ვიცი (ჯივ.); ბაშქოდ და *უკანად* სოფლის ჰუდუდია (დეესქ.). იგულისხმება ბაშქოდს უკან მდებარე სოფელი.

*შიანად* (<შიგანად) ცარიელია (ჩაქ.); „კომ“ ვეტყვით, *შიგანად* ცარიელია (ჩაქ.).

**2.2.2. უქონლობის სახელები.** ქონების სახელთა ანტონიმი - უქონლობის სახელები აღნიშნავენ ძირეული ფუძით აღნიშნული საგნის უქონლობას.

უ-ო უქონლობას აწარმოებს: *უდერდო* ჰიჩ ვინმე არ იქნება (ხება). *უძალლო* ვერ დავმდგარვარ (ჩაქ.)

ქართულ უ-ო თავსართ-ბოლოსართს მნიშვნელობით უტოლდება თურქული *-სუზ* (siz) – და გამოხატავს უქონლობას:

*რაჰათსუზი* (თ. rahat – მოსვენება, სიმშვიდე) – არაჯანმრთელი, სუსტი, უჯანო: *რაჰათსუზი* – ავადევი ვარ (ერენ.)...

*ჯანსუზი* (თ. can – 1. სული, 2. სიცოცხლე, ცხოვრება, არსებობა; 3. ჯანმრთელობა, 4. ძალა) – სუსტი, არაჯანმრთელი: არ გავათხვებ, ქრისტიანი თუა, *ჯანსუზი* თუა, არ მივცემ (ავა.)...

**2.2.3. წარმომავლობის სახელები.** წარმომავლობის სახელებს აწარმოებს *-ელ*, *-ურ/-ულ*, *-დელ* სუფიქსები.

*-ელ* ჩვეულებრივ აღნიშნავს ადამიანთა წარმომავლობას, სადაურობას, *-ურ* სუფიქსი კი – *რა* ჯგუფის სახელებისას.

-ელ(>ალ):

*მაჭახლელო* ხოჯა მყავან (ჯივ.); ახალი [რ]ძალი მევეყაფთ, *კახელი* ქალია (დევესქ.); *ბურსელია*, მუსაფირი იყო (გურბ.); *ერევანელები* სომხები არიან (მურდ.); ის *რიზელია* (ბუჯ.); *არხველი* გოგო ვარ (ერენ.); *არხველებს* ბევრი რაცხები ცოდნიათ (ერენ.); *ერზრუმელი* გურჯი არ არი (ისკ.); ბაშქოფდან ვარ გათხოვილი, *ლომიკეთელი* ვარ (ისკ.); *მეჭელელი* რემზი იქნება (კირნ.); *მარადიდელი* ვარ (ჯივ.); ჩვენ *მარადიდელი* რძალი მყავან (ჯივ.); ესეც გურჯია, *ბორჩხელი* (ჰამ.); ჩემ ბაბანე *აჯარელი* იყო (იჯ.); ისინიც *ბორჩხელია* (ნუსრ.); ე ჩემი ძალია, *ტრაპზონელი* ლაზია (საფ.); *შავშეთლებმა* ბოტ ეტყვიან (ქლასკ.); *ომანელი* ბერი დედეს ეტყოდენ (ჰამ.)...

-ურ|-ულ:

ჩვენი, *აქვერი* (<აქავრი<აქაური) ჩაია, *თურქული* (ისკ.); *ჰიდავრი* (<ჰიდაური) გოდორია, გო, ესე? (კირნ.); არ ილაპარაკა, დელია *გურჯული* (ბუჯ.); ახლებმა *გურჯული* არ იციან (ერენ.); *გურჯული* რამემ ვერ დააწავლა (ხება)...  
თურქული ჯი|ჯე|ჯა|ჩა|ჩე ქართული -ურ|-ულ, აფიქსების შესაბამისია.

*გურჯიჯა|გურჯიჯე* (თ. გ რე – ქართველი) – ქართულად: *გურჯიჯა* წერავს (ისკ.); მე ბადიშებს *გურჯიჯე* ველაპარიკები, *გურჯიჯე* ნუ ელაპარიკებო (ხება); *თურქა* ადვილად მობრუნდება, *გურჯიჯა* ჩეთინია (გურბ.)...

სადაურობის აღნიშვნის ზემოთ ნახსენები წესი კლარჯულში მტკიცე არ არის: -*ელ* სუფიქსით აღინიშნება *რა* ჯგუფის საგანთა წარმომავლობაც, ხოლო -*ურ|-ულ* სუფიქსით – *ვინ* ჯგუფის სახელთა სადაურობა.

-ელ:

*ისტამბოლელო* ელმას (=ვაშლს) ვეტყვით (ისკ.); ყურძენი *ისტამბოლელია* (ბუჯ.); *ქართველი* ზორ კაფ არ ვიცი (ჰამ.); უწინდელი სახელია *ბუჯურელაფ* ვაშლი, სახელი ამ სოფლიდანაა (ბუჯ.)...

უკანასკნელ მაგალითში ორი სუფიქსია –*ელ* და –*ა*.

ათ და ხუთი სოფელი *ქართველია* (ბორ.).

შევნიშნავთ, რომ *სოფელში* სოფლის მკვიდრებს, ადამიანებს გულისხმობენ.

**-ური-ულ:**

ეს ქალი **ქართული** არაა, ართვინიდანაა (ბუჯ.); ჩემი ნენეა, ბაბოა **ქართული** არაა (ბუჯ.); აქა, ქომო, **მურღულური** არხატაშ ვარ (ამხანაგი არის) (ნუსრ.)...

ერთი და იგივე მოსაუბრე ადამიანის სადაურობის აღსანიშნავად ერთსა და იმავე წინადადებაში იყენებს სხვადასხვა სუფიქსს:

ჩემი რძალი **გურბინელია**, მე – **ისკებური** (ისკ.); ჩემი ოჯახი **ქართველია**, ცოლი **ქართული** იყო (მურღ.)...

ეს მოვლენა, **-ელ** და **-ური-ულ** აფიქსების განურჩეველი გამოყენება **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებთან ისე ფართოდ გავრცელებული, თვალში საცემი არ ჩანს, როგორც შავშურში.

შავშურ კილოშიც **-ური-ულ** არ განასხვავებს **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებს; ნორმად ითვლება ამ სუფიქსებით ადამიანთა სადაურობის აღნიშვნა.

გვარეთ დაბა, მე **დაბური** ვარ (ზაქ.); გელინი **ზიოსურია** (ბაზგ.); ანეა **ჩაქველთური** ქალია (ახალდ.); **უბური** იყო (ბაზგ.); **მაჭეხლური** ემეი ყავდენ, ანაა (ბაზგ.); **მაჭიხლური** არი ბაიარ შაჰინი (ბაზგ.); **მაჭიხლური** ბევრი არიან (მან.); **ზეგნური** იყო ზათი, ახალდაბიდან გადმოთხოვილი (ჩაქ.);

**ბათუმურია** ისა, ჯაფერაა (ხეფწ.); აქ გადმოდიან **ბათუმური** ბაღვები (იფხ.); ახალი გელინია, **ბათუმური** არ არი, **ქუთაისური** არი (ჩიხ.).

ჩემი კაცი **ჩიხორულია**, **ლიბანური**, აფნი ვართ (ა.); ჩვენ აქ ამ **სოფლური** ვართ (ზენ.);

ჩვენი **სოფლური** არიან, ბიჭიც **ქართულია**, გოგოც **ქართულია** (უსტ.); ვუთხარ, მე **ქართული** ვარ და გიმიშვეს (ჩაქ.).

**ვინ** ჯგუფის სახელთაგან სადაურობის სახელი **-იერი-იელ** სუფიქსითაც იწარმოება:

ჩემი თავი ამ **სოფლიერს** ბოვრი უყვარს (ჰამ.); ბობებს ჩვენ[ი] **სოფლიერები** არ ჩეცვამს (ნუსრ.); **სოფლიელებმა** ლობიო დაარგებენ (მურკ.)...

**აქ** ზმნიზედისაგან სადაურობის სახელი ერთდროულად **-ურ** და **-ელ** სუფიქსებით აღინიშნება:

ისიც *აქა-ვრ-ელ-ი-ა* (<აქა-ურ-ელ-ი-ა), გურჯია (ჰამ.); *აქევრელები* ზორ ბევრი არიან (ჯივ.); ისიც *აქევრელია*, ჩემ სოფელია (ბორ.)...

*აქა-ურ-ელ-ი>აქა-ვრ-ელ-ი>აქე-ვრ-ელ-ი.*

ქალიც *აქავრელია*, გურჯია (ჰამ.).

*აქა-ურ-ელ-ი>აქა-ვრ-ელ-ი.*

ორმაგი წარმოებისაა აგრეთვე *ქედელური*:

ეს *ქედელურია* (ახალდ.).

აფიქსური წარმოების პარალელურად სადაურობა ზოგჯერ აღინიშნება შესაბამისი ძირეული სახელით, უაფიქსოდ:

მეა *მურღული* [რ]ძლები მყავ (დევსქ.); ხოჯა ჩემი *მაჭახელია* (=მაჭახლეელია) (ჯივ.); *მაჭახლები* ხაპ ეტყვიან (ჯივ.); „ეზოს“ *მურღულმა* (=მურღულელმა) ბელქი იხმარავს (ხება).

შდრ. ეს *მურღულელია* (ესკი ფერადიე).

### 2.3 რიცხვითი სახელის წარმოების ზოგიერთი თავისებურება

თურქეთელი ქართველები უმეტესად იყენებენ თურქულ რიცხვით სახელებს. ქართულად დათვლა უჭირთ, განსაკუთრებით, პირველი ათეულის შემდეგ. მიუხედავად ამისა, არსებულ მწირ მასალაზე დაკვირვებაც გამოავლენს ხოლმე სამხრული დიალექტების ზოგიერთ თავისებურებას.

ერთი სამხრულ დიალექტებში, ძირითადად, ჩვეულებრივ წარმოითქმის, თუმცა, ზოგჯერ „რ“ იკარგება და ისმის ე’თი: ე’თი გოგო მყავს და (დამუდერე)... ეს ფორმა განსაკუთრებით შესამჩნევია ქედის რაიონიდან გადასახლებული მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში (მაგ. გირესუნის პროვინცია და სხ.)

რიგობითში იშვიათად გვაქვს *მეერთე*. უფრო ხშირია *მიერე*. ხშირია ბგერათა გადასმის, ზოგჯერ ჩანაცვლების მაგალითები:



### **კლარჯული:**

**მეერთე** არა, **მევრე** (<მერვე) არა, მესამე'და გამეარო (ისკ.); **მიერე** (<მეორე) დღეს ყველამფერი დაავიწყდებოდა (მარად.); ეს გელინისაა, **მიერეც** (<მეორეც) გელინისაა (ქართ.); ჩემი ცოლი **ოძდათრამეტი** (<ოცდათვრამეტი) წლისა იყო, მოკდა (ბუჯ.)...

### **შავშური:**

**მევრე** (<მეორე) დღეს მეფერებიან ქალები, ითამაშებენ (შავშ.); დუგუნამდე ხუთი-**ექსი** (<ექვსი) თვე გევდა, ჰიჩ არ დიმინახავს (შავშ.); ამა **ექსი** (<ექვსი) ბიჭი ყავს (ზაქ.); ემექლი გავხდი, **ოცდაექსი** (<ოცდაექვსი) წელიწადი ვიმუშავე (ზაქ.); ახლა **ოსდაექსი** (<ოცდაექვსი) თანე არიან მეჯლიშში (ზაქ.); ჰო, ერთიც ჩემი არი, - **ვრა** (<რვა) (ხევწ.); შვიდა, **ვრა** (<რვა) წელიწადია (ხევწ.); **მიერე** (<მეორე) წელწადსაც მე წამუელ (მერჯ.); **მიორეც** (<მეორეც) გამეძტანე (ზაქ.)...

### **აჭარული:**

**ვორი** (<ორი) კილო ჯინჭარი (კაბაქ.); **სამნივე** (<სამივე) სიძიები კაჲ მყავს (თახთ.); დუაელებს უნახიან ერთი მიწა **მიერებს** (<მეორეებს) უთქმიან... (თახთ.); ერთი წასულა იქიდან, **მიერებს** (<მეორეებს) დაწევთან და უცემიან (თახთ.); მაშინ **მიერე** (<მეორე) ითამაშებს (ფ.); **ერი** (<ერთი) შვილი და **ერი** (<ერთი) გოგო დაშჩენია (ფ.); **ვორი-სამი** (<ორი-სამი) ბალანაჲ მოკტა (კაბახ.); **ვორ-სამ** (<ორ-სამ) წელიწადს უარე, მემრე გავთხოვდი (ქორ.); იმას **ვორი** (<ორი) ძმაჲ ყოლია (ფ.)...

### **ტაოური:**

ერთი ათი ცალი იქნება თუ **ფშვიდი** (<შვიდი), **ვრა** (<რვა), თუ **ვრა** (<რვა) ცალი ცხუარი (ცუც.); ათ და **ვრა** (<რვა) თუე იქ ვიმუშავე (წით.); **ფიდნი** (<შვიდნი), **ვრანი** (<რვანი), ბევრი მიდიოდეს (წით.); ას წელწადზე **ბეურია** (<ბევრი) (ცუც.); ერთი, **ვორი** (<ორი), სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, **ვრა** (<რვა), ათი, **ათდაორი** (თორმეტი), ორმოცი, **ათიდასამი** (ცამეტი), **ათიდაოთხი** (თოთხმეტი), **ათიდახუთი** (თხუთმეტი), **ხუთმოცდაათი** (ორმოცდაათი), **ექვსმოცი** (ასოცი), **შვიდმოცი** (ასორმოცი), **რვაოცი** (ასსამოცი), **ათოცი** (ორასი)...

ჩვენი დათლა არი ძველ გურჯული დათლა (ელიას.).

## 2.4. ნაცვალსახელი

ზოგი თავისებურებით ხასიათდება ნაცვალსახელი:

გავრცელებულია **ისა**: ჩემი ახრება არი **ისა** (ჩაქ.); იმგვარი გერმელია **ისა**, ქი (ბაზგ.).

დასტურდება ნაწილაკიანი ფორმებიც:

**ისაც** ავად გახდა, **ისაც** ემე გამიხდა (ბაზგ.); **ისაც** ფეთიმი იყო; **ისაც** [დაილა] ჩვენია (ჩაქ.).

ი ბოლოკიდურიანი იშვიათია:

სერზე **ისი** არი ... დუზია (ჩაქ.).

**ისი** იშვიათია **ც(ა)** ნაწილაკითაც:

ახლა **ისიც** აღარ მყავს (უსტ.).

გამოთქმულია ვარაუდი: „შესაძლოა... **ესე**, **ისი** ... არქაიზმები კი არ იყოს, არამედ **ესა**, **ისა** ფორმების ასიმილაციის შედეგი“ (ლექვა, 1958:183). საინტერესო ვარაუდია, მაგრამ ასიმილაცია ხელს არ უშლის, რომ **ესე**, **ისი** არქაიზმები იყოს.

აჭარულში კითხვითი ნაცვალსახელი **რა** მსგავსად ძვ. ქართულისა, სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში არ იკვეცს ბოლოკიდურ ფუძისეულ ა-ს. მაგ.: **რადს** ჩლუქია? **რადთ** ჭრი? რა ვარ, **რადს** მქნელი.

ყურადღებას იქცევს პირის, ჩვენებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები.

პირის ნაცვალსახელები „**უნდა**“ ნაწილაკის **ნა** და **და** ელემენტებთან შერწყმული, ასეთი სახით გვხდება: **მე'ნა**, **მე'ნდა** („მე'ნა წევდე“), **ის'ნა** მოვკლა ცემაში, **შენ'და** („შენ და (შენ უნდა) მოკწერო“), **ისინი'ნდა** (ისინი'და წიყვანონ).

თავისებურება ახასიათებს ჩვენებით ნაცვალსახელებს: **აგი**, **მაგი**, **იგი**. მრავლობითის ყველა ბრუნვაში სახელობითის ფუძეა გამოყენებული, ხოლო მრავლობითის გამოსახატავად **ნ** სუფიქსი: **აგინი**, **მაგინი**, **იგინი**...

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაცვალსახელთა ამგვარი გაფორმება არაა დამახასიათებელი არც ძველი ქართულისათვის და არც თანამედროვე ქართულის დიალექტებისათვის, გარდა გურულისა. აქვე შევნიშნავთ, რომ აჭარულში ეს

მოვლენა ერთნაირი სიხშირით არაა გავრცელებული. იგი უფრო ქობულეთური კილოკავისა და ჭვანის ხეობის მკვიდრთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

იშვიათად ზემოაღნიშნული ნაცვალსახელები ნ-ს გარდა –ებ სუფიქსებსაც დაირთავენ: მაგინები, აგინები, იგინები.

ეს, ის ჩვენებითი ნაცვალსახელები, როგორც ზოგიერთ სხვა დიალექტში, აქაც თანხმოდანმოკვეცილი ფორმითაა: ი გომბიო, ე კაცი...

## თავი III. სახელის ბრუნება, ბრუნვათა ფუნქციები და რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში

### 3.1. სახელი

მეტყველების ნაწილებს შორის გვაქვს ოთხი სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი.

ამდენად, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ცნება-ტერმინი „სახელი“ აერთიანებს სემანტიკურად არაერთგვაროვან რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს (ერთი მხრივ „საგანი“, მეორე მხრივ - „თვისება“, მესამე მხრივ - „რაოდენობა“...);

უპირველეს ყოვლისა, საერთო ცნება „სახელი“ უნდა დავახასიათოთ იმ გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, რომელიც საერთო იქნება ამ ცნებით წარმოდგენილი სიტყვათა ყველა კლასისათვის. ასეთი არის **ბრუნება**.

ამდენად, სახელად შიძლება მოვიხსენიოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც განარჩევენ ბრუნვებს, ანუ ქმნის ბრუნების სისტემას.

სახელისათვის ასევე დამახასიათებელია რიცხვის გრამატიკული კატეგორია, ოღონდაც ეს კატეგორია შინაარსობრივად არსებით სახელს მიემართება, ხოლო დანარჩენ მეტყველების ნაწილებზე გადადის იმდენად, რამდენადაც ისინი ან მსაზღვრელის როლში შეეთანხმებიან არსებით სახელს (მთანი მაღალნი), ანდა არსებითი სახელის როლს ასრულებენ (ისინი, მათ...).

სახელი, როგორც ბრუნებადი სიტყვა, ასევე, დაირთავს თანდებულებს.

ამდენად, ცნება „სახელი“ რამდენიმე ლექსიკურ ჯგუფს აერთიანებს:

სახელებში, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება სიტყვები, რომლებიც გარემომცველი საგნობრივ სამყაროს ასახავენ. ყოველ საგანსა თუ მოვლენას ენაში აქვს თავისი სახელი; საგანი მრავალია და მათი სახელდების შედეგი, შესაბამისად, მრავალფეროვან სურათს იძლევა; საგნის არსებობას საგნის სახელი აფიქსირებს, ამიტომაც ჰქვია ამ კლასის სიტყვებს - „არსებითი სახელი“.

მეორე მხრივ, ცნება „სახელი“ მოიცავს სრულიად განსხვავებული შინაარსის სიტყვებს, იმ სიტყვებს, რომლებიც საგანთა ნიშან-თვისებას გამოხატავენ. ნიშან-თვისება ნაირგვარია და შესაბამისი სიტყვებიც მრავალფეროვანი. ეს სიტყვები ისევე „ახლავს“ არსებით სახელს, როგორც საგანს „ახლავს“ ესა თუ ის თვისება. ამ კლასის სახელებს ჰქვია „ზედსართავი სახელი“.

კიდევ ერთი შინაარსობრივი ჯგუფი სახელებისა არის „რიცხვითი სახელი“. ეს არის საგანთა რაოდენობასთან დაკავშირებული სიტყვები, რომლებიც არსებით სახელთა მიმართების თვალსაზრისით უფრო ზედსართავ სახელთა კლასს ეკედლება.

კიდევ უფრო განსხვავებულია ენაში დანიშნულება იმ განზოგადებული შინაარსის სიტყვებისა, რომლებიც არც კონკრეტულ საგნობრივ სემანტიკას შეიცავენ და არც განსაზღვრულ ნიშან-თვისებას გადმოსცემენ, მაგრამ ერთი კლასის სიტყვების ჩანაცვლებაც შეუძლიათ და მეორისაც. ამ კლასის სიტყვებს ქართულში აერთიანებს ტერმინი „ნაცვალსახელი“.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა სახელი იბრუნება. ბრუნება სახელთა საერთო კატეგორიაა.

ბრუნება არის სახელის ფორმაცვალება ბრუნვათა მიხედვით. სახელი იცვლის ფორმას იმისთვის, რომ დაუკავშირდეს სხვა სიტყვებს (პირველ რიგში - ზმნებს). ქართულში გვაქვს შვიდი ბრუნვა.

სახელებისთვის ასევე ნიშანდობლივია სიმრავლის გამოხატვის უნარი, ანუ სახელებს აქვთ რიცხვის კატეგორია.

ბრუნებისა და რიცხვის გამოხატვა სახელში ურთიერთშეთავსებული კატეგორიებია.

თანამედროვე ქართულის ბრუნების პარადიგმა 7 ერთეულს შეიცავს. მათგან სამი ე. წ. პირდაპირ ბრუნვებს განეკუთვნება. ესენია სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი.

სამი - ირიბი ბრუნვაა, რომელთა ფუნქციები კუთვნილების, მასალის, გარდაქცევითობის, ლოკალიზაციის მნიშვნელობებს ითავსებს. ესენია: ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი.

ერთი ბრუნვა - წოდებითი - ცალკე დგას, რამდენადაც მისი ფუნქცია ოდენ მიმართვის როლით შემოიფარგლება და, ამდენად, სინტაგმატურ მიმართებათა უნარი უკიდურესად შეზღუდული აქვს.

არსებობს თვალსაზრისი, რომ წოდებით ბრუნვას ბრუნების პარადიგმაში ადგილი არ უნდა ეჭიროს, რამდენადაც ის ფუნქციით არ ჰგავს დანარჩენ წევრებს, მაგრამ, მეორე მხრივ, წოდებითი ნამდვილად განეკუთვნება არსებითი სახელის ფორმაწარმოებით სისტემას და მისი ადგილი შეიძლება მხოლოდ ბრუნების პარადიგმაში იყოს და არა - სხვაგან (გოგოლაშვილი, 2011: 47. **შდრ. შანიძე, 1956: თოფურია, 1956: )**

### 3.2. სახელთა ფუძე

ფუძე - მორფოლოგიის ძირითადი ცნებაა. ფუძე ჩვეულებრივ განიმარტება ორი – ლექსიკური და ფორმოზრივი თვალსაზრისით.

პირველი თვალსაზრისით, ფუძე არის სიტყვის ის ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია ლექსიკური მნიშვნელობა.

ფორმოზრივი თვალსაზრისით, ფუძე პერმანენტულად ცვლადი მონაცემია; იგი განიმარტება როგორც საყრდენი ფორმათა სისტემისათვის. შესაბამისად, ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმოზრივი სისტემისათვის ფუძე სხვადასხვა შეიძლება იყოს.

ფუძეთა მიხედვით სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი, მაგრამ სამხრულ კილოებში ზოგიერთი არსებითი სახელი ორგვარი ფუძითაა წარმოდგენილი:

**თუთა//თუთი:** ბალი მიყვარს, **თუთა** - არა (ხევწ.); **თუთა** მოგიტანე, ჭამე (ხევწ.); მე ახლა **თუთა**'ნა მეჭამა (ჩაქ); **თუთა** დაგირხიო? (სვირ.)....

აქ დაჰა ბევრია **თუთი** (სვირ.); აქ არი **თუთი** (ჩაქ.); **თუთს** აქანებენ, არხევენ (ხევწ.) ყალე ქი არი, **თუთი** არი (ჩაქ.).

ხმოვანფუძიანი ვარიანტია ამ ხილის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდებაში - კომპოზიტში „**თუთაყურსი**“.

**თუთაყურსი**, თეთრი თუთა რომ გაწითლდება, ისაა (დავ.).

მრავლობითის ფორმაში, ბუნებრივია, ამოსავალი ფუძე არ ჩანს:

თუთები გვაქ, ვაშლები გვაქ (უსტ.).

ამ სახელის შესატყვისია თურქული dut. თუთი გვხვდება მეთურქულე შავშელთა მეტყველებაშიც.

აქაურ ქართულ მეტყველებაში თუთა'ს ორგვარი ფუძით წარმოდგენა, თურქულის გავლენით უნდა აიხსნას. თანხმოდანზე გათავებული ფუძე თუთ'(<თ. dut) თურქულიდანაა შემოსული, თუთა - ქართულია.

**ჯინჭველი//ჯინჭველა:** ჯინჭველმა გიკბინა, დეგენჯან, ჯინჭველმა? აქ ბევრი ჯინჭველა არი (უ.).

აქარულში გავრცელებულია ხმოვანფუძიანი ვარიანტი. ჯინჭველი არქაულია, იგი ეკუთვნის იმ სახელთა რიცხვს, რომელთაც ძველ ქართულში ფუძე თანხმოდანზე უთავდებოდათ, დროთა განმავლობაში კი იქცნენ ხმოვანფუძიანებად. შდრ. რადსაებრ უკუე განეყოფვის კაცი ჯინჭველსა? (ამონ. ერმ. 92,34); ჯინჭველი შეიპყარ (სიბრძ. 7); მცონარს სოლომონ აბაგებს, ჯინჭველი მოსწონს ქებითა (ქილ.დამ.3).

სამხრულ კილოებში ხმოვანფუძიანია სალიტერატურო ქართულისა და ზოგიერთი დიალექტის წამწამი, ჭარხალი:

ეს წარბი, ეს წამწამა (ჩაქ.); ჭარხალას ვთესავთ (ზ.).

არსებითი სახელი დარი შედგენილ შემასმენელში მეშველი ზმნის მესამე პირის შეკვეცილ ფორმასთან ა(<არის) ე ხმოვნით არის წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ სტროფში მას ერთმეზა ია'ზე დაბოლოებული ზმნა - მწადია:

მოყორილში წვიმა წვიმს,

დიობანში დარეა,

სამი წელიწადია,

დასახლება მწადია (უსტ.).

სალიტერატურო ქართულის თანხმოდანფუძიანი წევრი ბოლოვდება ა' ხმოდანზე, ალბათ, სართიმო სიტყვის გამო:

აველ გორი წვერაზე,

დავჯექ მაზი წერვაზე (უსტ.).

თურქულიდან შემოსული ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი სხვადასხვა ხმოვნით ბოლოვდება:

**ბაბად//ბაბოდ:**

ჩემი **ბაბად** იყო კონდრაბადზე (უსტ.); **ბაბად** იტყოდა (მაჩხ.).

ანად, **ბაბოდ**, ხუთი წლის ვიყავ, მომიკდა (ა.); იმის **ბაბოდ** იქ წევდა (ხევწ.); ჩემ **ბაბოდ** ჩვენი თერეფის უმფო მედწადინა (უსტ.).

**ბაჯი//ბაჯოდ:**

ამისი დედამთილი ჩემი კაცისა და იყო, **ბაჯი** (სვირ.); წასლიხან ჩამაცვეს ამის **ბაჯის** მოტანილი (შავშ.)...

ი რომ ფუძისეულია, ჩანს წოდებითში:

ანი, შენ ჩაი? შენ - **ბაჯი**?

ეს ამისი ემე არი, **ბაჯოდ** (სვირ.); აგზე გელაპარიკებოდა ამისი **ბაჯოდ** (ნიოლ.); **ბაჯოდ** **ბაჯოს** ბაჯალას თხოვნილობს (ივ.)

**ბიბი//ბიბიამ//ბიბოდ:**

ძალს თავის **ბიბის** სახელი ქვია, **ბიბისაც** ისმინაზი ქვია (ბაზგ.); ჩვენი **ბიბიამ** იყო აგზე და მოკდა (იფხ.); ერთი **ბიბოდ** მყავდა, ბაბოსი და (ბაზგ.).

**ქილისე//ქილისა:**

მე შევდოდი **ქილისეში**, ქომოთ არი **ქილისე** (დ.); იქაც **ქილისას** ნანგრევები არი (ჩაქ.).

ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი შავშურში თანხმოვანფუძიანი ვარიანტიტაც გვხვდება:

**შოშე//შოში** (შდრ. რუს. **Шоше** - გზატკეცილი):

ადის არაბად, იგზე დუზია, **შოშე** გზაა (ჯვარ.); აქ **შოში** არი და, ქვეშედან **შოში** მუა, იქიდან **შოშით** ბელქი წევდენ, **შოში** ღელედამ ჩვევლით **შოშში** (ხობ.).

თურქული anne და ana (დედა) ასევე ორი სახითაა შესული შავშური კილოში:  
**ანნეა//ანნეა//ანაა:**

**ანნეა** არ დაგვიძახნია, **ანნეა** ერთი თანე გვყავანო, **ანაა** და ბაბოდ და არ ქნა (ბაზგ.).

უფრო გავრცელებულია ა' ხმოვნიანი ვარიანტი.



თურქულში ე ხმოვნით დაბოლოებული სახელის ფუძე შავშურში ა ხმოვნია, ი ხმოვნიანი ეზე ბოლოვდება:

**ქოლა** (შდრ. kole „მონა“, „მოჯამაგირე“):

იმათი **ქოლა** ვყოფილიყავ (ბაზგ.)?

ეს ფუძე დაცულია ამ სახელისაგან ნაწარმოებ ზმნაშიც:

წამუელ, რათ'ნა **ვექოლაავო**, ვეხიზმეთქარო (ბაზგ.)? შენ ქორ ქალ'და **ვექოლაავო**? არ **ვექოლავე** (ბაზგ.).

**ქოშა** (შდრ.koşe, კუთხე“):

[მოჭრილ ჭიპს] ჯამის **ქოშეზე** ჩამოაგდებენ (წეთ.); ციხევ, მოგიკდეს ამშენებელი, გარედან **ქოშა** მიმშენებელი (მაჩხ.).

**ქოშე** და **ქოლა** ორივე ფუძე აჭარულში ე ხმოვანზე ბოლოვდება (ნიჟარაძე, 1971).

**ჯამე** (შდრ.Cami „მეჩეთი“):

**ჯამე** დავასუფთავეთ (უ.); **ჯამეს** ქი აკეთებენ (ბაზგ.).

თურქულიდან შემოსული თანხმოვანფუძიანი სახელები დაირთავენ სახელობითი ბრუნვის ნიშანს და „გაქართულდებიან“:

**ადეთი** (adat „ჩვეულება“): **ადეთი** არ არი (ბაზგ.);

**ადუმი** (adum „ნაბიჯი“): ორი **ადუმი** გადადგა (ჩაქ.);

**ბაირამი** (bayram „დღესასწაული“): **ბაირამი** არ არი... რაა'ნა ვიმღერო? (ბაზგ.);

**ხებერი** (heber „ამბავი“): შენ **ხებერი** არ გაქ (უ.).

მაშ ასე, სამხრულ კილოებში გამოვლინდა ორმაგი დაბოლოების სახელური ფუძეები: თუთა||თუთ'ი, ჯინჭველ'ი||ჯინჭველა, წამწამ'ი||წამწამა, ჭარხალ'ი||ჭარხალა, დარ'ი||დარე, წვერი||წვერა...

ბაბა||ბაბო, ბაჯი||ბაჯო, ქილისა||ქილისე, შოშ'ი||შოშე, ანნე||ანა, ქოლა||ქოლე, ქოშა||ქოშე...

მოყვანილი მასალა შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაიყოს:

ა. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები;

ბ. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები და თანხმოვნები.

ცვლილება მოუდის როგორც ნასესხებ, ისე ქართულ ფუძეებს. ფუძის ორგვარი ვარიანტით წარმოდგენა სამხრული კილოების სახელის ფუძისქმნადობის ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რა უდევს საფუძვლად სახელის ფუძის ორ ვარიანტად წარმოდგენას? ჩვენი აზრით, სახელის ფუძის ორ ვარიანტად წარმოდგენის საფუძველი ფონეტიკურია, თუმცა ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა საფუძველიც შეიძლება დაიძებნოს.

### 3.3. ბრუნვის ნიშნები, ბრუნვათა თავისებურებები

ბრუნვის ნიშნების მხრივ სამხრულ კილოებში ბევრი თავისებურება არ ჩანს.

ხმოვანფუძიანი საზოგადო და საკუთარი სახელების სახელობით ბრუნვაში ერთმანეთს ენაცვლებიან უნიშნო (ნულოვანი ალომორფით წარმოდგენილი), ი და ე (<ი) ნიშნიანი ფორმები.

განვიხილოთ მაგალითები დიალექტების მიხედვით და შევადაროთ ერთმანეთს.

**შავშური კილო:**

მიწის ქვეშ სამი თანე **გზა** არი (ა); ღმერთო, **წვიმა** მოგვეც (მაჩხ.); დედლიოს ქი [ჩაი] **გემო** გველიოთ (მაჩხ.); **ბაირამი** არ არი, **დუგუნი** არ არი, რაა'ნა ვიმღერო?! (მერჯ.); სიკვდილის საათი ჩუენთან რომ მოვა, თეთრი **სინათლე** თუ ალიდან წავა (მერჯ.); იმათთვის ეს **დუნია** დეიწუა, არ დარჩა, გუანახვოს ისინი ღმერთ გამჩენელმა... (უსტ.); სამოთხეში არ არი **ლოცვა**, **ნიეთლობა** არც ნამერემი, არცა **დარიდება**, არის სიყუარული, **სიკეთე**, **მორიდება**... (უსტ.); **ლოცვა** და **კითხვა** დეიკარგა, წევიდა... (მაჩხ.); რათ გინდა **დუნიაში** კაი **სმა** და **ჭამა** (მაჩხ.)...

სხვებიც **ზმა** არი, **ძია** არი (ნიოლ.); **ძიგარა** გინდა, მოუკიდებ (ჩაქ.); მარილი **ცოტაა'ნა** ჩაყარო (ჩაქ.); საქონელი ბევრი იყენენ, ახლა **ცოტაა** (უსტ.); **სიძე** ძველათ დედოფალ არ დეენახვებოდა (სვირ.); ზეინას მიძახიან ენჩული, **ზეინაზა** მქვია (ბაზგ.); **ბეზია** იქნებოდა აქა, იცოდა (მერჯ.); ესკი ფეხებით უტენავან კანდრაში **ფშნილა** (მერჯ.); **დედე** იქედან გადმოსულა, მაჭახელ ეტყვიან, გაგონილი გექნება (მერჯ.); **მურთაზა** თუ იქ არი, გეკითხოთ (მერჯ.); აქ ხილი, მეფა თელი არი.

ვაშლი არი მესერად, ოტრილად, საჭურად, თავჭურულად, წითელვაშლად, თეთრი ვაშლი, მაჭახელად, წოწოლად (ზ.);

**ბაზოფც ხუჯუზი მყავდა (ბაზფ.).**

**კლარჯული კილო:**

ჩემი **დედე** იქ ყოფილა, ბორჩხაში (ქლასკ.); **ზექერად** იყო, ჯემალი იყო (ქლასკ.); ბიჭის **დედა** და **მამა** წევდოდენ გოგოს სახში (ხ.); აქ ერთი **პაწად** ვენახი მაქვა...(ხ.); **დედე** ხარფში შეიდი გახდილა (ხ.); ჩემი **ბაზოფ** და ჩემ შილის **ბაზოფ** ძმების ღარჭები იყვენ (მურათ.); ჩემი **დიდნენე** აჭარიდან მოსულა – ზერე (ბაგ.); პატარა ვიყავ, ცხრა წლის, **ნენე** მომიკლენ, **ბაზოფ** დამიქორწილენ (ქლასკ.)...

ერთი **დედე** ხოჯა იყო; ჩემი **ბაზო** აქ მოსულა (ხ.)...

აქ **ჩემ კაცი**, ერთი **ბიჭი**, გოგო გათხოვილია ანკარას (ბაგ.)...

ჩემი **შვილი** შოფრობას იჯება (ქლასკ.)...

**ტაოური კილო:**

**წვრილ ბოვშები** წევდოდესო; ქვეით მეტი **ხალხ** არ ყოფილა (ელიას.); ყანა-ქალიდან **მოსულ** აქ სუყველა აქ სახლობდა (ელიას.); **ტახებ** არიან (ცუც.); აქა იშტა **გენჯებ** არ იციან (ელიას.); **სიტყვებ** იციან, ხდებიან; ეს **მეზობლებ** არიან (ცუც.); იქ **კაც** იყო; აქ **ტყეებ** ყოფილა (წით.)...

**დედა** ნახევარ ავათ არი (ელიას.)...

ჩემი **ხანუმი** გურჯია; აქინამ არი ერთი **მასწავლებელი** ერზერუმში (ელიას.)...

**აჭარული კილო:**

შავი **ხე** იყო; ძმამ წევდა, **ზაფითად** ეთქვა იმას (თახთ.); **გელამარად** შვიდ წელიწადს ეგდო ქვაზე თურმე (თახთ.); **ლიკუმფხად** უძებნიან დუაიერლებს და უნახიან (ფ.); იყო **ხელწისქვილად**, ახმედ **ბუძად** მოსთქმიდა (ფ.); საბათინ გოქსუს **ბიბილად** იყო (ზაგ.); ჯეიჰანის დედის **დიდნენე**; **წვინდა** წყალი არ მისვამს (თახთ.); იმხელა მაგარი ქალი იყო **ფაცუნად**, იმხელა ქესკინი ქალი ყოფილა რომე კაცი გალახა (თახთ.); ჩემი **ბაბუა** ექიმი იყო, ბალახებიდან აკეთებდა წამლებს (ფ.); **ბაბა** მომკტომია ხუთი წლის წინ ვყოფილვარ, ჩემი **ნენე** იტყოდა რომე აი გოგვები სხვის კარზე

წამავალი არიან (დუა.); ჩემი **დიდნენე** გოხიძის ქალი იყო (თახთ.); ხალხ გემი დაძირესო და **ქაფშია** გაზარდესო (ფ.)...

შენი **ბაღანა**, ჩემი **ბაღანა** არ იყო (თახთ.)...

ჩემს მაზლს **ორ ქალი** ხავდა (სუდ.);

**კამეჩი**, **პროხები** მეიწველებოდა (ფ.); **ქალები** სახში საქმობდენ, **კაცი** ცხენზე შემაჟდუმლებდა (თახთ.)...

აჭარულში ურთიერთს მკვეთრად უპირისპირდება საკუთარ სახელთა პირველადი და კნინობითის ფორმები. თუ მოსარიდებელი პერსონაა, მაშინ მოსაუბრე სხვაგვარად მოუქცევს, პირველად ფორმებს იყენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კნინობითისას (შდრ. მემედაა და მემედი, ესმეა და ესმე) (ნიჟარაძე 1975:118).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სამხრულ დიალექტებში სახელობითი ბრუნვა გვხვდება ერთი და იმავე ფორმით, ანუ ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვის ნიშნად გვაქვს **ე**, **ი** და უნიშნობა (ნულოვანი ალომორფი). რაც შეეხება თანხმოვანფუძიან სახელებს, თითქმის ყველა შემთხვევაში გვხვდება ჩვეულებრივ სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი, თუმცა ტაოური კილო განსხვავდება დანარჩენებისგან და თანხმოვანფუძიანი სახელები უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ფუძის სახით, რაც ძველი ქართულის წრფელობითს უტოლდება.

**მიცემითი:** სამხრულ კილოებში მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ფონეტიკური მოვლენა, რაც ცოცხალი ქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

მაგალითად, ბგერის დაკარგვის მრავალი შემთხვევა დასტურდება.

ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, განსაკუთრებით თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდობით რიცხვსა და -ებ'იან მრავლობითში. მნიშვნელობა არა აქვს, სახელი ზმნასთან შეწყობილი პირია თუ გარემოება.

**შავშური კილო:**

**ჩემ შვილ** ჰამერი ყავს (ბაზგ.); **სიმინდ** ვთესავთ, **ქერ** ვთესავთ (ბაზგ.); იმას დევლაპარიკებოდით **ყველაფერ** (ჩაქ.); **ბაზგირეთ** დუგუნია (დ.); იქ **გაზრდილა**, **მურღულ** (უსტ.); ხახვის **ფოთელ ფუჩეჩ** ვუზახდით (ხოხ.); პატარა **წისქვილ** ვიტყვით

ბუჭულასა (ხობ); **მატყლ** ზალიან ვიხმართ (ხობ); მე **ბათუმ** სახლები არ მიშენებია (ხობ); მერმე ჩევდოდა ბაბოი ახოში, **ხარ** გამუშვებდა ერთს (შოლტ.); **მაწონ** რომე ვარიაში შევდლობავთ, დო ამუა, ძალი ამუა; **ქალებ** ჩამუასხამ ერთი დღე და ვამღეროთ (შოლტ.); ჩვენებური ქალები სოფლებში ჩულას ქსოვენ, **ქილიმ** ქსოვენ, ფენა არიან (შოლტ.); **დათვ** ყურში უთქუამს კაცისთვის: – **დათვ** მუუკლელი ყამ ნუ დაგრეხავო (შოლტ.); სამ საათზე **ხათიმ** კითხულობს, სინათლე იმისთვის მოდისო (მან.); **საქონელ** გუუკაფავთ ნეკერსა (მან.); ახლანდელ **ქალებ** აჯაფ რა გეეგებიან... (გურჯ.ვაიზი); მე **ხებერ** მოგცემო და მაშინ გადმეიყუანეო (ხობ); **დედოფალ** დავნიშნავთ, **ნიშან** მუუტანებენ, ერთ **წელიწად** იქნება, არ იქნება, დანიშნული (უსტ.); მე **ბაღვებ** ვაკითხვებდი, წერვას, მათემატიკას (უბე); **კაცებ** ერთ ოთახში ავავსობ, მუსაფირ გაგხდი (უ.); გუუშვითო, ცხენები **ქალებ** მიეცითო; ჩვენებურ **კაც** უთქვამს, რაზე მიეცი ქალიო? (ზაქ.); **დედოფალ** ქი მუუმღერებენ, ეს არ ვიცი (ხევწ.); **სიმინდ** ოდებში ვინახავთ, დავკიდავთ, ზოგ დავფქვავთ, ზოგ მივართვავთ **საქონელ** (ზ.); ისტამბულში ვიმუშავე, **ხელფას** არ გვამღევდენ კარგად (მერჯ.).

–**ებ’იანი მრავლობითი**: კარქ დარში **ლოგინებ** გადავფენთ ზედან, გაქაროსო ვიტყვით (თეთ.); გამოაჩენენ დამალულ **ცოდვებ**... (გურჯ. ვაიზი); თქვენ **ღარჭებ** ასწავლით, არა? (ჩაქ.); **ვირებ** ავკიდებდით ზურგზე (უსტ.); დუუმახებდით **მეზობლებ** (უსტ.); **სიმინდებ** რომ მოჭრიან, იმ დროზე (ბაზგ.); **ძველებ** ეცოდინებიან ბელქი (ჩაქ.); **თმიებ** გევსწორებ და ეყოფა (ხობ.); თქუნესა **დედოფლებ** როგორ წეიყუანებენ (ხობ.)?

**კლარჯული კილო**:

**კიტრ** დავთოფავთ, **ნიორ** ისტა ჭადთან, ისტა პურთან ჭამ, სალათა ქვია (ქლასკ.); დუგუნზე **ქათამ** გავაკეთავთ, დავდებთ, ხორცი **საჭმელ** გავაკეთავთ, დავდებთ... (ბაშქ.); მაჭახლელები **ხაპ** ეტყვიან (ქლასკ.); გურჯიჯა **ნაჭარ** ვეტყოდით (ქლასკ.); **თხილ**, კაკალი, წაბლი შევნახდით (მურდ.)...

**ნადებ** ღამეში ვიქმოდით (ხ.)...

**ტაოური კილო**:

იმ **კაცებ** გუუგზავნია; **ბიჭებ** უნახიან კი თოვლი (ელიას.); აქ **ერმენებ** უცხოვრიან (ელიას.); ერთი აქ **რუსებ** გამუუვლიან (ცუც.); ისერი **შაირებ** ვწერ (წით.); **ვერძ**

დავკლიდით (წით.); აქ ქართოლ ყველ, **ერბოს** ვიჯებით (ქუაბ.); ...გამუუვლიან რუსის **ასკერებ** აქოვრობაჩი (ქუაბ.); **ბახშიშ** აძლევენ ელიას.); ჩვენ **დოსტ** ვიტყვით (ცუც.); ოო, **კაც** არ შეჭამს აბა? (ელიას.)...

**ქართულებ** როგორ უკითხვენ? (ცუც.); მემრე **კაცებ** ვაგზავნით; ქალი **ძროხებ** აძუებს (ქუაბ.)...

**აჭარული კილო:**

დედამთილი **ბახშიშ** მიცემდა, ახდიდა, ააძრობდა საბურავს (თახთ.); ქალები **მატყლ** ღენკვიდენ (ზემოაჭარული) (ნიჟარაძე 1975:119);...

ჩანს, თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა საერთო მოვლენაა სამხრული კილოებისთვის. მეტ-ნაკლები სიხშირით გვხვდება მთელს სამხრულ მეტყველებაში. თუმცა, კლარჯულისა და აჭარულისათვის შედარებით უფრო ნაკლებადაა დამახასიათებელი მიცემითი ბრუნვა ფუძის სახით. კლარჯულში უფრო ხშირად გვხვდება სახელობითი მიცემითის ნაცვლად: აქ **ჩემი დედეს** წისქვილი ქონდა (ქლასკ.); ...რომ **ნიშანი** წეილებდენ (ბაშქ.); **ჩემი დედეს** უთქმია...(ხ.); აქა კაჲ ინსნებს **ქართველი ქალი** მიცემენ (ბაგ.); **ალთუნი** დააბამენ, **ფულები** მიცემენ, **ფულები** დააბამენ გელინს (ბაგ.); **ჩემი ბაბოს** სამი ქალი იყო (ქლასკ.); **ყველი** ჩვენ გავაკეთებდით (ხ.)... აჭარულში კი უფრო ხშირად გვხვდება ნორმის მიხედვით (-ს ბრუნვის ნიშნით).

იშვიათად **ს** იკარგება ხმოვანფუძიანებთანაც:

**სიძე** (<სიძეს) თქვენ რას ეტყვით? (ჩაქ.); გურჯიჯა **ქუფელა** (<ქუფელას „ყურის ბიბილო“) ებნებიან (ზ.); **ჩულა** (<ჩულას „შალისქსოვილს“) დუუგებთ წინედან (ჩაქ.); ფენა, ფენა **ღვინო** (<ღვინოს) ლევს (ზ.); **მატყლიდან - თმა** (<თმას) დავჭრიდით (ზ.)...

ხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა უფრო შავშურ კილოში შეინიშნება. სხვა დიალექტებში შედარებით იშვიათად დასტურდება. ამდენად, იგი ვერ ჩაითვლება საერთო მოვლენად სამხრული კილოებისათვის.

არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევები ხშირად დასტურდება სხვა დიალექტებშიც – ქართლურში, კახურში,

ინგილოურში. გამოთქმულა მოსაზრება, რომ, მაგალითად, ინგილოურში ეს მოვლენა აზერბაიჯანული ენის გავლენა უნდა იყოს (უთითებს ვ. ჯანგიძეს. იხ. В. Джангидзе, 1978:60), რადგან ანალოგიურ შემთხვევაში აზერბაიჯანულში გაუფორმებელი ბრუნვა იხმარება. მკვლევარი ვ. ჯანგიძის მოსაზრებას არ იზიარებს იმიტომ, რომ მიცემითის ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევები იმ დიალექტებშიც დასტურდება, რომლებშიც აზერბაიჯანულის გავლენაზე საუბარი არ შეიძლება. (იხ. არ. მარტროსოვი, 1984:51-52). ჩანს, მოვლენა ქართული დიალექტების შინაგანი განვითარების შედეგია და არა რომელიმე კილოს გავლენა.

იშვიათად ს არ არის დაკარგული:

მე არ ვიცი, რას შეეხვეწებიან **ღმერთს** (ჩაქ.); ბუზანკალია, **ხარს** ეხვევა (ჩაქ.); **დოდოფალს** ქი მეიყვან, არ ისამებ? (უსტ.); ჩვენ **ყავეს** ვაბნებთ (მან.); პურ ვაჭმევ, **თივას** (ჩაქ.); ახლა მარტო **ყართოფას** ვთესავთ (ბაზგ.); **კონსერვებს** გავაკეთებთ, **ყავეს** (უსტ.); დიდ **ბატონს** უყუარს ყუელაი მილლეთი... (გურჯ. ვაიზი); ენა ვერ იტყვის ჯენნეთის **სეფას**, თეელი არ მეითლება... (გურჯ. ვაიზი); მოწყდება **ინსანს** გულის კაკალი, ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ (გურჯი ვაიზი); მეგერ შეიყრებიან ერთ **ჰაფთას** ერთჯელ და ლაპარაკობენ გურჯიჯას (იფხ.); **ანას** თერეფი ბელქი ეყოლვის (ჩიხ.); ერთი ამ სოფლის ბოლოშია, ის ემე იჯება, ყიდის **ჩასაცმელებს**, მაღაზია აქ, შორ არიან (ზ.); ახლა ომერ **დედეს სიზეს** სახლში ვართ... (მაჩხ.); ენ წინ ალ დასწუავ, შიგან ხახვ ჩააჭრი, ჩომის **აღს, ერბოს**, არაფერ არ ჩავყრი, ზოგი აყრიან (მერჯ.) (შავშური)...

აჭარულში კი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ნორმის მიხედვით გვხვდება - არ არის დაკარგული ბრუნვის ნიშანი:

ჩამურში დანაყვიდნენ **სიმინდს**, **პურს**, **ღომს** დაცეხვავდენ (თახთ.); ფურუნში შევწვავდით **სიმინდს** (ფ.); ნაცარში გამუაცხოვდით **კვერს** (დუა.); ხუთ **ვახტს** ილოცვიდნენ ჩემი წინაპრები (სუდ.); **ქორწილს** იქდენ, **დოდოფალს** მოიყვანდენ (თახთ.); რუხს გააკეთებდა, ონჭოს ადულებდა (თახთ.); ნენე **ჭუჭულს** გამუახოვდა (თახთ.); ანწლის ჟვერში **თვალებს** გამუახილებიებდა (თახთ.); მაკარად გუუკეთებია, **წყალს** აზიდიებდა (კაბაქ.); ერ **ადგილს** შემოვხაზავდით (ფ.); **მენდილს** მახრამას ვეტყოდით (ფ.); მუშა კაცი **ჭადს** ქვიდან გამეიყვანს (ფ.); **ღმერთს** ჭკუა მუუცემია (ფ.)...

სამხრულ კილოებში გვაქვს ფორმები, როდესაც მიცემით ბრუნვაში სახელებს დართული აქვთ სავრცობი –ა. უფრო მეტად ეს მოვლენა დამახასიათებელია შავშურისათვის:

ფათერი აქ თავზე იმ **კაცსა** (ხოხ.); ჩუენსა მექთუბ ეტყვიან **საწერავსა** (ხოხ); ჩემ **დასა** სამი თანე ბაღვი ყავს (ხოხ); იელის **ბუზგებსა** ერთმანეფში ჩაჰყრიან, მოხარშავენ (მან.); ძუელი კდარები, თლათ შენიანები, შენიდან **მადლსა** გულით ელიან; **კარაქსა** მაწვნი ძალი ვეტყვით (გურჯ. ვაიზი); **ერთსა** კაცი მუუკლავს და რუსდედამ აქ გამოქცევლა (ჩიხ.); **ზაფსა** შეღებვენ, დაქსელვენ (ხოხ); **აჭარასა** ბევრი სიმსილ აქ ყუავს (ხოხ.); **ღვინოსა**, **შარაბსა** ვსუამ (ზ.); **სახლებსა** ადრე ყავარი ეხურა, ახლა საჯიხურია (უ.); ...**დოხსა** ამეიყუანდა ბახალასუკან (ა); თამარა **დედოფალსა** ბევრი უკეთებია ყალეები აქევრობებში (იფხ.); ზათინდელ დროშიო **აჭარლებსა** აქედამ იქით მიყავდენ ქვრივი ქალებიო (მაჩხ.); ჩუენ **სოფელსა** სამ ადგილას გუაქ იაილა-ნაქურთვევი, ნაფურნევი, საქორია (ზ.); **ალთუნასა** სიკდილიხან მექთუბი და რესმები გულზე ქონდაო (ხოხ); **სახლებსა** ჩუენ ვაშენებთ; პატარა წისქვილ ვეტყვით **ბუჭულასა** (ხოხ.); ჩუენ **დოსტებსა** ეს ბალი ბევრი ქონდენ, გვიზიდევდენ (ხოხ); **ბაზგირეთსა** ჩომა აღარ ყოფილა (ხევწ.).

პატინას შუუყვარდა, **დიდსა** - ჩვენ მივეციო (ქლასკ.); მე ზამთარში **ტომატსა** არ შევქამ (ხ.) (კლარჯული)...

გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე წინადადებაში მონაცვლეობენ ბრუნვისნიშნისანი და უნიშნო ფორმები:

**ზოგს** გავახმობთ, **ზოგ** ამა (<ამას) დავაჭრით (ჩაქ.); შიგან **იალ** დასწუავ... ჩომის **იალს**, ერბოს (ბაზგ.); **კარებ** ვაკეთებ, **ფანჯრებს**, **რამკებს** ფუტკრისთინ (ბაზგ.).

მიცემითის ნიშანი ხშირად იკარგება ჩვენებით ნაცვალსახელთან: იმა<ამას:

ბობოლ **იმა** ვეტყვით (ჩაქ.); **იმა** ძველათ ქერ ეტყოდენ (ბაზგ.); სიმღერას გამუუთქმევდენ **იმა** (ჩაქ.); **იმა** ფული აართვით ბოლათ (ჩაქ.).

**ამა<ამას:**

**ამა** არ უყვარს (ბაზგ.); **ამა** სალონ ვუძახით (მან.); **ამა** ზენაგარა ქვია, იმას ონერი ქვია (ბაზგ.); **ამა** დააბრალებენ, აბა (ჩაქ.)?.



ზოგჯერ შენარჩუნებულია ს:

იმას კოსისთვინ ვიტყვით (ჩაქ.); იმას წასწევდენ წინ (ჩაქ.); „თავ“ ვეტყვით ამას ჩვენ (ჩაქ.); ამას ეკალი ქვია (ჩაქ.); დუზგარია აქ იმას, ფერვანებია ქიმა (ბაზგ.); იმას ციცინათელას ვებნევით, ღამით ანათობს იმა (ჩაქ.).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება –თან თანდებულისან ხმოვანფუძიან სახელებთან:

სამეთან (<სამესთან) სიდედრი ყავს (დ.); ჯამეთან (<ჯამესთან) რომ იყო, ისარი (უ.); მურათან (<მურასთან) ვერეფერ ვერ დამახსენებს (ხევწ.); აქ ჩემ დათან (<დასთან) ახვალთ (ბაზგ.).

ანალოგიური ფორმები გვხვდება სპორადულად აჭარულში, სხვა კილოებშიც, მაგრამ, ჩანს, უფრო შავშურისათვის არის ნიშანდობლივი.

**ნათესაობითი:** იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა ნათესაობით ბრუნვაში სახელები ფუძის სახითაა წარმოდგენილი (ძირითადად შავშურსა და აჭარულში):

დათვ ყურში უთქუამს კაცისთვინ: –დათვ მუუკლელი ყამ ნუ დაგრეხავო (შოლტ.); მე იქეთ ვიყავ, სერ იქეთ (მერჯ.) (შავშური)....

ახალ წელიწად დღეს საქონელ ზრუგზე ხელს არ წუუსმიდენ (თახთ.); ხალხ პარტიებმა ასე ქნესო; იმ სოფელში შექერ ფაბრიკაჲ გავაკეთეთ (თახთ.)...

იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული –ს მსაზღვრელ სახელებში, თუმცა, ეს მოვლენა ძირითადად შავშური კილოსათვის არის დამახასიათებელი:

გერმელი ჭადი იყო სიმინდი ფქვილისა (ა.); თუთი ბექმეზ მუადულებენ (წეთ.); დავასხამთ თუთი წვენსა და ვადულებთ (წეთ.); იეშილი ხახვით კაია ამის ჭამა (წეთ.); ქორწილში, პური ჭამაში სუფრას დეიჭირვენ (უსტ.); ჯანი მიცემამდე ჭკვა ქონდა (მაჩხ.); ტყი ღორები სუქანი არიან (ზაქ.); კარი გამღებელი არაა... (უსტ.); გობში, ლაილონის გობში მოვზელთ, უწინ შეში გობში ვზელდით (ბაზგ.); საფუტკრი კარში დააბა ცხენი მაჭახლელმა (მერჯ.)... (შავშური)

პარალელურად დადასტურდა ფორმები, სადაც შენარჩუნებულია ნათესაობითის ბრუნვისნიშნისეული ს:

ყრალი სული უდინს აწლის ფურცელ (მან.); ყართოფ ყანის ქენერზე ვთესავთ (უსტ.); თავი ტკვილი გექნება, შაკივი, დეიკიდო'ნა თავის ტკვილი მეც მჭირს (ზაქ.); იმა გეითაუსის ციხე ქვია (იფხ.); ბზას ვთხრიდით და ზუელი თიხის ბორები ამოვყარეთ (იფხ.); ზამთარშ იჩეიცმენ მატყლის წინდას (ა.); შენი ტელეფონის ნუმერა მაქ, მარა ბათუმის კოდნუმერა ვერ ვიპუე (იფხ.); ფიცრის სახლი, თახთის სახლი იყო (ა.); სახლის შენებაზე ვილაპარაკოთ (წეთ.); რუსების აშენებულია უსტამისის ციხე (სვირ.); მაზლი მყავს მე, ჩემ კაცის ძმა, ჰამა იმა არ მიათბო, წევდა ისა (მერჯ.); კეცში ჩავსხემდით, კეცი იყო, ტალახისას გავაკეთებდით, იქში ჩავასხემდით (ბაზგ.); ჩვენ სოფელ დანუხის ეტყვიან, ჩიჭისხევი (მერჯ.); არ იკითხვის ქალის ასაკი და კაცის ხელფასი (ხობ.) (შავშური).

ასეთივე ფორმები გვხვდება აჭარულსა და კლარჯულშიც:

რომ ადულდება, ნელ ცეცხლზე თენჯრის თავსაც ჩაბრუნებული უნდა დაახურო (სუდ.); ფურის ძალინა დაასხა (დამუდ.); ესე მეტი კაი კაცის გოგო იყო (ჰაჯ.) (აჭარული)...

კაცის ხისიმისთან (მურათ.); ქალის ჩამორჩობა მას დააბრალეს (მურათ.); ყველა ძერის ადგილი აირია (ჯივ.); რუსის კარზე დარჩენ (ჯივ.); მაჭახლის ლაპარიკი და აჯარას ლაპარიკი ერთია (ჯივ.) (კლარჯული)...

ხმოვანფუძიანი სახელების უკვეცელ ფუძეებში ნათესაობითში ზოგჯერ არის დ, ზოგჯერ – არა.

შავშური: ანაას კაცი ჩემი ემოდ იყო (მაჩხ.); ჩემ ბაბოს ხიზმეთქობას ვიზამ (ბაზგ.); ჩამეულ ჩემ ბაბოს სახში (ბაზგ.); ლიბანი ჩემი ანას მაჰალეა (ა.); მერიემას ჯინსიდან არიან (მაჩხ.)..

აჭარული: ხუთი მეტროს აქეთ იქნებოდა (თახთ.); ჭიჭლაყას ფხალი, ბალახია ძროხას ვაჭმიდით (თახთ.); ჩვენებურის კაცები ქალ-ბაღანას ყანა-ბახჩაში არ ასაქმებენ (დუა.); ხუთი მეტროს აქეთ იქნებოდა (ფ.);...

ნათესაობითი ბრუნვის ფორმები წარმოდგენილია ასევე სავრცობი –ა'თი. ასეთი შემთხვევები დასტურდება ძირითადად შავშურში, იშვიათად კლარჯულში:

**შავშური:** ერთი **ლაზისა** ზროხა ავათ გამხდარა (შოლტ.); გერმელი ჭადი იყო სიმინდი **ფქვილისა** (ა.); **იუნისა** პოლისი ართვინში იყო, ხალხ ცემდა (ბაზგ.); წამაავლო ნაკოდი **შეშისა** და გამეესხრიკა **მამალსა** (შოლტ.); ორნახევარი **წლისა** ბაკალა ყავს (მერჯ.); **წაბლისა** არი, **შქერისა** არი, ისენი ცოტა ჯიასადა და ჩვენი, აქვერი უფრო თეთრი არიან ჩვენ ჩიჩეგზე (მერჯ.); ჩვენი ციხეა, **ბაზგირეთისა** (მერჯ.); იქა დიდი და არი **ნეჯათისა**; ზემოდან ჩამოხვალთ ყოლაა (მერჯ.)...

**კლარჯული:** ყურძენისა ახლა წყალი გამეილე-თუ (ქლასკ.)...

სამხრულ მეტყველებაში პროდუქტულია მავრცობი ხმოვანი მიცემითსა და ნათესაობითში, შედარებით ხშირია მიცემით ბრუნვაში, ორივე რიცხვში:

**მიცემითი:** **ღმერთსა** ეწყინა (უ.); **საჭმელსა** შავშეთ ვიღებთ (მაჩხ.); აქ ფუში არ უძღება **კაცსა** (ხოხ.); **ძალსა** არ უნდა (მაჩხ.); ჩემ **შვილსა** ბაჭლები ყავან (მაჩხ.); **ჩაისა** დაჰა დიდი ჭიქით სვამენ (მან.); **ძროხებსა** ინახავდენ (უ.)...

**ნათესაობითი:** თუ არადა გახდება **დედოფლისა** (ჩაქ.); ღარჭი ყავს ორი **წლისა** (ბაზგ.); ერთი **წლისა** უკან ქირვას დააყენებენ (წეთ.); კაი თაფლი **წაბლისა** არი, **შქერისა** არი (ბაზგ.); **ქართველებისა** ღუგუნია (ბაზგ.)...

თანხმოვანფუძიანებში ჩვეულებრივ გამოიყოფა კუმშვადი და უკუმშველი სახელები.

სალიტერატურო ქართულის მიხედვით, კუმშვადი სახელები შავშურში უკუმშველია: **დოდოფალი(ს)** წაყვანამდე დედები წევდოდნენ (შავშ.); **ცხვარი(ს)** ხორცი გერმელია (ზაქ.)...

გვხდება შეკუმშული ფუძეებიც:

**ცხვრის** შვილი კრავია, **(მ)გლის** – ლეკვი (მაჩხ.); ზოგი **ქმრის** სახლში დალოგინდებოდა (წეთ.); **წყლის** სირა გვაქ (ზ.); აქ **ხორბლი(ს)** ყანები იყო ; ჭიაზე **ყაბლი(ს)** გულ მიაართმიდენ (წეთ.)...

იმ ყურძნის წვენიტ ღვინოს აკეთებდენ (ხ.) (კლარჯული)...

ზოგჯერ ერთი და იმავე სახელის შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები დასტურდება ერთსა და იმავე წინადადებაში:

საჭმელი **საქონლისა** გვაქ, ათი თანე, ოცი თანე **საქონელიდან** ორ–სამ გაყიდის აქავრი (ბაზგ.) (შავშური)...

დადასტურდა შემთხვევა, როცა ცალკე აღებული სახელი უკუმშველია, კომპოზიტი კი იკუმშება:

**ჯამიკრი** ღელე (ა.). შდრ. აქ არის **ჯამიკარის წყალი**(ივ.).

შეუკუმშველი ფორმები ხშირია –ებ’იან მრავლობითში:

**სტუმარები** მიხვალთ (ბაზგ.); **(მ)გელები** შიერები დაწყდებიან (წეთ.); გერმელი **წყალებია** (ივ.); **წყალებ** ვადენტ (ზ.); დათვმა და **გელებმა** მიერივნენ (ჩაქ.); **ბებერები** არიან (ჩიხ.); **სომეხები** ბილაყოფილან (უ.); ესკიდან **სომეხები** ყოფილან (დას.); **ერმენები, სომეხები** ყოფილან ჯენევიზებში (უ.)...

სომეხი უკუმშველია –**ეთ** სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელშიც: **სომეხეთი** (შოლტ.)

**ახალებ** ცოტა ვერ დუულაპარაკნიან ჩვენსავეგ (ჩაქ.); აწავლე **ახალებ** (უსტ.)...

შეკუმშული ფორმები იშვიათია:

სიმიინდი **კოტრებ** გეაკეთებს (ხევწ.); ხომ თელი **მუსლიმნები** არ ლოცულობენ (ხევწ.); ძველები დეიხოცნენ, **ახლებმა** არ იციან (ჩაქ.); დღესაც კიდევ **სტუმრებსა** საჭმელ დუუდგამენ (სვირ.)...

გეოგრაფიულ სახელებშიც დასტურდება შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები:

**სვირევიდან** აქ მოხვალთ (ჩაქ.)...

**კარჩხალის** ჰამან უკნედანაა (ჩაქ.); **კარჩხალიდან** ჩვენი სოფლები ჩანს (ზ.), შდრ. წყალი მოგვიყვანეს, იქიდან მიგვიყვანეს, **კარჩხლიდან** (უსტ.); წყალი ქი მიქონდა **კარჩხლიდამ** (სვირ.)...

ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელია:

ჩვენ **საქმედან** ვერ მოვრჩებით (ჩაქ.); ერთი კამიონი არაბაი ჩამევიდა იქიდან **ჩომათი**; შიში(ს) **ღელეიდან** იშტა ჩაველით შოშში (ხობ.). შდრ. იქეთა **ღელიდან** ... მუალთ (ხობ.); დოდოფალი თხუთმეტი **დღისა** გახდა, მივიდოდით (ჩაქ.); ჩემ **ყანიდან** ვინცხა ხართო (ნიოლ.); წყალი **თიდან** მუუშვეს (ნიოლ.)...

პარალელური ფორმები დასტურდება ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახლებში:

**აჭარადამ** გადმოსულან (მაჩხ.); **ყვირილადამ** არი გურჯი (მაჩხ.); **აჭარადან** გადმოსული ვარო, ბაბომა თქვა (ჩაქ.); ჩვენი დედენუმ დედეი **აჭარადან** მოსულა (ჩაქ.); **ხოფადან** მოსულან შავშეთში (დავ.); **აგარადანა** ვარ (ზენ.)...

შდრ. ერთი კაცი **აგარიდამ** წყევანეს (დავ.); **ანკარიდან** ახლოა (ჩაქ.); ეს, აქეთა მაჰალე **ჩაქველთასია** (ზენ.); ეს ჩაქველთას ყალეა (ჩაქ.); **ჩაქველთაის** ბარააეს, ჰო, **ჩაქველთის** (ჩაქ.); ეს **ჩაქველთის** გზა არი (ჩაქ.)...

პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი ზოგიერთი თურქული სახელიც:

ჩემი **არაბაით** წამუალ (უ.); თქვენები ჩამოიდნენ **არაბაით** (იფხ.).

შდრ. კიდო მეეტან **არაბით** (ზ.); **არაბით** ამოიდნენ (ჩაქ.).

ამ უკუმშველი სახელის შეკუმშული ფორმა ინდივიდუალურია: **არაბაით** მოსულა (უ.).

**საჩმა** (ბადე): აქ ლელებში დეიჭირავ **საჩმაით** (ხოხ.).

**მაქინა** (მანქანა, ძრავა, მექანიზმი): **მაქინაიდან** ნალებ გამაადენ (ნიოლ.); **მაქინაით** ქლიკი ჩამოთალეს (მან.).

**ძიგარა** (სიგარეტი): თვიტკივა, **ძიგარას** ბრალია, აბა?! (ჩაქ.); **ძიგარაით** ვარ (იფხ.).

**ჯამე** (მეჩეთი) იკვეცება მხოლობითში: [მოჭრილ ჭიპს] **ჯამის** ქოშაზე ჩამოდებდენ (წეთ.).

დასტურდება კუმშვად-კვეცადი სახელების სხვადასხვა ფორმა:

**ბაჯალა**: **ბაჯლის** კაცის ანას ახლა წელიდან ზორი აქ (ბაზგ.); იმისი **ბაჯლები** ვნახე... **ბაჯლებ** ეცოდინებიან (უსტ.).

**ლახანა**: შორვას თელზე ვაკეთებთ... **ლახნის** შორვას (მაჩხ.); თეთრი ფქვილი'და ამუუკიდო **ლახნის** ჩორბას (ბაზგ.); ჯავეს ჩადებენ, **ლახნის** ჯავეს (ჩიხ.).

**ბაღანა**: შევრში ჩავდივარ **ბაღნებთან** (ბაზგ.); **ბაღნები** გეიქცენ, ბურსას სამოზენ (მაჩხ.). **ბაღნები** (<ბავშვები) მეიპარვიდენ და გაყიდევდე სტამბულ (მარად.); დიდები, **პეტრებიც** (<პატარებიც) არი (ჭილ.); **პეპლი** (<პეპელა) არი, ფრინავს, **კალი** (<კალია) ხტის (წით.);

მოყვანილ მაგალითებში ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია შეკვეცილი და შეუკვეცავი, შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები. მოვლენა მეტნაკლები ინტენსივობით გვხვდება ყველა სამხრულ კილოში. ფაქტი ახსნას საჭიროებს. უპირველესად პასუხს მოითხოვს კითხვა: სამხრულ მეტყველებაში შეუკუმშავი და შეუკვეციელი ფორმების სიხშირე ხომ არაა ნიშანი იმისა, რომ რედუქცია შესუსტდა სამხრულ კილოებში? თუ ეს ასე არაა, რაა მიზეზი? წინასწარ შეიძლება ითქვას, თურქული ენის გავლენის შედეგადად აღნიშნული ფაქტი, ენისა, რომლისთვისაც სრულხმოვნობაა დამახასიათებელი. თუმცა, თურქულის გავლენის მიზეზით ახსნა შექმნილი სიტუაციიდან „გამოსავალია“ მხოლოდ, მაგრამ არასაკმარისი. მოვლენის მიზეზი ქართული ენის ბუნებაშიც უნდა ვეძიოთ. ვფიქრობთ, მოვლენა გამოწვევლილვით ანალიზს მოითხოვს, ვიდრე რაიმეს გადაჭრით ვიტყოდეთ.

სახელობითის ფორმით არის წარმოდგენილი ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები (უმეტესად ე ხმოვანზე), რომელთაც თანდებულის ფუნქციით ერთვის ზმნიზედები. ასეთი სახელები გამოხატავენ მოქმედების ადგილსა და დროს (უფრო ხშირად დროს):

[გზა] **მალარა ქვეშ** გაჭრილია, ჰამა ჩაწვა (სვირ.); შეხვალ **ღელე გაღმა**, ჰო (ზენ.); ათ **ღლე უკან** მივალ იქა (მან.); დილაზე თუ მოკდა, **შუადღე უკან** ჩადებენ (ბაზგ.); ერთი **კვირე უკან** მოსულიყავ, კად იყო (უ.); ლაზების ჭკვა **შუადღემდე** ისაქმებს, **შუადღე უკან** – არაო (ხევწ.).

ანალოგიურია საწყისიანი კონსტრუქცია:

**ქირეზა მილევნიხან** ამოვლენ (უსტ.); **დაწოლა უკან** წავალთ ოღებში (მან.).

ფუძის სახითაა ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელი (უბრალო დამატება) მიმდებარასთან:

დავჩი მარტო, ეი, **შეშა** დამპობელი არა (უსტ.); ციხევ, მოგიკდეს ამშენებელი, გარედან **ქოშა** მიმშენებელი (უსტ.).

მკლევართა აზრით, ხაზგასმული სახელები ნათესაობითი ბრუნვის შეუკვეციელი ფორმებია და არა მიცემითი ბრუნვის ნიშანდაკარგული ფორმები: ამ მნიშვნელობათა

გადმოსაცემად ანალოგიურ კონსტრუქციებში უმეტესად გამოყენებულია ნათესაობითი ბრუნვა სრული სახით, ან ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილის მოკვეციტ ორივე ჯგუფის თანხმონიფუმიან სახელებთან (ფაღავა... 2011:247).

ქვემოტ მოყვანილ მაგალიტებში ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი:  
თანხმონიფუმიან სახელებთან:

ეს არის **იმერხევის გაღაღმა** (ზენ.); **შავშეთის ქომოდან** არი (ჩიხ.); წითვეთი **შავშეთის უკანაა** (ღავ.); ღაილა ზევი აქვო, **კარჩხალის ჰამან უკნედან** (ჩაქ.); **ჯანჯირის ზემოდან** დუზეა (უსტ.); ერთი ღაილა არი **გამეშეთის ზემოტ** (ზ.); **საზგირელის უკნედან** მიბრუნდები, მობრუნდები (შავშ.); ერთი ამ **სოფლის ბოლოშია** (ზ.); შვიდი წლის უკან ტურქჩა დევწავლე (უ.)...

ხმონიფუმიან სახელებთან: ამ **გზის ზემოტ** სერში არის (ჩაქ.); **გზის გაღმა** სარაღ ყოფილა (ღავ.); ამ **მთის გაღაღმა** ბამგირეთია (უ.); [ზროხა] აგზე ჩეიყვანე, **ხის ქვეშ** ჩააგდე (ხევეწ.); ოთხი **კვირის წინ** იქ ვიყავ (ივ.); ჩემი ერთი ბიჭი ოთხი **დღის წინ** ბათუმ იყო (ჩაქ.)...

დაკარგულია ბრუნვისნიშნისეული ს:

ჩირუხი ამ **სერი[ს] გაღაღმა არი[ს]** (ჩიხ.); **ჯინალი[ს]** უკნედან აჭარაა (ღავ.); **ღირეგი[ს] ქომოდან** წისქვილია (ჩაქ.); ერთი გელინი ბაიბურთული, ერთი იაბანი, **ართვინი[ს] გარედან** (უ.).

**მიწი[ს] ქვეშ** სამი თანე გზა არი (ა.); ქილისე აგზე იყო, **გზი[ს] ქვეშ** (ღავ.).

თანხმონიფუმიანი სახელი ფუმიან სახითაა წარმოდგენილი:

**შერთულ[ის] ზემოტ** გურჯებ ებნევიან (უ.); მე იქეთ ვიყავ, **სერ[ის] იქეთ** (ჩაქ.); **სერ[ის] იქეთ** ლამაზი არ არი (ღას.); ყიშლა გვექონდა **სერ[ის] იქეთ** (ჩაქ.); სერ გაღაღმა ტურქები არიან (ღავ.); მეიყვანებენ **ყვავილ[ის] ქვეშედან** დოდოფალ (ზ.).

როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, ამ მნიშვნელობათა გადმოსაცემად აღნიშნულ კონსტრუქციაში ბუნებრივი ჩანს სახელის ნათესაობითი ბრუნვა.

მიცემითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების თითო–ოროლა შემთხვევა დასტურდება შავშურში:

**ბრილს უკნედან** ერთი აგარაა (ღავ.)...

**მოქმედებითი:** სამხრულ მეტყველებაში მოქმედებით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებში ყოველთვის გვაქვს ბრუნვის ნიშნად –ით (> დთ):

**შავშური:** აინი კარისავეფ **მენტეშეთ** ჩამოვჰკიდავთ (წეთ.); ოზდათექსმეტი თანე საჯსა **მუხით** დავაჭედებთ (წეთ.); სახლები **შეშით** გაკეთებული არი, თახთითა (შოლტ.); ეს **თხისურათ** მოქსოვნილი ჩაჩანია (შოლტ.); როგორ ართ **ნენეთო?** – უკითხავან ერთისთვინ (შოლტ.)...

**კლარჯული:** ნიშან მოგიტანენ, მემრე ქორწილი იქმენ, **არაბათ** მოვლენ, ცხენ მეიყვანებენ (ქლასკ.); ქვედგენ მიმყავდენ **ვირით**, **ცხენით** (ხ.); დედემა ცომი გააკეთებდა **ქვლით** (მურდ.); იმის უკან **ხერთალით** წკვნიდა, ძაფი გააკეთებდენ (ბაშქ.)...

**აჭარული:** სხვისი **ხელით** გველი დეიჭირე (დუა.); დიდი გემი მოვდა, პატარა **გემებით** გამეყვანეს, პორტი არ იყო (ფ.)...

**ტაოური:** **არლაპარიკობით** თურქობა არ იქნება (ელიას.); **მახათით** არაბათ დადის ჩემი დეგანი (ელიას.); გურჯისტანიდამ მოსულიყვენ და **რუსულით** თვლიდენ (ცუც.)...

თანხმოვანფუძიანი სახელები ისევე არიან გაფორმებული, როგორც სამწერლობო ენაში:

ქვას მოვტეხავთ **კინაკეტით**, **ვარიოზით**, **მურჭით** (წეთ.); **კაცებით** გამოვსწევთ ქირიშებსა (წეთ.); **ხერხით** გავხევთ ხეს (ა.); ვქსოვთ **ჭალებით**, ამას თუალის გამოღება ქვია (ა.); სულ **ზორით** იპარევდენ აჭარლები... (ხოხ.); **ღამით** არ ვანთებთ სობას (მაჩხ.); ესკიდან მარილი ბათუმიდან უწიკავს **ძრუგით** (მერჯ.); ესკი **ფეხებით** უტენავან კანდრაში ფშნილაი (მერჯ.); **აკორდეონით** ქორწილი ვიჯებით (ჩიხ.); თოვლს **ნიჩბით** მივყრით იქეთ-აქეთ და ამევართ მივყრით ასე, გედევართ (ზენ.); **მარკილით** მუათრევთ შიშას (ნიოლ.); ძროხას ძველათ **კალით** დავაბამდით (ნიოლ.); ხახვ დაწვავ ადის ერთად, **ხახვით** გაახრაკებ... (მერჯ.); კაცი სამი **წლით** პაწაა ჩემზე, გავზარდე (ბაზგ.); მეორე მეზობელიც **თოფით** გამოსულა, მარტივი არ იყოსო (შოლტ.); **ფიწლით** გადააბრუნებენ კალოს (მაჩხ.); ბალახსა **თილფანით** მოვთიბთ (წეთ.); **კაკლით** რას ვაკეთებთ? დოხას გევყვანთ, კაკალს დავაყრით (წეთ.)...

იქედამე **თორბით** მიწა ჩაყარეთ და მეიტანეთ (ელიას.) (ტაოური).



აჭარულში როგორც ნათესაობითში, ასევე მოქმედებითშიც ბოლოუკვეცელი სახელები ქართული ენის რიგი დიალექტების მსგავსად დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს: **-ის**, **-ით**, მაგრამ ხმოვნითი ნაწილის (**ი**) დასუსტების შედეგად აღნიშნული ფორმანტები ასეთ სახეს იღებენ: **-ეს**, **-ათ**. ამასთანავე ბოლოუკვეცად ფუძეთა გარკვეულ ნაწილს ბოლოკიდური ხმოვანი არ ეკვეცება და ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი აქაა წარმოდგენილი, ისე როგორც ძვ. ქართულში, მაგ. ნათესაობითი: **ქოსაჲს** ძმანები; **ზექიჲს** ძმისწული; **პალტოჲს** ასტარი; გონია **საცოლჲს** დაბარებული (ნოდ. III, 48), **მაჭახელაჲს** ყარშლულიო, არ წამადრო ბაშლულიო (ნიჟარაძე, 1975:119).

ქერესტე **მაშინათ** ამუზიდვან; ვერცხლის **წყაროდანა** მოტანილი (ნოდ. 3,103); გამაგზავნე **რამეთო** (ნოდ. III,49); თიკნები გამოცვინდებოდენ სათხედან.

ამრიგად, ბოლოუკვეცელ სახელებთან სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ზოგჯერ მოქმედებს ძველი ქართულის ნორმა (ბრუნვის ნიშანი უცვლელადაა შემონახული) (ნიჟარაძე, 1975:119).

**ვითარებითი:** ვითარებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნად გვხვდება **-ათ** (<ად):

ის ზაღლიც მოიდა, შორიღამ **სხუაფრათ** გვიყურებს, **სერთათ** (ხოხ.); ჩუენაც ღობეს ვეტყოდით **ზუელათ** (ხოხ.); დედეი ამ ერთხელი **კარგათ** არ არი (თეთ.); მარიობაში მივალთ თაზე **შუანთობათ** (ზ.); ჩუენი ადგილი ცოტა **მალლათ** არი... (ზ.); ერთი კაცი წასულა **მოსაგებათ** (ა.); **იმფრათ** მაღალით არი, რომ ზედ თავზე კინის გოლია წამოცმული (ბაზგ.); ზიგარაი მიცა მეგომ **რიშვეთათ** (შოლტ.); ზალიან **ზნელათ** დავამთავრე მეთერთმეტე კლასი (შოლტ.); არ ელაპარაკოთ **ქართულათ**, ვერ'ნა დავასწავლოთო (შოლტ.); **ძუელათ** გურჯი იყუენ ისენიც, ჯინალელები (მან.); **ყაჩაღათ** დადიოდენ აჭარლები (მან.); **ზუელათ** წეთილეთი ერქუა ჩუენ სოფელსა (წეთ.); ბალახებიღამ **საჭმელათ** ვიცით სკვანტლაფორჩვი, ხოზალიმად, ფხალი, ღომი... (მან.); თქუენსა ფენა **ლამაზათ** ხუეწევდენ გობებსა, ჩუენსა მოქონდენ გასაყიდათ (ხოხ.); ყავრი გახდა **ზუელათ** ბითევმა იცოდენ... (ხოხ.); **ზუელათ** მახრუკას ვთესევდით და აკმობდენ მაგის ფოთლებ (შოლტ.); ნუ ყლარჭავ, **ლამაზათ** იმდერე (მერჯ.); ავათ ვიყავ, ვერ დევჭირე რემეზანი (მერჯ.); ჩემი სიმამრი ავათ არი (დ.); თქვენ **ლამაზათ**

თუ იცით, ისე დაწერეთ (მან.); ქართველი მუჰაჯირათ წევდა... (ჩიხ.); ერთი ლაზისა ზროხა ავათ გამკდარა (შოლტ.); ღამით არ ვანთებთ სობას, დილაზე ცოტა ცივა და ვანთებთ, შიშას ძველათ მოტანილს ვხმარობთ (მაჩხ.)...

ქობულეთელი მუჰაჯირების მეტყველებაში გვხვდება როგორც –ათ, ასევე –ად, გვაქვს შემთხვევები, როდესაც –დ დაკარგულია:

ქართულათ სიმღერები თქვა – ბაუჟამე იყო ახმედაჲ (თახთ.); სალოცავათ დადგენ ბაბაჲ და ბაღანაჲ (ფ.);

ნური გუნდუზი, ფეჰმი პირველი იყო გერმანიაში წევდა მასწავლებლად; ლოცვის დროს ქართულად ლაპარაკობდა, ქართულ ენაზე ლოცვილობდა (თახთ.);

ჩემი დიდნენჲ ქართულა დეველაპარიკებოდით, ბაბამ ქართულა წერა იცოდა, დედამაც (დუა.)...

ასევეა კლარჯულშიც: გურჯულად წერვა არ იყო (სუდ.);

მეტი ლამაზათ ვერ ვლაპარაკობთ; იმა ლობიას ლამაზათ დავხეხავთ, ჩავჭრით თენჯერეში (სუდ.);

აჭარადს სოფლები დაჰა კარქა ილაპარაკებენ (დუა.)...

ტაოურში გვხვდება ძირითადად -ათ/თ: ძველათ ერმენები აქ ყოფილან (ელიას.); ძველათ აქა არ უთოვლებია (ელიას.); აქ ქართულათ არ ლაპარაკობენ (ცუც.); ოთხ ადგილას ერთათ სხენან (ცუც.); რა მეტანეთ, საყიდლათ (ელიას.); შეშათ ქარქაშს ვხმაროფთ (ელიას.)...

წოდებითი: ანავ, ეს აკვანი დავწუათ–მეთქი (დიობ.); ბერო, ერთი იკითხე ლოცვები, კაი გახდესო (მაჩხ.); ვიდერდე ვიყავ... ხატიჯევ, დევთესევით ბითევი თურქიეში(წეთ.); ცხენო, იალი შენ შეჰამე? (შოლტ.); ილიასავ, ვირი დავჰკარგე, ხომ არ დიგინახავსო(იფხ.) (შავშური)...

თენზილევ, მე მივალ ახში, მომემშია (მარად.); ნაზიევ, რემზაჲ არ მოვდა, რა უცთის იმანაც (მარად.) (კლარჯული)...

წოდებითში თანხმოვანფუმიან საკუთარ სახელებთან ზემო აჭარულში უპირატესად ო გამოიყენება: ოსმანო! ლევანო! მირიბანო! – მაგრამ, ოსმანავ!

ხმოვანფუმიან სახელებთან კი ვ: მემედავ! ფადიმევ! მიხეილავ! ხუსიკავ!

ამავე რიგს მიეკუთვნება წოდებითის ფორმები: **იმავე, იმანო**. ასეთი ფორმების ამოსავლად, ცხადია, ითვლება მოთხრობითი ბრუნვის ბოლოხმოვნისანი ფორმები – **იმა, იმან**: **ამავ**, რა ქქვია შენ, **ტატულავ**, ერთი სტაქანი წყალი მასვი, რა იქნება! (ნიჟარაძე 1975:120).

### **3.4. ერგატიული კონსტრუქციისათვის სამხრულ კილოებში**

მოთხრობითი (ბერძნ. Ergates - მოქმედი პირი) ბრუნვა ქართულში დამოუკიდებელ მორფოლოგიურ ერთეულადაა გამოყოფილი. იგი სპეციფიკურ ბრუნვად მიიჩნევა და გამოხატავს გარდამავალი ზმნის სუბიექტს, მოქმედს...

მოთხრობითი ბრუნვის ქონა, ანუ ბრუნვის ეს თავისებურება განპირობებულია უღვლილების თავისებურებით, კერძოდ, გარდამავალი ზმნის თავისებურებით. იგი მიუთითებს მოქმედზე, აქტიურზე და ამიტომ იხმარება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან (არნ. ჩიქობავა) (გოგოლაშვილი, 2011:83).

მოთხრობითი ბრუნვის შესახებ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იგი არ გვხვდება არცერთ ევროპულ ენაში. იგი დასტურდება იბერიულ-კავკასიურ ენებში. მოთხრობითი ბრუნვის აღმნიშვნელი ტერმინია ერგატივი. სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც მოთხრობითის ხმარება ახასიათებს, იწოდება ერგატიულ კონსტრუქციად (ჩიქობავა, 2011:345).

მოთხრობითი ბრუნვა ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო -მან სუფიქსით (მამა-მან, კაც-მან). თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ცვლილება განიცადა მოთხრობითის სუფიქსმა: თანხმოვანფუძიანებთან გვხვდება -მა (კაც-მა, სახლ-მა), ხმოვანფუძიანებთან -მ (დედა-მ, ყრუ-მ).

საგულისხმოა, რომ ქართული ენის სამხრული დიალექტებისთვის (უმეტესად შავშურისა და კლარჯულისათვის) დამახასიათებელია როგორც ძველი, ისე თანამედროვე სახე მოთხრობითი ბრუნვის წარმოებისა. შეიძლება ვისაუბროთ ერთგვარ გარდამავალ ფორმებზეც, მხედველობაში გვაქვს -მა ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებში.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისებური წარმოება დამახასიათებელია როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი სახელებისთვის, ასევე ნაცვალსახელებისთვის:

**შავშური:** ფაქიზომ გულში ჩოუგდო (ა.); ჯინჭველამ რა'ნა გააზღოს, იშტა, იმან ჭამოს (ბაზგ.); მამამთილმა'ნა ააყენოს, ერთიც იმის ახლომ, მამამთილის ბაბომ (ხოხ.); მაყარმა'ნა ჭამონ კალოზე (მაჩხ.); ზეჰირი ასუა იმან ემრულ ადას და ისე მოკდა (ნიოლ.); იმან დეიზახა: - რა იქნება, სულოდ ერთი დამანახვაო; ამან თქუა (ბაზგ.): რა მიყავიო, იმფო ბევრი ავართვიო (მან.); თუნთულმა ტანიანი ბუზმენი დააკერია (მაჩხ.); ქართულად ჩემმა შვილებმა სუსტად იციან ქართული (იფხ.); ომში წეიყვანეს ოსმალმა (ბაზგ.); ერდოლანმა ბევრი კანონები დაარაჰათა (სვირ.); შენ გაგაფაქა ღმერთმა, გაფაქდი, ააფერი არ მოგასტრა ღმერთმა - ბაბამს სახლში მაქფერი არ ითქმოდა (უსტ.); თირფანმა დამგალა ხელები, საქმე გეზარებიან, უსაქმური პურ ვერ ჭამ (სვირ.)...

**ტაოური:** ახლებმა არ იციან (ელიას.); ხალხმა რა იცის (ელიას.); ბელქი ჭრიჭინამ იცის (ცუც.); ამ კაცმა სახლი გააგდო (ელიას.)...

**კლარჯული:** ერთმა მითხრა ამ გოგოს ვუყურავო (ქლასკ.); გარეთვანებმა უთხრეს, არ იცოდა; ორეთმემა გეგონა (ხ.); ჩეიწერა მეგერ ამ კაცმა და წევდა (ბაგ.); დათვმა ინსნის თავი შეჭამოსო... (ქლასკ.); დღეს ქორმა გამაწრა თვარა (კირნ.); ბაბამ ცეცხლი დააქრობია-ჰო? (კირნ.); ღმერთმა კარგობა მოქცეს! (ჯივ.)...

**აჭარული:** შენ გაგაფაქა ღმერთმა, გაფაქდი! (თახთ.); ხალხ პარტიებმა ასე ქნესო (თახთ.); იქოურმა ინსნებმა არ იციან (თახთ.); ერი წელიწადი დედაბერმა იყვირა (ფ.); ბიჭებმა ხელზე უარეს (ფ.); ქართველებმა ერმენები დეიკავეს (ფ.); ათათურქმა იგინი გააგზანა აქეთ (ფ.)...

ხმოვანფუძიან სახელებს უმეტეს შემთხვევაში -მა ნიშანი აქვს შავშურში, იშვიათად კლარჯულშიც:

**დედმა** უშიქიათა, ასე იჯებაო (ა.); **ბაბუამა** მითხრა... მისმა **დედამა**, **მამამა** არ მოდიან სოფელში (მან.); **ქვამა** რა'ნა გიქნას (ბაზგ.); მისმა **ბაჯალამა** ბაჯალა გაათხოვა (იფხ.); **დედ-მამამა** „არ მინდა“ თქვას, წაყვება გოგო (ხოხ.); გაწუხდენ, **მზემა** ემე ქნა (ბაზგ.); მოსულ **მზემა**'ნა უყუროს, ამოსულ **მზემა**, ჩასულ **მზემა**'ნა დახედოს (მან.); მე

მოგვრიფავ, **სხვამა** არ იციან (ნიოლ.); ისა, **მეორემა** თქვა (ჩიხ.); ახლა მიმიტანია **ბალანამა** (უ.); იგზე გვისხია, **სეტყვამა** გაყარა (უსტ.); მაგ **კუკლამა** ცხურები გადმეიყუნა ჩუენსა გაზაფხულში(ბაზგ.); ელაპარაკა იმან დიდ **ვინცხამა** უთხრა იქ გოუმვითო (ა.); იგზე გვიცხია, **სეტყვამა** გაყარა (ბაზგ.)... (შავშური).

მაჭახლეღმა ჩემ **ნენემა** იცოდა (ჯივ.); ჩემ **დეღემა** იცის (ერენ.)... (კლარჯული).

-მა სუფუქსი გვხვდება ასევე თურქული ენიდან შემოსულ სახელებში:

**ბიბიამა** რაცხა იცის, ისაა (უ.); **დეღემა** მაწავლა (ბაზგ.); **ანამა** ზორით ღარჭი დუგუნში წეიყვანა (უსტ.); დოუმტვინეთ, უკან გამეიქცა **ხოჯამა** (მან.); ჩემი **ბაბომა** იმიყვანა, ავათ ვიყავი (ა.); ჩემ **ნენემა** მეტი კად არ იცის, ლაზია და ქი მოვდა (ხოხ.); ჩემ **დეღემა** ყველა ძერზე წყალ მააშხაპებდა, სახში შეიყვანდა (იფხ.); ჩემ **ნენემა** იცოდა, ვიქმოდით ნად (შავშ.); **ნენემ** იცოდა ყოლიმფერი ბალახები (სვირ.);...

შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება სახელები მოთხრობით ბრუნვაში -**მან** დაბოლოებით: დეიჭირა **დათვმან**; **დრომან** გეღეღარა (ბაზგ.); **ძველებმან** იცოდენ (ა.); **ბაჯალამან** და ბალანამ მეიწონა (მან.); თქვენ ორთვესა **ღმერთმან** გიყუროსო (უსტ.); **ძალმან** ნენეღს მიძახის (ბაზგ.)...

მკვლევრები სავსებით სამართლიანად მიუთითებენ სამხრული დიალექტების სამწერლობო ენასთან კავშირის შესახებ. ერთ-ერთი საფუძველი ამგვარი დასკვნისა მოთხრობითი ბრუნვის წარმოებაცაა. აქ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე პარალელს საშუალი ქართულიდან: „**ხელმწიფემა** ვაზირს უბრძანა“; „მისმა **სიკეთემა** და სიმრავლემ გამაკვირვა“; „მეფის **მზემა**, უსაცილოდ ჩვენგან იმათ სისხლნი სდიან“; „ავიყარენით, რა **მზემა** მწუხრად ქმნა დანასულობა“;

ერგატიულ კონსტრუქციებზე საუბრისას ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმები, როცა გვაქვს შეთანხმება ფუძის სახით მოთხრობით ბრუნვაში: სიზემ, **ჩვენ** თოღამა ხარი ეიყვანა (ბაზგ.); **ჩუენ** ფაქიზომ გულში ჩოუგდო (ა.); **ჩემ** მირთმეველ პურმა მე მიპუაო (მან.); ზმამან და **ერთ** ბერ-დედაბერმა დაასახლეს ღარჭი (უსტ.); მოიდა **ერთ** ქალმა, მაადულა ბეთმეზი და წეღლო (უ.); ვინ მოქსოვა? **ჩემ** ხელმა, ორი ჩიფთი მაცვია და კიდევ მცია (ბაზგ.)...

სამხრულ კილოებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მკრთალად გამოხატული ტენდენცია, რომელიც სისტემატურია კლარჯულში, კერძოდ, ლივანური მეტყველებისათვის.

პროფესორი მერი ცინცაძე მიუთითებს შემთხვევებზე, როცა გარდაუვალი ზმნა წყვეტილში სახელს მართავს მოთხრობით ბრუნვაში: ეიწია **ყანამ** რამტონი ხანია; **ბაღანამაც** მიტრიალდა და წევდა...

ნაკლებად, მაგრამ მსგავსი კონსტრუქციები შავშურისათვის და სხვა სამხრული კილოებისთვისაც არის დამახასიათებელი: **კიტრმა** ასე ბევრი მოვდა; **ბერმა** გაბღეზდა; **ბერმაც** უჩუმარაი შიგან შევდა; **ზალმა** მოიდა, შიგან შევდა; **ბერმა** იქ დარჩა; **წვიმამ** დეიწყო; **ხოჯამ** გაბღეზდა; **სიცხემ** დააწვა; **ბაბამ** აქ დეიბადა; **ბუძიამ** გამეიქცა; დასჯერდა **ხალხმა**; **საქმემ** მემერიაო; **მექთუბმა** მოვდა; **ბერმაც** გამოიდა და ა. შ (ცინცაძე, 1954:16).

კირნათ-მარადიდის მეტყველებისათვის სპეციფიკური ისაა, რომ ზმნა სახელს მოთხრობით ბრუნვაში მართავს პირველი სერიის მწკრივებშიც: **ბაღნებმა** არ ეპატრონებიან მის სახლს; **ფიქრიემ** ტირის, ბაბამ მომკლისო; იმან ბევრი მასაქმა, **კაცებმა** მასაქმებდენ; ჩემი **ბიჭმა** იქ მარება, შოფერია; **ახლანდელებმა** რომ მოდიან აქა, ისვენ წადიან; შეეყარა **დათვმა**; შეხთა **ლეღემ**; დაწერა და წვდა მეგერ ამ **ბერმა**; წევდენ **დივებმა** ჰაცხან საქმეზე; მოვდენ **დივებმა**; **ჩვენებმა** ბორჩხაში ჩამოსულან; **დიდებმა** ლამაზი ლაპარიკობდენ; **მოზვერმა** რა იქნავს?; ბევრი **ინსანმა** ხმარობს წამალი; მე ახლა თეიზეს მიძახის ჩემ **ღარჭმა**; ყველა **სოფელმა** გააგნებდა...

მარადიდული მეტყველების ამ სპეციფიკურ თვისებას მკვლევრები ლაზური ენის ინტერფერენტულ გავლენად მიიჩნევენ. გავლენა აქ ვლინდება არა მარტო ლექსიკასა და ტოპონიმიაში, არამედ იჭრება გრამატიკულ დონეზეც მორფოლოგიასა და სინტაქსშიც (სურმავა, 2011:73).

სხვა მოსაზრებით (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე და სხვანი) სამხრულ კილოებში (სხვა კილოებშიც) ანალოგიური ფორმების პოვნისეობა ეჭვქვეშ აყენებს ლაზურის გავლენის საკითხს ლივანურ და, შესაბამისად, კლარჯულ მეტყველებაზე.

### 3.5. თანდებულის ბრუნვები

თანდებულთან დაკავშირებით სამხრულ კილოებში საინტერესო სურათი იხატება. ნიშანდობლივია, რომ შავშური, აჭარული, კლარჯული და ტაოური კილოები ბევრ საერთოს ავლენენ.

უპირველესად განვიხილავთ თანდებულის ზმნისართზე დართვის შემთხვევებს, რაც, საზოგადოდ, უცხო არ არის და ისტორიულად ჩანს დამახასიათებელი ქართული ენისათვის. მეტიც, შესაძლოა, პირველად ზმნიზედაზე თანდებულის დართვა უძველესი ვითარების ამსახველი იყოს, ყოველ შემთხვევაში მანამდელი, ვიდრე თანდებული სახელს მიეკედლებოდა და მისი მხლებელი გახდებოდა. ამასთან, შესამჩნევია, რომ უმეტესწილად თანდებული დაერთვის ადგილისა და დროის ზმნიზედებს. ამ ფაქტში უნდა ვეძიოთ თვით თანდებულის ფესვები.

ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ზემოხსენებული შემთხვევები ბუნებრივია სამხრული კილოებისთვისაც, თუმცა, ცხადია, აქ თვალშისაცემია სწორედ ამ კილოებისთვის დამახასიათებელი ფორმები. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს შავშურიდან: **იგზემიდან** არ არი პეტროლ (წეთ.); ჩვენი ბაბოჲ იყო **იგზე** და მოკდა (იფხ.); თელგან ისეა, **თელგან** (ზ.); აქ ჩამოვლენ, **აქიღამ**, ჰა! (მან.); უბის **ზედეღამ** ადგილია, **ზედუბე** (უ.); მარტო ჩვენი დაილის **იქეთიღამ** და ხემწრული დაილის **უკნეღამ**... იმას **წინეღამ** თორმეტი ცალი თექი არი... (ბაზგ.); **იქიღამაც** არიან ჩვენთან, **აქიღამაც** არიან იქაც (ხევწ.)...

მსგავსი ფორმები გვხვდება აჭარულშიც: წვიმის წვეთი **აგზე** დემეცა, ჰა (ქედა); **იქში** იყო ... (ერგე)...

–**კენ** თანდებული **კე**ს სახითაა. დაერთვის იგი სახელებსაც, ზმნიზედებსაც: **აქეთკე** ხართ თქვენ (ბაზგ.); ჰაიდე, ასე ჩუყყვეთ **ქომოთკე** (ნიოლ.); **ზემოთკე** ვიცით, **ქომოთკე** არ იციან (უ.); რუსმა გადააბრუნა **თავისკე**, თვარა თქვენ **აქეთკე** იყავით (უ.); თორმეტი სოფელი იქეთ დარჩენილა, ექვსი თანე სოფელი **აქეთკე** (უ.); ბრუნდება **იქითკე** ლაპარიკი (უ.).

**კენ** (>კე) თანდებული დაერთვის –**გან** თანდებულთ ნაცვალსახელისაგან ნაწარმოებ ზმნიზედას:

თელგნისკე არი გზა (უ.);

თელგნისკე<თელგნისკენ (<თელგანისკენ): ყველა მიმართულებით...

გამოყენების სიხშირით –კე ჭარბობს –კენ’ს. ნ მოკვეცილი –კენ ქართული ენის სხვა დიალექტებისთვისაცაა დამახასიათებელი.

კლარჯული: წინესკე მიდის; ზეისკე შეიარა (შ. ფუტკარაძე, 1995:17);

ტაოური: პარხლისკე მიხუალთ? (ელიას); ..წიმიყვანეთ მშობლისკეო (ელიას.)...

აღვნიშნავთ, რომ –კენ>კე ქართული ენის მრავალი დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. ცოცხალი მეტყველებიდან –კე ზოგჯერ სამწერლობო ენაშიც იჩენს თავს (დაწვრილებით იხ. ფალავა, 2011:231-155).

თვის თანდებული შავშურსა და აჭარულში დასტურდება –თვინ//თინ ფორმითაც:

კარებ ვაკეთებ... ფუტკრებისთინ (ბაზგ.); აქ მოვასხი ჩემ კაცისთინ (ჩაქ.); შელოცვა ჩემთინ ვიცი (უსტ.); ჩვენი რემეზანი ყოფილა ერთ თვეში ყოლთინ (მან.); ბაჰრამისთვინ ისტამბოლი მევარე, აჰმედი ვნახე (ხობ.); ზამთარ საქმე არ არი ფეხებისთინ ფათივი ვქსოვთ...(ნიოლ.)...

შდრ. ღმერთმა რატომ მოგვცა ენა? ლაპარაკისთვის (ბაზგ.).

-თვინ//თინ გვხდება აჭარულშიც, სხვა სამხრულ კილოებშიც:

ბაღნისთვინ მინდა, არ მომატყვილო (ორთაბ.); ჩემთინ ხომარ ვაკეთეფ, თქვენთინ მინდა (მახო)...

თვის ვარიანტი იშვიათია.

შ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ „ეობულეთურ მეტყველებაში გავრცელებულია – თვის თანდებულის ბადალი ნანათესაობითარი ვითარებითის -იზდა||იზა ფორმა, რაც, ეჭვი არაა, გურულის გავლენას მიეწერება” და მოჰყავს ასეთი მაგალითი: შენი გულიზა; არიფ ბუძეიზდა (ნიჟარაძე, 1975:129 შდრ. იმნაიშვილი, 2006:68). ანალოგიური მოვლენა მართლაც დასტურდება გურულში: ფოთში დადიოდენ თებზიზა, მარლიზა, პურიზა; ამის გულობიზა გავაკეთე; შენი გულიზა აკეთეფს...

შ. ნიჟარაძის მოსაზრებას თითქოს ამართლებს გურულში პოვნიერი ფორმები, მაგრამ არის წინააღმდეგობა, კერძოდ, -იზა(<იზდა) გვხდება ბათუმის მიმდებარე



სოფლების (ორთაბათუმი, კაპრეშუმი, აგარა, ყოროლისთავი, განთიადი...) მკვიდრთა მეტყველებაშიც:

**ბალიზა** ამხელა ხეზე ეისლება? მარტო **მიზდა** უნდა ყველაფერი... (ორთაბ);  
**ბაღნიზა** მუყცია თოფი, ყეზა არ ქნას (აგარა); **ხაპიზა** წესულა ბაზარში (ყოროლ.)...

-**იზა** დასტურდება შავშურშიც:

ამა **მუსლიმანობიზა** ამგვარობაი კაი არ არი (ნიოლ.)...

როგორც ვხედავთ, **-იზა//ზდა** თანდებულის ხმარების არეალი გაფართოვდა. ჩანს, იგი არაა რომელიმე ერთი კუთხის კუთვნილება.

სამხრული კილოებისთვის დამახასიათებელია **დან** თანდებული:

**ბათომიდან** წამოსულან პირველათ ბურსას (ბელ); **ალამბრიდან** წამოსული, ყველამფერი იცოდა (თახთ.); **ბათომიდან** ერთი ქალი გამიეთხვა აქა...(ჩაქ.); **მაჭახლიდან**, **ზედვაკიდან** ევკიდე სიმინდი (სვირ.); მე **ართვინიდან** დედოფალი მუელი აქა (ზ.); **ისტამბულიდან** მოსული ვარ (მერჯ.); **ესკიდან** მარილი **ბათუმიდან** უწიკავს ძრუგით (მერჯ.)...

სამხრული კილოებშივე **დან**'ის პარალელურად იხმარება **დამ**იც. მაგალითად, შავშურში:

ჩვენ **კარიდან** გევხედე (მან.); **იქიდამ**, აბა, ასე იქითა **ლელიდამ**, ამ ჩვენი სოფლის **გაღმიდამ** ლელე არის (ხობ.); აქედან, ოპო, ბევრია **აქედამ** (ნიოლ.); **დიობანიდამ** მაღლა'ნა აბრუნდე (ბაზგ.); ერთი აქ მეზობელი მყავ, გაღმა **სოფლიდამა** (მან.); არაბას გზა იმფო **შორედამ** უხვევს...(თეთ.); **ფოშტიდამაც** ავალთ წითლობაზე, გადავხედავთ აქარაზე (ხობ.); ...წამოიდა ასკერმა **იქითიდამ** (ხობ.); **სარიჩაირიდამ** გედივარეთ და **მაწარულიდამ** ტომესეთ ჩავედით (ხობ.); **იქიდამ** იშტა დავყევით სოფლებში (ხობ.); მახალაკი **ზიებიდამ** გაველით ოლადავრ (ხობ.); **სოფლებიდან** აქმოდიან, შავშეთ (უსტ.); **სახლიდამ** გახუალ, კარაპანია, გადახურვილი (წეთ.); მე **ართვინიდან** ვარ, დიობნი **სოფლიდამ** (დიო.); რესმები მოვდა **აჭარიდამ**, თავით ვეღარ მოვდა...(ხობ.); **ტიტვინიდან** წყალი გამოდის და ხდება ბორბალსა (ხობ.); ზამანი გასულა, ჰამა რზალი **ოდიდამ** კარში არ გამოდის (შოლტ.); ჯანი შიმჩირდება, წამუალ აქ **ისტამბოლიდამ**, ბადიშებ წამებყუან (ხობ.); თქვენ ახლა **სიდამ** მოსიხართ? (მერჯ.);

დედე **ბათმიდამ** მოვლოდა ამა არ მოვწრებივარ (ზ.); **გურჯისტანიდამ** პროფესორი მოდიოდა ანკარას... (უბე); **ართვინიდამ** ვარ-მეთქი, ჩაქველთას ეტყვიან-მეტქი (ჩაქ.); ერთი აქ მეზობელი მყავ გაღმა **სოფლიდამა** (მან.); ხობლევში ქალები ბევრი **აჭარადამ** არიან (მაჩხ.)...

მსგავსი ვითარებაა აჭარულშიც:

**ჰიდამ** მობრძანდით თქუენ, **ხულიდამ** ხოშ არ მობრძანდით? (ჭვანა).

შდრ. **გადარგულიდან** ზოგმა გახმა (წედა)...

-დამ თანდებული გვხდება ოდენ ზემოაჭარულში. ქვემოაჭარულში ამჟამად არ ჩანს, მაგრამ დასტურდება იგი აბდულ მიქელაძის (XIX საუკუნის 80-90-იანი წლები) წერილებში:

**ქედიდამ** ახალციხემდე გზა კეთდება (მიქელაძე 1991:77); მერე გაცლიდა იმათ **ოთახიდამ** გარეთ (მიქელაძე 1991: 80); **ბათმიდამ** ვერაფერს ამოვტანთ (მიქელაძე 1991: 82-83); ასე იფიქრებთ, ბათმანებით ასხამს ვინმე **ციდამ** წყალსაო (მიქელაძე 1991: 93)...

შდრ. მაშინვე სასამართლოდგან კაცი წავიდა (მიქელაძე 1991: 77).

საყურადღებოა, რომ -დამ გვხდება ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში, რაც იმის დასტურია, რომ ადრე აღნიშნული თანდებული ქობულეთურშიც იხმარებოდა: „სიზე **ყანიდამ** შემეფარდა”... (ფაცა).

ჩანს, -დამ თანდებული ისტორიულად მთელს აჭარულ დიალექტში იხმარებოდა.

კლარჯული: **თოვლიდამ** დედეს აკეთებენ; **რიზედამ** მევტანე;

**ჩვენიდამ** გაყრილან (ქლასკ).

ტაოური: **ბუზდოლაზიდამ** დაილია; **ბათუმიდამ** ხართა? აქ ყოფილან ჩვენი დედები, **აჭარიდამ** მოსულან ელიას)...

აღსანიშნავია, რომ -დამ თანდებულის აჭარულში პოვნეირება შ. ნიჟარაძეს აფიქრებინებდა, რომ „რიგი დიალექტური თავისებურებებით (აჭარული) ენათესავება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებს, განსაკუთრებით

ქართლურს” (იხ.ნიჟარაძე 1975.:130). თუმცა, როგორც ვნახეთ, დამ’ი საზოგადოდაა დამახასიათებელი სამხრული კილოებისთვის.

**-დამ (<დაღმე)** გვხდება ქართული ენის ბევრ დიალექტში, დასტურდება საშუალო ქართულის ძეგლებში. ჩანს, იგი ცოცხალი მეტყველებიდან შევიდა სამწერლობო ენაში. გამომდინარე აქედან, სალიტერატურო ენაში იგი დიალექტიზმად შეიძლება ჩაითვალოს.

ნიშანდობლივია, რომ **-დამ** თანდებულის გავრცელების არეალი გაცილებით ფართოა, ვიდრე ეს არნ. ჩიქობავას წარმოედგინა (იხ. ჩიქობავა 2010:305-318), იგი საერთოქართული მოვლენაა.

შავშურში **-ში** თანდებულს ზოგჯერ შიგან ზმნიზედაც ახლავს და გვაქვს ერთგვარი ტავტოლოგია:

ვამლსა ჩავჰყრით ქვაბში, **წყალში შიგან**, მეიხარშვის (ხოხ. შ. ფ.206); **ყაბში შიგან** ეიბერვის, თეფსში შიგან ეივსება...(იქვე); **წისქვილში** ერთი ბერი კაცი იყო **შიგან** (ბაზგ. შ.ფ.232); ბევრი არიან გადმოსახლებული **შიგან თურქეთში** (იქვე); **ამაში შიგან** არი (წეთ.. შ.ფ.264)...

გვხდება **-ში** თანდებულის ამოსავალი **-შიგან** ფორმაც:

ალთუნები ველარ უპოვნიან იმ **ბებექებშიგან** (ხევწ.); ვაკითხებდი კიდეც **სამსუნშიგან** (ზაქ.); **ბათუმშიგან** ხართ? (ზაქ. კრ.V,263)...

იშვიათად, მაგრამ შიგან ნათესაობითის ფორმას ახლავს:

**დიობანის შიგან** თექ არ ლაპარაკობენ (შავშ.).

მოყვანილ მაგალითში **შიგან** ცალკე მდგომი სიტყვაა და იგი ჯერ კიდევ არაა დაცლილი ზმნიზედის მნიშვნელობისაგან.

შავშურში **-ში** თანდებულიანი მიცემითის გვერდით გვხდება უთანდებულო (ზოგჯერ უბრუნვისნიშნო) მიცემითი:

ზამთარი **ისტამბულ** გამეყვანე ღარჭებთან (ხოხ.); **იმერგევ**, **შავშეთ** გურჯი სოფლები ბევრია (შოლტ.); **ისტამბოლ** არი ჩემი მეემური შვილი (ხოხ.); წასული არიან ამ თერეფიდან ბევრი **ინეგოლ**, **ისტამბოლ**, **იზმით** (ბაზგ.); **ბაზგირეთ** ააწიეთ? (ხევწ.); ეადა მითხრა, ქი, ჩვენო **ბათომ** მუსლიმანი ხალხი არიან, ისე არაო

იქო, თიფლის ახლავენ ალაგ-ალაგო (ხევწ.); თელი ემეში სხედან, ისტამბულ (ზაქ.); მე ჩამოველ ბათუმ, კირნათ გეველი... (ჯივ.); სიფთე ისტანბულ არა კაცი არ გაათევედა ვინმესთან (ქობ. მუჰ.); ბაზგირეთ დუგუნია, გედეხვიდეთ'ნა? (დ.)...

ასეთი ნიმუშები მრავლადაა შავშურ მასალებში.

გვხდება ჩვეულებრივი ფორმითაც:

კროკებში, ქილკებში, კოლოფებ აკეთებდენ შეშიდან...(ზენ.); ჩიხორიდან აქ გამევეთხუე უსტამისში (უსტ.); ესენიც ისტამბულში არიან (შავშ.); ისისნი იზმითში ცხოვრობენ (მერჯ.); ორი ბიჭი, ერთი გოგო მყავს, თბილისში ისწავლეს, უნივერსიტეტში (მერჯ.); მაჭახელში რომ გადახვალ...(მერჯ.)...

„ბაზრის“ აღმნიშვნელ თურქულ სახელში – „ჩარში“ ში გააზრებულია ქართულ თანდებულად და ზოგჯერ ში აღარ ერთვის:

ესენი ჩარში დეიბადენ (იფხ.);

შდრ. აიჰანა ჩარშიში წევდა (ბაზგ.).

დასტურდება ცალკე მდგომი შინა თანდებული, ოღონდ სახელის ფუძესთან:

ქართულ შინა თურქა შერეულია (ბაზგ.).

შავშურში, იშვიათად მაგრამ მაინც, დასტურდება –ჩი(<ში) თანდებული:

დონეგჩი რომ იქნები, დარჩები შუა გზაში (დასაბობი. შ.ფ.226); ზამთარჩი გეჩთი არ აქონ (შავშ.)...

-ჩი (<ში) გვხდება ქართული ენის ბევრ დიალექტში. მათ შორის აჭარულსა და ტაოურში:

აჭარული: სოფელჩი აღარ ჩერდებიან, გარბიან (ხულო); მიდღემჩი არ ვიფიქრებდი (ორთაბ.);

ტაოური: იმეთჩი ჩვენ დედები ყოფილან იშტე (ელიას.).

მაშ ასე, შავშურ კილოში შენახულა –ში თანდებულის ამოსავალი ფორმა შიგან;

-ში თანდებულის მიცემითთან ერთად დადასტურდა უთანდებულო მიცემითის ფორმებიც. ამით შავშური გვერდით უდგას სამწერლობო ქართულსა და სხვა დიალექტებს, სადაც ანალოგიური მოვლენა გვხდება.

შავშურში ზოგჯერ –ში>ჩი'ს.

**ზე** თანდებული:

ახალ წელზე ის ადეთი მაქვან, დილაზე არ'ნა დეილაპარიკო (ჯივ.); გათენდება, დილაზე დედოფალ გამევეყანთ გარეთ (ზ.); კაცები ჯამეზე წევლენ, ილოცვენ (ზ.); ფესტივალზე ამოდი და ამღერე აგინი (მერჯ.); დილაზე თუ მოკდა, შუადღე უკან ჩადებენ (მერჯ.)...

შავშურში დადასტურდა შემთხვევა, როცა –ზე თანდებული ცვლის - ში'ს: ერთი ემის ეფენდი იყო ოლადავრზე (ხობ.)...

ანალოგიური მაგალითები დასტურდება აჭარულშიც: ქორწილში ვიყავი//ქორწილზე ვიყავი...

ყურადღებას იქცევს მიცემითისა და ვითარებითის მონაცვლეობა. ხშირად ვითარებით ბრუნვაში მოსალოდნელი ფორმა მიცემით ბრუნვაშია. ეს ეხება როგორც ძირულ, ისე წარმოქმნილ სახელებს. განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როცა ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად გამოყენებულია –ში, -ზე თანდებულიანი ფორმა: მოცვის საკრეფელში ვერ წამოხვალ? ხუჩაფაც უქველში ამულა შენთან; შენი ძმა სანადიროს დადის... ამდონზე მაღც გავაფართოვოთ გზები; ამდონზე თუ გეშინია... რა ღირს? ექსი მანათი – ნაკლებში არ იქს? ძალუან ძვირი დამიჟდა, ხუთ მანაჩი ძვილაჟ გამუელ; უფროსი ძმა მოსაგეფში იყო წასული; იმდონზე მაღც მეიხედვიდეს, რომ ფეხზე წამოდგეს, სხვა რა მიჭირს.

**თან** თანდებული:

შავშურში –თან თანდებული ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვასთან იხმარება. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, ხმოვანფუძიან სახელებზე დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება:

იქ ჩემ დათან არიან (ბაზგ.); ჰო, ზათი მუსათან ვერაფერ ვერ დამახსენებს (ზ.); ჯამეთან რომ იყო, ის არი (უბე.); მოვიყვანო, გო, იმათან? (სვირ.)...

აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური შემთხვევები სხვა კილოებში არ გვხვდება (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის არაა ცნობილი). თითო-ოროლა შემთხვევა დადასტურდა აჭარულში.

ნ. მარის ჩანაწერებში დადასტურდა **სან**: წეუდა ქელოლლანმა ქოროლისან (მარი 2012: 94).

აჭარულშიც დასტურდება **ძმასან, დასან** (ძმასთან, დასთან) და მისთანა შემთხვევები. თუ **ჯამეთან** და მისთანა ფორმებში ჩავარდნილია ბრუნვის ნიშანი (-ს), **დასან**ში დაკარგულია –**თან** თანდებულისეული /თ/ თანხმოვანი.

პარალელურად გვხვდება ნორმის სახით:

ვერ იკადრა **არხატაშთან** ესა ამ კაცმა; ზოგი ახლა **დოხტორებთან** ემე აყრიან; იქ ასული იქნებით, იქ არი, თავი **ბაბოსთან**, თავი ანასთან...; შარშან თველზე ჩაველი, შვეელი **დოხტორთან**...

შავშურში –**ვით** თანდებული –**ვეთ** ფორმასაც გვიჩვენებს:

**შეშასავეთ** დადიან ფალაზები (ხევწ); წურილ-წურილია, **ლობიასავეთ** (ბაზგ.); **კინასავეთ** არი ქირქიტი (კოკ. შ.ფ. 205); მუში არი ერთი, **ბათუმსავეთ**, იქ წავლენ (იქვე)...

აღვნიშნავთ, რომ –**ვით>ვეთ** დასტურდება აჭარულში (ნიჟარაძე, 1975.:129), იმერულში (ძოწენიძე, 1973.:80).

აჭარულსა და კლარჯულში დასტურდება –**ვენ** ფორმაც:

**თურისთავენ** აარებით, ბევრი ფარა გინდანან (კლარჯ.); სუნაგ **კატასავენ** ააფარებდენ თვალებზე (თახთ)...

თანდებულის ფუნქციით იხმარება სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედა.

ფართოდ არის გავრცელებული თანდებულის მნიშვნელობით **უკან**, რომელიც დაერთვის სახელს და აღნიშნავს დროს.

შევნიშნავთ, რომ **უკან** და სხვა ზმნიზედებიც უმეტესად დაერთვიან სახელის ფუძეს:

ეგა დანიშნულია, ბაირამ **უკან**ნა მეიყვანოს (მან.); ათ დღე **უკან** მივალ (ნიოლ.); დილაზე თუ მოკდა, შუადღე **უკან** ჩადებენ (ბაზგ.).

**უკან** გვხვდება ნათესაობით ბრუნვასთანაც:

მარტი იცით? ნისანი? მარტის **უკან** ქი არის, ნისანი? (ჩაქ.).

იშვიათად **უკან** დასტურდება მიცემით ბრუნვასთან:

სამ დღეს უკან'ნა მოიდეს (ჩაქ.).

მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა დაირთავს „უკან“ ზმნიზედას:

**იმას უკან** რუსებმა ნელნელა წამოციმციმდენ (მან.); მას უკან გვითხრა (უ.); მას უკან მუელ (ჩაქ.).

პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმასთან ბრუნვის ნიშანი (ალბათ –ს) არ ჩანს: ჩვენ ვქენეთ და ჩვენ უკან – არა (ჩაქ.).

როგორც დამოწმებული მაგალითიდან ჩანს, უკან „შემდგომი, მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენება“ (აფრიდონიძე, 2002.:34).

ორიოდე შემთხვევაში უკან ადრინდელ, წინა ვითარებას აღნიშნავს:

ერთი კვირე უკან მოსულიყავი, კაჲ იყო (უ.); შვიდი წლის უკან დევიწავლე თურქა (უ.); ერთი წლისა უკან ქირვას დააყენებენ (წეთ.).

საინტერესოა მოსაუბრის შენიშვნა: „ორი წლის წინა, ჩვენ „წინ“ ვამბობთ, „უკან“ ჰალადა მოიდეს, იგია უკან (მაჩხ.). ე. ი. რაც უნდა მოვიდეს, ის არის „უკან“.

ადგილის აღსანიშნავად სახელთან გვხვდება უკნედან:

კარჩხალის ჰამან უკნედან; წითვეთი შავშეთის უკნედანაა (ბაზგ.); ჯინალი(ს) უკნედან აჭარაა (დავ.).

უკან ანალოგიური ფუნქციით იხმარება აჭარულშიც: „ცოტა ხნის უკან დეიდრა შავი ღრუბლები; სამ დღეს უკან რომ მეიწვევდე, უმფო მეტი ხალხი დეესწრობა.

უკან ზემოაღნიშნული ფუნქციით იხმარება აჭარულ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც: ჩემ უკან დაბადული არიან (შ. ფუტკარაძე).

უკან'ს იგივე მნიშვნელობა აქვს კლარჯულსა და ტაოურშიც:

**ტაოური:** ქალის უკან მოიდოდა (=ქალის შემდეგ მოდიოდა) (შდრ. ფუტკარაძე, 1995.:32).

**კლარჯული:** ასევე კლარჯულში უკან ზმნისართული თანდებული იხმარება შემდეგის მნიშვნელობით: ერთ თვეს უკან (=ერთი თვის შემდეგ) მოვალ (იხ. ფაღავა, 2011:251, ცინცაძე, 2015:55-59; ფაღავა...2016:567).

ჩანს, უკან თანდებული აღნიშნული ფუნქციით მთლიანი სამხრული მეტყველების კუთვნილებაა.

„წინ“ სახელთან ადრინდელ ვითარებას გადმოგვცემს ნათესაობით ბრუნვასთან და ფუძესთან:

ოცი წლის წინ ზამთარ–ზაფხულ იქ იქნებოდენ (დას.); ჩემი ერთი ბიჭი ოთხი დღის წინ ბათომ იყო (ჩაქ.).

თხუთმეტ წელწად წინ გაკეთდა გზები (დ.).

ზმნიზედის თანდებულად გამოყენების სხვა შემთხვევებია:

იმაზე წინ ჩაქველთა იყო (ჩაქ.);

შეხვალ დელე გაღმა,ჰო (ზენ.);

მე იქ ვიყავ, სერ იქეთ (უ.);

სხვაგან წეიყვანა, სოფელ გარეთ (ჩაქ.).

შდრ. ჯავახ. გავიდა სოფელ გარეთ (მარტიროსოვი, 1984.:62).

თანდებულის ფუნქციით თანაობის აღსანიშნავად ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება „ერთად“.

ჩაის ერთათ ყართოფი ფენა გერმელია (ხოხ.); ტომათისის ერთად დაღ ჩავასხამთ (უსტ.); ხახვ დაწვავ დაღის ერთად (ბაზგ.); დაღში მოხრაკვენ დემილი ხახვის ერთად (უსტ.); იქიდან მუალთ ამ ბაღვის ერთად (ხოხ.).

ერთ შემთხვევაში „ერთად“ დაერთვის –თან თანდებულის ნათესაობით:

წავდივარ ხოჯასთან ერთად (ბაზგ.).

ზმნიზედის გამოყენება თანდებულის ფუნქციით დამახასიათებელი მოვლენაა ქართული სამწერლობო ენისა და კილოებისათვის. ფუნქციური თანხვედრის მიზეზი მათ საერთო წარმომავლობაში უნდა ვეძიოთ (იხ. მარტიროსოვი, 1946).

ამგვარად, სამხრული კილოები თანდებულთან დაკავშირებით ბევრ საერთოს ავლენენ და ამასთან, ხშირად ასახავენ ქართული ენის უძველეს ვითარებას.



### 3.6. ბრუნვათა ფუნქციები

ქართულში ყველა ბრუნვას თავისი გამოკვეთილი ფუნქცია აქვს. აქედან, ზოგს მხოლოდ ერთი ფუნქცია მოეპოვება, ზოგს კი - რამდენიმე ერთად. ბრუნვათა ფუნქციები დროთა განმავლობაში იცვლებოდა: მათ ხან აკლდებოდა, ხან კი ემატებოდა რაიმე მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრუნვის ფორმებს გრამატიკული ფუნქციის მიხედვით, პირველ რიგში, ჰყოფენ პირდაპირ და ირიბ ბრუნვებად. პირდაპირ ბრუნვებად მიიჩნევა ზმნასთან შეწყობილი პირების - სუბიექტისა და პირმომართი ობიექტების ბრუნვები, ანუ ქართულისათვის პირველი სამი ბრუნვა (სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი); დანარჩენები (მათ შორის მიცემითიც, როცა ის სუბიექტს ან პირმომართ ობიექტებს არ გამოხატავს) - ირიბი ბრუნვებია (გოგოლაშვილი, 2011: 130).

საკამათო არაა, რომ ბრუნვათა ფუნქციებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით დიალექტებს. ჩვენი ინტერესის საგანს ამჯერად, სამხრული კილოები წარმოადგენს.

**სახელობითი** ქართულ ბრუნვათა სისტემაში (წოდებითის შემდეგ) ყველაზე ახალი ბრუნვაა.

სახელობითი ბრუნვა - არის სახელდების ფორმა, ანუ არსებითი სახელის ის მდგომარეობა, რომლითაც სახელი ერქმევა სახელდების ობიექტს (აღსანიშნს); ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ შესაბამისი გრამატიკული შინაარსის ბრუნვა ყველა ენაში დგას პირველ ადგილას და ის უმეტესად არამარკირებულია, ანუ ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ასევე იყო ძველ ქართულშიც.

სახელობითის „პირველობის“ განმსაზღვრელია ისიც, რომ ის არის სუბიექტის ერთ-ერთი ძირითადი ბრუნვა.

მოკლედ, სახელობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ქვემდებარის გამოხატვა, ეს ნორმა დაცულია **კლარჯულ** მეტყველებაშიც:

**ქორწილი** დამთავრდებოდა (ხ.); **აჯარი** ზენგინი კაცია (ქლასკ.); ჩვენი **კაცები** ასე ჩვენსავენ არ დაჟდებოდენ (ქლასკ.); ჩემი უწინდელი **დედე** ცხენზე დამდარი მოვდოდა (ბაშქ.)...

აღსანიშნავია, რომ კლარჯულში სახელობითის ფუნქციით ზოგჯერ მოთხრობითიც გვხვდება, ანუ იქ, სადაც მოსალოდნელია სახელობითის ფორმები, ხშირ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნა წყვეტილში სახელს მართავს მოთხრობით ბრუნვაში და ვლემულობთ შესაბამის ფორმებს:

**ქალებმა** (=ქალები) მარტო ძროხას მოწველიდენ (ქლასკ.)...

ქვემდებარეს გამოხატავს სახელობითი სხვა სამხრულ კილოებშიც:

**შავშური**: ოქი თურქეთი კაცები საომებლად წასულან; ერთი ფაფაზი ყოლიათ (ხობ.); **დედამთილი** ფელჯი გახდა (მერჯ.); **კაცი** არ მყავს (მერჯ.); ჩვენი **ფესთივალი** ოთხი დღე იქეთ იქნება (მერჯ.); **ზიარეთი** არ იქ (უ.)...

**მოთხრობითი** ბრუნვა, როგორც აღვნიშნეთ, სპეციფიკურია ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ამიტომ მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქცია, ე. წ. ერგატიული კონსტრუქცია ქართველური ენებისა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენების კონსტრუქციაა.

მიუხედავად ამისა, იყო დრო, როცა მოთხრობითი ქართულ ბრუნვათა რიგში არ შეჰქონდათ, მას სახელობითის ერთ-ერთ სახეობად თვლიდნენ. დიდი „ბრძოლის“ გადახდა იყო საჭირო, რომ ამ სპეციფიკურ ქართულ ბრუნვას ბრუნვათა შორის ეპოვა ადგილი (იმნაიშვილი, 1957:682).

ქართულში მოთხრობითს ერთადერთი ფუნქცია მოეპოვება, ის მხოლოდ ქვემდებარეს გამოხატავს. მაგრამ ქვემდებარეს გამოხატავს არა ყოველთვის და არა ყოველ ზმნასთან. აქ ორი შეზღუდვა არსებობს: 1) მოთხრობითი ქვემდებარეს გამოხატავს მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან და 2) ამასაც მხოლოდ II სერიის მწკრივებთან. მაშასადამე, გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითის ხმარება შეუძლებელია; შეუძლებელია მისი გამოყენება აგრეთვე II სერიის გარდა რომელიმე სხვა მწკრივთან (თუნდაც გარდამავალ ზმნებთან).

მოკლედ, ქართულ ენაში მოთხრობით ბრუნვას ერთადერთი, საუკუნეების მანძილზე უცვლელი ფუნქცია აქვს - გამოხატოს გარდამავალი ზმნის სუბიექტი მეორე სერიის ფორმებთან. ზმნა ამ დროს შეიძლება იყოს ორპირიანი, სამპირიანი და ზოგჯერ - ერთპირიანიც კი, როცა საშუალი მოქმედებითი გვარის ზმნითაა გადმოცემული.

სამხრულ კილოებში მოთხრობითის ფუნქცია ნორმის მიხედვითაა გამოხატული:  
**კაცმა** ამომირჩია (ბაზგ.); **ბაბუამა** მითხრა (ბაზგ.); ახლა მიმიტანა **ბაღანამა** (უსტ.)...  
მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციებზე საუბრისას, შედარებით ვრცლად უნდა შევჩერდეთ **კლარჯულ** კილოზე:

**კლარჯულ** მეტყველებაში გვაქვს შემთხვევები, როცა მოთხრობითის ფუნქცია გამოხატულია ნორმის მიხედვით:

**ვიცხებმა** კლავი მააჭრეს (ბაშქ.); ახლანდელ **მოზარდებმა** არ იციან გურჯული (ბაგ.); **ღმერთმა** არ გაგაფაქოს შენ (ბაგ.); **ბიძაშვილმა** რაცხა მოწყვიდა ყანაში (ხ.); **ღმერთმა** შენც გამყოფნოს (ქლასკ.); **ქალმა**, **ბაღანამ** ამოჩხრიკეს, ჩაჩხრიკეს... (ქლასკ.); **ბიძაშვილებმა** იჩხუბენ (ხ.); დიდი ქუმუგები ამოიღო **ჩემმა დედმა** (ბალაბ.); **ღმერთმა** კერა მიგიძრას (ახალდ.).

როდესაც პირდაპირი დამატება I სერიის ფორმებთან მიცემითის ნაცვლად სახელობითშია, ქვემდებარე მოთხრობითშია, როგორც არის ეს საერთოდ ქართულ ენაში მეორე სერიის ფორმებთან (ფაღავა...2016:570):

ქათმები მიდიან და ჭამენ თესლი **ქათმებმა** (კირნ.); **რუსებმა** ჭამებენ ღორი[ს] ხორცი (იბრ.); ჩვენი ჩაი მარადიდ **ძროხებმა** ძოვდენ (კირნ.); ფული ბევრი არ აძლევს **ჰუქუმათმა** (ჯივ.); ამის **დედამისმა** აწევდა ნავი (მარად.); **ქედელმა** კაცი მოკლიდა (მარად.); გოგოს **უმფროსმა** მისი ხალხი აწევს (ხ.) **მეივამა** მიცემს ყვავილი (კირნ.); **ძაღლმა** თაფლი ჭამს (მელან.); **დედმა** ცომი გააკეთებდა (იბრ.)...

შდრ. ძაღლი თაფლს ჭამს, დედმა ცომს გააკეთებდა...

გამონაკლისია ქვემდებარე სახელობითში:

ჩემი **ღარჭები** ყურანი კითხულობდენ (იბრ.)

**კლარჯულში** დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებში გავრცელებული თავისებურება - გარდაუვალი ზმნით გადმოცემული ზმნა-შემასმენლის მეორე სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობითშია:

შეეყარა **დათვმა** (კირნ.); **ამან** გურჯისტანში გეფდა (თხილ.); ჩემმა **ძმამ** შუაში ჩადგა (ხ.); ამ **ძმამ** მომიკტა (ქართ.); **ქალებმა** შვიდ ღამ იკითხებენ (=ილოცავენ) (ავ.)...

ქვემდებარე მოთხრობითშია ასევე გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენლის I სერიის ფორმებთან:

აქა ბუკში მირტყმიდა **მუჰელიმმა** (ნუს.); ჩენი ქართველი **კაცმა**, მის განაყოფს თუ აქვა, ვერ ტანულოფს (ხ.); **არაბმა** არ წავა იქა (ნუსრ.); **დედამისმა** უყვიროდა (გულ.); **ვინმემ** არ გვცემს (ჰამ.)...

იშვიათად ქვემდებარე სახელობითშია გარდამავალი და მედიოაქტიური ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან მეორე სერიაში:

ამის **ბიძაშვილი** (=ბიძაშვილმა) იქ იკითხა (ჯივ.); დიდი **ბადიში** (=დიდმა ბადიშმა) უნივესიტე მეფო (გურბ.)... (ფაღავა...2016:570).

მოთხრობითი ზემოხსენებული ფუნქციით ყველაზე მეტად დამახასიათებელია მარადიდისა და მიმდებარე სოფლებსთვის. თუმცა ამ ფორმას, მართალია, გაცილებით უფრო მკრთალად, მაგრამ მაინც, ვხვდებით მურღულშიც და უფრო ზემოთ, ართვინის მიმდებარე ქართულენოვან სოფლებშიც. შესაბამისად, ვფიქრობ, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი სწორედ კლარჯულისთვის ნორმა იყო საუკუნეთა განმავლობაში.

### მიცემითი:

ქართულ ბრუნვათა შორის ერთ-ერთი უძველესი ბრუნვაა. ამიტომ ეს ბრუნვა სინტაქსურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთულია. ამ მხრივ ის პირველ რიგში ეკუთვნის პირდაპირ ბრუნვებს, როგორც რეალური სუბიექტი (ინვერსიულ ფორმებში) და როგორც - ობიექტი (ირიბი და პირდაპირი - I სერიაში); მეორე მხრივ, ის ასრულებს უბრალო დამატების როლს (უთანდებულოდ და თანდებულოდ), ასევე გამოხატავს ლოკალიზაციას.

მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა გამოხატოს პირდაპირი დამატება. როგორც ცნობილია, ევროპულ ენებში პირდაპირ დამატებას აქვს სპეციფიკური ბრუნვა - ბრალდებითი. სწორედ ეს ბრუნვა არ არის ქართულში. აქ მის როლს ასრულებს სახელობითი და მიცემითი. სახელობითი გამოხატავს პირდაპირ დამატებას II და III სერიის ზმნებთან (კაცმან პოვა **სახლი**, კაცსა უპოვიეს **სახლი**), მიცემითი კი ამ დამატებას I სერიის ზმნებთან გამოხატავს (კაცი ჰპოვებს **სახლსა**).

მიცემითი ბრუნვით გადმოიცემა აგრეთვე, ირიბი დამატება. ეს დამატება, რომელსაც პირის (პიროვნების) დამატებასაც უწოდებენ, მუდამ მიცემითში დგას, მას არ აქვს უნარი ბრუნვა შეიცვალოს. ამიტომ მას ბრუნვაუცვლელს ეძახიან.

ირიბი დამატება მოეპოვება ორპირიან გარდაუვალ ზმნას. ამ შემთხვევაში ის სამივე სერიის ზმნასთან მიცემითში იქნება (კაცი ემალების **მტერსა**, კაცი დაემალა **მტერსა**, კაცი დაჰმალვიეს **მტერსა**. მესამე სერიის ფორმებთან კი მისი გამოყენება იშვიათია (იმნაიშვილი 1957: 75).

ირიბი დამატება შეიძლება ახლდეს აგრეთვე სამპირიან გარდამავალ ზმნასაც. ამ შემთხვევაში ის წარმოდგენილი იქნება მხოლოდ I და II სერიის მწკრივებთან, III სერიის მწკრივებთან კი ის გადადგება მიცემითიდან ნათესაობითში, წყვეტს მორფოლოგიურ კავშირს ზმნასთან და უბრალო დამატებად იქცევა.

მიუხედავად, მიცემითი ბრუნვის მრავალფეროვანი ფუნქციისა, მისი ძირითადი ფუნქცია მაინც ობიექტის გამოხატვაა და ეს ნორმა დაცულია სამხრულ მეტყველებაშიც:

**ღმერთსა** ეწყინა (უ.); **საჰმელსა** შავშეთ ვიღებთ (მაჩხ.), აქ ფუში არ უძღება **კაცსა** (ხოხ.); **ჩაისა** დაჰა დიდი ჭიქით სვამენ (მან.); ძალაზე დანას შევაკოჭიებდით **ხოჯას** (წეთ.); **თაფლ** არ ვყიდით (ჩიხ.); **მეზობელ** დაჩხვერსო (ჩიხ.)...

**ნავს** სამოცი კაცი აწევდა (ხ.); **ნავს** ქურელი ეწიკება - ცარიელა საქმეებზე ვიტყვით (მურათ.); უწინ იტყოდენ ჯაზობა არიო, **ღარჭებ** უყლარჭებდენ (ქლასკ.); მეზობელმა **სახლ** აკეთებდა (ქლასკ.); **ძაღლ** გაფარჩავს, გააგდებს მგელი (დეესქ.); ჩვენ აქ **ხაბაზოდლებ** გვეტყვიან (დეესქ.); **ზაფხულ** ჭოროხი პაწაი იქნება (ხ.); **საქონელ** ძროხა ვეტყვით (მურათ.); **ბაქლავას** მუუტანდენ, **ქათამ** მუუტანდენ (ბაგ.); **ტრაპზონ** ვიკითხე, **სტამბულ** ვიკითხე (ბაშქ.); ეს გზა ენწინ **რუსებ** გუუკეთებიან (ახალდ.); **ჩემ შვილს** ჩასაცმელ უქსოვ, უკლავო (მარმ.)...

#### ნათესაობითი:

ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სუბსტანტიური ანუ მართული მსაზღვრელის გამოხატვა, რაც სამხრულ კილოებშიც დასტურდება:

#### კლარჯული:

გურჯების ქითაბი, სიძის სახლი (ქლასკ.); ხაპები გედესულა ხალხის დერებში (ბაგ.); ბათუმში გუუგზანიან ერთი რუსის კაცის დაკარქვაზე (ბაშქ.); ფირინჯის ფილავის ძებნაში ბურღულიც დაკარქა (მურათ.); მზე იქნებოდა, მეზერის ქვას დავასველებდით (ქლასკ.); აქ ზამთრის ჭოროხი გადიდდებოდა (ქლასკ.); ცულის პირებს დაცხებდენ; ჩემი ბაბო-ს სახლი წყალში დარჩა (ხ.); ახლა ნენე-მს მეზერიდან მოვლით (ხ.); გოგო-მს მყარი მედთხოვდა (ქლასკ.); გოგიტიძეების გოგო იყო (ქლასკ.); ფატატის-ის საჭმელი გააკეთებდენ (ხ.); წევდოს ბაბო-ს სახშიო (ხ.)....

შავშური:

ცხვრის შვილი კრავია, გელის - ლეკვი (მაჩხ.); ზოგი ქმრის სახში დალოგინდებოდა (წეთ.); წყლის სირა გვაქ (ზ.); აქ ხორბლი ვანები იყო (ახალდ.); ჭიაზე ყაბლი გულ მიართმიდენ (წეთ.); ჩემ დედამთილის ანაჲ იყო-და (მერჯ.); აქ ბაბოს სახში ვარ (მერჯ.); კად თაფლი წაბლისა არი, შქერისა არი (ბაზგ.); ქართველებისა დუგუნია (ბაზგ.); კარჩხალის ჰამან უკნედანაა (ჩაქ.); ამ სოფლისა ვართ (ზენ.)...

გარდა ამისა, ნათესაობით ბრუნვას აქვს სხვა ფუნქციები.

ნათესაობითი გვხვდება:

ა. კომპოზიტებში;

ბ. მისი ერთ-ერთი უძველესი ფუნქციაა, გამოხატოს დროის გარემოება;

გ. გვხვდება ინფინიტივის გადმოსაცემად;

დ. გამოიყენება მსაზღვრელად, ზომა-წონის, ფასისა და ასაკის გამომხატველ სიტყვებში, თანდებულთან და სახელთან, ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში... თითქმის ყველა ეს ფუნქცია მეტ-ნაკლებად გამოხატულია კლარჯულშიც.

დავასახელოთ რამდენიმე შემთხვევა:

ათი წლ-ის გახდება ზაფხულში (ასაკის გამომხატველი);

დარჭი, ო, ერთი წლ-ისა და ერთი თვ-ის (ასაკის გამომხატველი)

ზამთრ-ის მერე არ მოსულა (დროის გამომხატველი)...

კიდევ ერთი სპეციფიკური ფუნქცია, რომელიც ნათესაობით ბრუნვას აქვს, ეს უბრალო დამატების გამოხატვაა. ის შეიძლება იყოს თანდებულისა და უთანდებულოც, თუმცა, სამხრულ მეტყველებაში თითქმის არ გვხვდება ნათესაობითის

ამ ფუნქციის გამოყენება თანდებულთ. წარმოგიდგენთ უთანდებულო ფორმებს: **კონცხორეთ-ის** მერე ჩვენ სოფელმა დედწყო (ქლასკ.); **სისხლ-ის** ალება როგორ ხდება იცი? (ხ.) ნახა **შარაბ-ის** დერგი (ხ.); ჰამა **ყან-ის** სახელები გურჯულია (მურათ.); ჩამოვდოდენ დედამთილი, **დედამთილ-ის** ბაბოღ (ბაგ.); **ბაბო-ს** ემიაშვილ-ის ქალია (ბაგ.); **ხორც-ის** სარმა ვეტყვთ ჩვენ; **თხმელ-ის** ტაბანი ენებოდა (დევსქ.); **ბაღნებ-ის** გაჩენვამდე თლათ ასე ვილაპარაკებდით (დევსქ.)...

მართალია, ნათესაობით ბრუნვას მრავალი ფუნქცია აქვს, თუმცა, სამხრულ კილოებში როგორც მაგალითებიდან ჩანს, უმეტესად ნათესაობითი ბრუნვის ძირითად ფუნქციად - მსაზღვრელის გამოხატვა - რჩება.

### **მოქმედებითი:**

მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა მოქმედების იარაღის, მასალის გამოხატვა. ამ დროს მოქმედებითბრუნვიანი სახელი უბრალო დამატების როლში გვევლინება: წევლენ გოგომს სახში **არაბა-ით**, **ცხენ-ით** (ქლასკ.); ყავეს შეასვავს ოქროს **ფინჯან-ით** (ხ.); ნიშან მოგიტანენ, **არაბა-ით** მოვლენ (ბაგ.); **აკორდეონ-ით** ქორწილ ვიჯებით (მურათ.); მეორე მეზობელიც **თოფ-ით** გამოსულა (ხ.)...

იმავე ფუნქციით მოქმედებითი შესაბამის საწყისსა და მიმღეობასთანაც გამოიყენება: **ცხენ-ით წასვლა**, **ურმ-ით მოტანილი**.

მოქმედებითში დასმული სახელი გამოიყენება ადგილის, დროის, ვითარებისა და მიზეზის გარემოებების გადმოსაცემადაც; მოქმედებითში დასმული სახელები გამოიყენება თანაობის აღსანიშნავადაც: გოგოს სახში ხუთი-ათი **კაც-ით** მიხვალ (ქლასკ.)...

### **ვითარებითი:**

**ვითარებითი** ბრუნვის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა გარდაქცევითობის გამოხატვა. ამ ბრუნვაში დასმული უბრალო დამატებით გამოიხატება ცვალება, გარდასახვა, გარდაქმნა: **ლამაზ-ათ** გახდა (ბაზგ.)...

ხშირია ვითარებითი ბრუნვის ნიშნით ვითარების ზმნიზედების წარმოება სამხრულ კილოებში: ღმერთმა არ გაგაფაქოს შენ, იყავი ასე **ლამაზ-ათ!** (ქლასკ) ოჯახს **ძმებურ-ათ** არ აკეთებსო და გუუგდია (ხ.); შენ თუ **კარგ-ათ** ჭამ და სვამ, შენი თავი ნათესავს არ უყვარს (მურათ.); იმა, ლობიას **ლამაზ-ათ** დავტეხავთ, ჩავყრით თენჯერეში (ბაგ.); **ქართულ-ათ** ვერ'ნა დავასწავლოთ (ბაშქ.); ლობიას **ლამაზ-ათ** დავთესავთ (ხ.); **მუჰაჯირ-ათ** რომ წევდენ, რომ დაწყნარდა, უკან წამოვდენ (ბაშქ.)...

ვითარებითბრუნვიანი სახელები ფართოდ გამოიყენება მიზნის გარემოების, ასევე, ადგილისა და დროის გარემოებათა ფუნქციით: აქ **ძველ-ათ** (**დროის გარემოება**) ალთუნის ფინჯანით ყავეს სმიდენ; ჩვენაც ღობეს ვეტყუდით ძველ-ათ...

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვითარებითი ბრუნვისთვის კლარჯულ მეტყველებაში, სამხრულ კილოებში, როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, დამახასიათებელია სუფიქსი **-ათ, -თ** (ნაცვლად **-ად, -დ**). იშვიათად, შეიძლება შეგვხდეს ნორმის მიხედვით: ქედქედელმა კაცი მოკლიდა **ძველ-ად** (ქლასკ.)...

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბრუნვების ფუნქციები კარგადაა გამოკვეთილი სამხრულ კილოებში, ნაწილი ფუნქციებისა გვხვდება უფრო ხშირად, ნაწილი კი იშვიათად. გვხვდება სალიტერატურო ქართულისაგან და სხვა კილოებისაგან განსხვავებული შემთხვევებიც.

### 3.7. რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში

სახელის მრავლობითს აწარმოებს **-ებ, ნ/თ** სუფიქსები. ნორმა ჩანს **-ებ**'იანი წარმოება, ნარ-თან'იანი წარმოება იშვიათია: **არაბანი** მეგეშალნენ? (უსტ.); სამი **ძმანი** ყოფილან (სვირ.); **სხვანი** თიბავენ და მე ფარას მადლევენ (ბაზგ.); ჰადდე, წად, ახლა, **სხვანი** ალაპარაკეთ; **ორნი** ვართ (ჩაქ.).

**-თა** სუფიქსი შეზრდილია ფუძესთან, რომელსაც დაერთვის ბრუნვის ნიშანი:

ამ ემოს ღარჭებმა, **ორთამა** ემოს ბაჯალაზე თვალი გამოდგა (სვირ.).

როგორც წესი, სამხრულ კილოებში სახელის მრავლობითს აწარმოებს **-ებ**' სუფიქსი, რომლის დართვა იწვევს ფუძის შეკუმშვას, მაგრამ ხშირია შეუკუმშველი ფორმები იქ, სადაც მოსალოდნელია კუმშვა: **სტუმარები** მიხვალთ (ბაზგ.); **გელები**



შიერები დაწყდებიან (წეთ.); გერმელი წყალგაყვანილობა (ივ.); წყალგაყვანილობა ვადენტ (ზ.); დათვმა და გეგმვა მეერივნენ (ჩაქ.); ბებერები არიან (ჩიხ.); სომეხები ბილა ყოფილან (უ.); ესკიდან სომეხები ყოფილან (დას.); ყოფილან ჯენევიზებში (უ.); აკვანში უწინ ვაწვენდით, აკვანები დავარწევდით, ვუმდერდით (უ.); ჰემშილები, ერევანელები - სომეხები არიან, კაი არიან (ზ.); უფესიან დეფთერები (ჩაქ.)...

ასევე გვხვდება შეკუმშული ფორმებიც:

სიმინდი კოტრებ გეკეთებ (ხევწ.); კოტორი ხომ თელი მუსლიმნები არ ლოცულობენ (ხევწ.); ძველები დეიხოცნენ, ახლებმა არ იციან (ჩაქ.); დღესაც კიდევ სტუმრებსა საქმელ დუდგამენ (სვირ.); აქ დადიოდენ მაჭახლელები, გობიები მაქედენ... (უბე); წამოსლიხან ბიჭის მაყრები გოგოს მაყრებსა „გოდრიან“ უძახიან (შავშ.); ძველ ინსნებმა იცოდნენ ბათუმი, ჩევდოდნენ, მევდოდნენ (შავშ.); დაპატიჯებდნენ მეზობლებ, მაყარი იქნებოდა (შავშ.); დაილებში ევრატლები არიან, მაჭახლელები (ზ.); ჩიქუნეთლები გამოდიოდნენ აქა (ზ.); ჩუნა ერთმანების ხისიმი ვართ, ერთი სისხლის, ერთი დილიდ ინსნები ვართ (თეთ.); წეთილეთელი ნურიანი იყო, იმდერებდა ქათმები სიმდერას (ხობ.); გარეული ქათმები ჩუნ ქათმებზე კაი არიან, გერმელი, ჰემ სუქანი (ხობ.); იაშლი ბებრები იცოცვიან, მიდიან (უ.)...

ჩობნები ვლაპარიკობთ (ჩაქ.); ყერიბი მეზრებია (სვირ.); ჩამოდიან აფენები, გურჯები (მაჩხ.); ხებრები მოდის (დავ.); იმა ის ემეს ეტყვიან, ზიარეთლები არიან; ახლა წყლები მაქვან (დავ.); ჩვენ ახლებმა გურჯული არ იციან (ჩაქ.); მეზობლები კაი არია, კაი (სვირ.); წუხელი ქორწილი მქონდენ, სტუმრები მყავდენ (მაჩხ.); გარგნებით ხელში იარება (ჩაქ.); რძლები მიყვარან; ჯინჭრებში ვიარდი (ჩაქ.)...

გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ფორმა ზოგჯერ შეკუმშულია, ზოგჯერ - შეუკუმშველი: ბებერების თეთრი თმა, ნუ გინდაო ბევრი თქმა (ჩაქ.); მოკდენ ბებერები (სვირ.); ბებერები ამდენ ანჯახ იქმენ (მაჩხ.); ბებერები არიან, ახლებიც არიან (მაჩხ.)...

შდრ. ბევრი დედაბრები თაზე არიან (დავ.); დედაბრებო, შინ წადით (სვირ.); გოგვები გასულან ბებრებთან (ჩაქ.)...

იშვიათად გვხვდება კუმშვა-კვეცის მაგალითებიც: ესა ჩემი **ბაღნები** არიან (ჩაქ.)...

საინტერესოა ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა -ებ'იანი მრავლობითის ფორმები.

გვხვდება სხვადასხვა შემთხვევა (წარმოგიდგენთ თურქული ენიდან შემოსული სახელებსაც):

ა ხმოვნით დაბოლოებული სახელები.

შეკვეცილი ფორმები:

**გზა: გზები** ყაფანდება (ივ.).

**ქვა: ქვები** დუღუყე (ხევწ.); ეს **ქვები** მეზობელმა მოყარა (უ.).

**ოდა: სიმინდ ოდებში** ვინახავთ (ხევწ.).

**ქილისა: იქ ქილისები** ქვები დამჩალა (ჩაქ.); აქ არი ჩვენი **ქილისები** (ხოხ.).

**ხოჯა: ჯინდარ ხოჯებ** ეტყვიან (წეთ.).

შეუკვეციელი ასიმილირებული ფორმები:

**გზეები** (<გზაები): **გზეები** არი (ჩაქ.).

**ყანეები** (<ყანაები): **ყანეები** წვრილია, მაქინა არ შედის (უ.).

**ხოჯეები** (<ხოჯაები): მე და მუფთი **ხოჯეების** ემედ ვართ, ბაშქანი (მაჩხ.).

ამათ გვერდით დასტურდება შემდგომი საფეხურის - დისიმილაციით მიღებული ფორმები:

**გზიები** (<გზეები<გზაები): კარგი **გზიებია** (უსტ.).

**ქვიები** (<ქვეები<ქვაები): იქა **ქვიებზე** მაღლა დაზებია (ჩაქ.).

**თმიები** (<თმეები<თმაები): **თმიები** ასე ჩასული აქ (ჩაქ.).

**რქიები** (<რქეები<რქაები): ბერი ხარი **რქიებ** ქვემოთ დეილებს (მან.); **(რ)ქიები** ექნება (ჩაქ.).

**თხიები** (<თხეები<თხაები): აქ იქნება **თხიები** (ჩაქ.).

**(მ)თიები** (<მთეები<მთაები): ესენი ბაზგირეთ ასულან **თიებზე** (სვირ.).

**ძმიები** (<ძმეები<ძმაები): ძმიები ყავს (ჩიხ.).

**სკიები** (<სკეები<სკაები): ზველათ **სკიები** (=სკებს) დააკეთებდენ(უსტ.);

**პაპიები** (<პაპეები<პაპაები): არიან ჩვენიდან, **პაპიებიდან** (უსტ.).

**ხოჯიები** (<ხოჯეები<ხოჯაები): **ხოჯიების** კითხვა არ მიყვარს (მან.).

**ბახჩიები** (<ბახჩეები<ბახჩაები): **ბახჩიებში** არაფერი არ მოდის (წეთ.).

ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები:

ე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში, როგორც მოსალოდნელი იყო, **-ებ** ნიშნის დართვით ორი ე გვაქვს:

**ღელე**: აქ გოლი არ არი, **ღელეებია** (უსტ.).

**ხე**: აქ **ხეები** უნდა, **ხეები** (უსტ.).

**კლიტე**: ერთათ მიზმული იყო **კლიტეები**? (ხევწ.)

**ჯამე**: ბევრი **ჯამეები** ჩემ ალაგშია (მაჩხ.).

**ყალე**: აქავრი თამარას **ყალეები** არიან (სვირ.).

**ნენე**: ამ სახლებში **ნენეები** არ არიან (უსტ.).

**დედე**: ჩვენი **დედეები** ზათი აჭარადამ გადმოსულან (მაჩხ.).

**ქილისე**: ბევრი **ქილისეები** არიან (ჩიხ.).

ეე კომპლექსშიც ხდება დისიმილაცია: **ეე>იე**:

**დღიები** (<დღეები): **დღიებში** ჩადგაო, ვიტყვით (ბაზგ.).

**თვიები** (<თვეები): **თვიების** სახელები არი (ბაზგ.).

**ღელიები** (<ღელეები): ღმა **ღელიებში** წევალთ (უსტ.).

**დედიები** (<დედეები): ჩვენი **დედიები** აჭარიდამ მოსულან (უსტ.).

**საქმიები** (<საქმეები): არიან იმგვარი **საქმიები** (ნიოლ.).

**ნენიები** (<ნენეები): მაშინდელი **ნენიების** ხელში რომ იცოდენ (ბაზგ.).

**დადიები** (<დადეები): **დადიები** ერთი ბაჯლის თერეფიდან იქნება, ერთი - ბიჭის თერეფიდან (უსტ.).

ანალოგიური შემთხვევების შესახებ ბ. ჯორბენაძე წერს: „...იებ ზოგჯერ ერთიან ფორმანტად გაიაზრება და დაერთვის ერთმარცვლიან ფუძეკუმშვად სახელებს - ფუძეში რედუცირებული ხმოვნის საკონპენსაციოდ“ (ჯორბენაძე, 1989:56)

მსგავსი ვითარება გვაქვს აჭარულშიც:

ე-ზე დაბოლოებული ფუძემოვნიანი სახელები თავისებურებას იჩენენ მრავლობითის წარმოებისას. ბოლოკიდური ხმოვანი დისიმილაციას განიცდის - ებ სუფიქსის ხმოვანთან, რის შედეგად მრავლობით რიცხვში ასეთ ფორმას ვიღებთ: **კილდეები** (<კილდეები<კილდეები), **ღელდეები, დღდეები**. ასეთივე პროცესის შედეგადაა მიღებული ტოპონიმური სახელები: **ასამბაძეები, პაქსაძეები, გოგაძეები** და სხვა (ნიჟარაძე, 1975:122).

ცალკე უნდა გამოიყოს კითხვითი ნაცვალსახელი **რა, ვინცხა, რაცხა, აგრეთვე, „მაშინა“** და მისთ., რომელნიც არ მისდევენ მრავლობითის წარმოების წესს: საწყალს **რაები** არ გადახდა თავზე; **რაებს** არ გიყიდი; აქამდინ **ვინცხაებს** აშინებდი; **მაშინაები**.

ძე-ზე დაბოლოებული გვარები მრავლობითში ზოგჯერ **-ნ, -ებ** სუფიქსითაა წარმოდგენილი: **გოგმაჩაძნები, ჭანკურიძნები, გოლიაძნები** (ნიჟარაძე, 1975:122).

ასევე იწარმოება (განსაკუთრებით ქობულეთურ მეტყველებაში) სხვა აგებულების გვარებიც: მაგ.: **ხაბაზნები, ხალვაშნები, ხარაზნები**. როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, **-ებ** იან მრავლობითში გამოვლენილი **ნ-არი** არაა რიცხვის გამომხატველი და ამის გამო აქ ორმაგი მრავლობითი კი არ გვაქვს, არამედ **-ენ** (<ნაკაშიძენი), **-ან** (<ძმანები) დეტერმინანტი სუფიქსის ნაშთია (ნიჟარაძე, 1975:122).

სახელთა ორმაგი მრავლობითის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ **მდერენები, გვერდენები, მოწმენები**.

ქობულეთური კილოკავისა და ჭვანის მკვიდრთა მეტყველებისათვის ასევე დამახასიათებელია **იგი, აგი, მაგი** ნაცვალსახელთა **ნ-ებ** იანი მრავლობითი: **იგინები, მაგინები** (ნიჟარაძე, 1975:123)...

მრავლობითი ზოგჯერ კრებითსა თუ განყენებულ სახელთა მაწარმოებლით **-ობა** სუფიქსითაა გამოხატული: შიატყობიე **მეზობლობას**; თელი **ნათესაობა** იქ იყნენ; თელი **დოსტობა**; ხისიმ-ახრაბა **ფხარში** აუმიდგა.

ამრიგად, რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში ძირითადად მიჰყვება ქართული ენის ნორმას, თუმცა გვაქვს თავისებურებებიც, რაც სამხრული კილოებისთვისაა დამახასიათებელი.

### 3.8. ბრუნების ძირითადი პარადიგმები

დიალექტოლოგები ამა თუ იმ დიალექტის აღწერისას, ცალკეული გრამატიკული ფაქტისა თუ მოვლენის ანალიზისას ჩვეულებრივ მსჯელობენ ცალკეულ თავისებურებებზე, რომლებიც დასტურდება ამა თუ იმ დიალექტში. ხშირ შემთხვევაში, ჭირს ამ თავისებურების გააზრება სხვა ფორმებთან მიმართებით, ამ თავისებურების ადგილის გარკვევა საერთო ენობრივ სისტემაში. ანუ: ამ თავისებურებების გააზრება სისტემის წევრად. ბრუნების პარადიგმის წარმოდგენას და ამ პარადიგმებში თავისებური ფორმების წარმოჩენას, ვფიქრობთ, ამ თავისებურებათა ანალიზისათვის და არსებული ენობრივი ტენდენციების გარკვევისათვისაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს (გოგოლაშვილი, 2016:439).

ერთი კონკრეტული მაგალითი: თავისებურებათა ანალიზისას აღნიშნავდნენ, რომ ხმოვანფუძიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშანია - ე - დედა-ე, რომ ხმოვანფუძიანი სახელის მიცემითი ბრუნვის ნიშანი არის ე - დედა-ე (= დედა-ს). პარადიგმათა ანალიზის შედეგად წარმოჩნდება, რომ თუ ხმოვანფუძიან სიტყვას სახელობითში აქვს ე, მას მიცემითში ექნება -ს და თუ მიცემითში აქვს ე, მას სახელობითში ექნება ან Ø, ან ი (ბ. ჯორბენაძე). ეს თითქოსდა მარტივი წესი თვალსაჩინო ხდება პარადიგმათა ანალიზისას (გოგოლაშვილი, 2016:439).

განვიხილოთ ბრუნების ძირითადი პარადიგმები სამხრულ კილოებში:

1. აჭარული კილო:

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების ნიმუშები

სახ.	ამბავ-ი	ამბვ-ები-ი, ამბავ-ებ-ი/ამბი-ებ-ი
მოთხ.	ამბავ-მა	ამბვ-ებ-მა/ამბ-ი-ებ-მა/ამბავ-ებ-მა
მიც.	ამბავ-ს(Ø)	ამბვ-ებ-ს(Ø)/ამბავ-ებ-ს(Ø)/ამბ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	ამბვ-ის(ი), ამბავ-ის(ი), ამბ-ის(ი)	ამბვ-ებ-ის(ი),ამბავ-ებ-ის(ი)/ამბ-ი-ებ-ის(ი)
მოქმ.	ამბვ-ით/ამბავ-ით/ამბ-ით	ამბვ-ებ-ით/ამბავ-ებ-ით/ამბ-ი-ებ-ით
ვით.	ამბვ-ად/ამბავ-ად/ამბ-ად	ამბვ-ებ-ად/ამბავ-ებ-ად/ამბ-ი-ებ-ად
წოდ.	ამბავ-ო	ამბვ-ებ-ო/ამბავ-ებ-ო/ამბ-ი-ებ-ო

სახ.	კდარ-ი/კტარ-ი (ქობ.)	კდრ-ებ-ი/კტრ-ებ-ი(ქობ.)/კედრ-ებ-ი(მაჭახ.)/კდრ-ი-ებ-ი/კიდრ-ი-ებ-ი(ზ.აჭ)
მოთხ.	კდარ-მა/კტარ-მა (ქობ.)	კდრ-ებ-მა/კტრ-ებ-მა/კედრ-ებ-მა (მაჭახ.)/კდრ-ი-ებ-მა/კიდრ-ი-ებ-მა (ზ. აჭ.)
მიც.	კდარ-ს/კტარ-ს	კდრ-ებ-ს(Ø)/კტრ-ებ-ს(Ø)/კდრ-ი-ებ-ს(Ø)/კედრ-ებ-ს(Ø)/კიდრ-ებ-ს(Ø)/კიდრ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	კდარ-ის(ი)/კდრ-ის(ი)/ კტარ-ის/კტრ-ის (ქობ.)	კდრ-ებ-ის(ი)/კტრ-ებ-ის(ი)/კდრ-ი-ებ-ის(ი)/კედრ-ებ-ის(ი)/კიდრ-ი-ებ-ის(ი)
მოქმ.	კდარ-ით/კდრ-ით/კტარ-ით (ქობ.)	კდრ-ებ-ით/კტრ-ებ-ით/კედრ-ებ-ით/კდრ-ი-ებ-ით/კიდრ-ი-ებ-ით
ვით.	კდარ-ად/კდრ-ად/კტრ-ათ (ქობ.)	კდრ-ებ-ად/კდრ-ი-ებ-ად/კიდრ-ი-ებ-ად
წოდ.	კდარ-ო/კტარ-ო	კდრ-ებ-ო/კტრ-ებ-ო/კედრ-ებ-ო/კდრ-ი-ებ-ო/კიდრ-ი-ებ-ო

**შენიშვნა:** მაჭახლის ხეობაში კე-დრები ფორმას უპირატესად უფროსი თაობა ხმარობს.

სახ.	მაწონ-ი	მაწნ-ებ-ი/მაწვნ-ებ-ი
მოთხ.	მაწონ-მა	მაწნ-ებ-მა/მაწვნ-ებ-მა
მიც.	მაწონ-სØ	მაწნ-ებ-ს(Ø)/მაწვნ-ებ-ს(Ø)
ნათ.	მაწონ-ის(ი)/მაწნ-ის(ი)/მაწვნ-ის(ი)	მაწნ-ებ-ის(ი)/მაწვნ-ებ-ის(ი)
მოქმ.	მაწონ-ით/მაწნ-ით/მაწვნ-ით	მაწნ-ებ-ით/მაწვნ-ებ-ით
ვით.	მაწონ-ად/მაწნ-ად/მაწვნ-ად	მაწნ-ებ-ად/მაწვნ-ებ-ად
წოდ.	მაწონ-ო	მაწნ-ებ-ო/მაწვნ-ებ-ო

სახ.	ჭალა	ჭალ-ებ-ი/ჭალ-ი-ებ-ი
მოთხ.	ჭალა-მ	ჭალ-ებ-მა/ჭალ-ი-ებ-მა
მიც.	ჭალა-ს(Ø)	ჭალ-ებ-ს(Ø)/ჭალ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	ჭალ-ის(ი)	ჭალ-ებ-ის(ი)/ჭალ-ი-ებ-ის(ი)
მოქმ.	ჭალ-ით	ჭალ-ებ-ით/ჭალ-ი-ებ-ით
ვით.	ჭალა-დ	ჭალ-ებ-ად/ჭალ-ი-ებ-ად
წოდ.	ჭალა-ვ	ჭალ-ებ-ო/ჭალ-ი-ებ-ო

ხმოვანფუძიან  
სახელთა ბრუნების  
ნიმუშები

სახ.	ბიძა(ა)	ბიძა-ვ-ებ-ი/ბიძა-ებ-ი/ბიძ-ებ-ი/ბიძა-ნ-ებ-ი (ქობ.)
მოთხ.	ბიძა-მ	ბიძა-ვ-ებ-მა/ბოძა-ებ-მა/ბიძ-ებ-მა/ბიძა-ნ-ებ-მა
მიც.	ბიძა-ს(Ø)	ბიძა-ვ-ებ-ს(Ø)/ბიძა-ებ-ს(Ø)/ბიძ-ებ-ს(Ø)/ბიძა-ნ-ებ-ს(Ø)
ნათ.	ბიძა-ს-ი	ბიძა-ვ-ებ-ის(ი)/ბიძა-ებ-ის(ი)/ბიძ-ებ-ის(ი)/ბიძა-ნ-ებ-ის
მოქმ.	ბიძა-თ	ბიძა-ვ-ებ-ით/ბიძა-ებ-ით/ბიძ-ებ-ით/ბიძა-ნ-ებ-ით
ვით.	ბიძა-დ	ბიძა-ვ-ებ-ად/ბიძა-ებ-ად/ბიძ-ებ-ად/ბიძა-ნ-ებ-ად
წოდ.	ბიძა-ვ	ბიძა-ვ-ებ-ო/ბიძა-ებ-ო/ბიძ-ებ-ო/ბიძა-ნ-ებ-ო

### შენიშვნები:

1. ზემოაქარულში, ხულოს რაიონში შემავალ სოფლებში: დიოკნისსა და ვაშლოვანში იხმარება უპირატესად მრავლობითი ჭალები. ზემოაქარულში ჭალა ნიშნავს სათიბ ადგილს, მაჭახლის ხეობაში ამ მნიშვნელობით სათიბი გვაქვს.
2. ხულოს რაიონში, სოფლებში ვაშლოვანსა და თაგოში, ბიძა-ს (მრავლ. ბიძავები) ანალოგიურად მრავლობით იწარმოებენ ნათესაობის აღმნიშვნელი სხვა სახელები: ხალაა „დეიდა“ - ხალავები (/ხალაეზი/ხალიეზი), დედაა - დედავები (დეიდიეზი/დეიდეზი), ბიცოლაა - ბიცოლავები (/ბიცოლაეზი), აბლაა „ბიცოლა“ - აბლავები (/აბლიეზი), ბიბიაა „მამიდა“ - ბიბიავები (/ბიბიაეზი/ბიბიეზი), ნენეა „ბებია“ - ნენევები (/ნენიეზი), დედეა „ბაბუა“ - დედევები (/დედეეზი/დედიეზი),

ტადა „დედის ძმა“ - ტადავები (/ტადები), ემიად „მამის ძმა“ - ემიავები (/ემიები),  
 ტადა „ძმა, მაზლი“ - ტადავები (/ტადაები, ტადიები). მაგრამ არ გვაქვს : დავები,  
 ძმავები (სურმავა, 2016:763).

სახ.	და(დ)	დ-ებ-ი/დ-ი-ებ-ი/და-ნ-ებ-ი(ქობ.)
მოთხ.	და-მ(მა)	დ-ებ-მა/დ-ი-ებ-მა/და-ნ-ებ-მა
მიც.	და-ს	დ-ებ-ს(Ø)/დ-ი-ებ-ს(Ø)/და-ნ-ებ-ს
ნათ.	და-ის/დ-ის	დ-ებ-ის(ი)/დ-ი-ებ-ის(ი)/და-ნ-ებ-ის (ქობ.)
მოქმ.	და-ით/დ-ით	დ-ებ-ით/დ-ი-ებ-ით/და-ნ-ებ-ით (ქობ.)
ვით.	და-დ	დ-ებ-ად/დ-ი-ებ-ად/და-ნ-ებ-ად (ქობ.)
წოდ.	და-ო(ვ)	დ-ებ-ო/დ-ი-ებ-ო/და-ნ-ებ-ო (ქობ.)

სახ.	ქა(ა) „რქა“	ქ-ებ-ი/ქ-ი-ებ-ი/ქ-ებ-ებ-ი (მერისი)
მოთხ.	ქა-მ(მა)	ქ-ებ-მა/ქ-ი-ებ-მა/ქ-ებ-ებ-მა
მიც.	ქა-ს(Ø)	ქ-ებ-ს(Ø)/ქ-ი-ებ-ს(Ø)/ქ-ებ-ებ-ს(Ø)
ნათ.	ქა-ის(ი)/ქ-ის	ქ-ებ-ის(ი)/ქ-ი-ებ-ის(ი)/ქ-ებ-ებ-ის(ი)
მოქმ.	ქა-ით/ქ-ით	ქ-ებ-ით/ქ-ი-ებ-ით/ქ-ებ-ებ-ით
ვით.	ქა-დ	ქ-ებ-ად/ქ-ი-ებ-ად/ქ-ებ-ებ-ად
წოდ.	ქა-ო(ვ)	ქ-ებ-ო/ქ-ი-ებ-ო/ქ-ებ-ებ-ო
სახ.	დღე(ა)	დღ-ი-ებ-ი
მოთხ.	დღე-მ(მა)	დღ-ი-ებ-მა
მიც.	დღე-ს(Ø)	დღ-ი-ებ-ს(Ø)
ნათ.	დღე-ის/დღ-ის	დღ-ი-ებ-ის(ი)
მოქმ.	დღე-ით	დღ-ი-ებ-ით



ვით.	დღე-დ	დღ-ი-ებ-ად
წოდ.	დღე-ო(ვ)	დღ-ი-ებ-ო

**შენიშვნა:** მრავლობითის ფორმა **ქებები**, იხმარება მერისის ხეობაში (ქედა). ეს წარმოება ანალოგიურია კარებებ-ისა, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელს ამოსავლად აქვს მხოლოდითად გააზრებული კარები, ხოლო მხოლოდობითში **ქები** არ დასტურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო ამ ორ ცნებას შორის არის ის, რომ ორივე არსებობს წყვილად (კარები ტრადიციული გაგებით ორფრთიანია).

თავად დიალექტში კარებები ფორმა არ იხმარება. რიცხვის მიხედვით ოპოზიციური ფორმებია: კარი - კარები. საინტერესოა, რომ აქ ფანჯრის ფრთას ფანჯრი(ს)კარი (მრავლ. ფანჯრი(ს)კარები) ჰქვია.

სახ.	გოგო	გოგუ-ებ-ი
მოთხ.	გოგო-მ(მა)	გოგუ-ებ-მა
მიც.	გოგო-ს(Ø,ჰ)	გოგუ-ებ-ს(Ø)
ნათ.	გოგო-მს/გოგო-ს-ი(ზ.აჰ.)/გოგო-ს	გოგუ-ებ-ის(ი)
მოქმ.	გოგო-მთ/გოგო-თ-ი/გოგო-თ	გოგუ-ებ-ით
ვით.	გოგო-დ	გოგუ-ებ-ად
წოდ.	გოგო-ვ/გო-ვ(უ)/გოგ-ი	გოგუ-ებ-ო

**საკუთარ სახელთა ბრუნება**

სახ.	აბულამე	აბულამე-ებ-ი/აბულამი-ებ- ი/აბულამ-ებ-ი/აბულამ-ნ-ებ-ი(ქობ.)
მოთხ.	აბულამე-მ	აბულამე-ებ-მა/აბილამ-ი-ებ- მა/აბულამ-ებ-მა/აბულამ-ნ-ებ-მა
მიც.	აბულამე-ს(Ø)	აბილამე-ებ-ს(Ø)/აბულამი-ებ-

		ს(Ø)/აბულამ-ებ-ს(Ø)
ნათ.	აბულამ-ის/აბულ-ამე-ს- ი/აბულამე-ს	აბულამე-ებ-ის(ი)/აბულამი-ებ- ის(ი)/აბულამი-ებ-ის-ი/აბულამ-ებ- ის(Ø)/აბულამ-ნ-ებ-ის
მოქმ.	აბულამ-ით	აბულამე-ებ-ით/აბულამი-ებ- ით/აბულამ-ებ-ით/აბულამ-ნ-ებ-ით
ვით.	აბულამე-დ	აბულამე-ებ-ად/აბულამი-ებ- ად/აბულამ-ებ-ად
წოდ.	აბულამე-ვ(Ø)	აბულამე-ებ-ო/აბულამი-ებ- ო/აბულამ-ებ-ო/აბულამ-ნ-ებ-ო

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

სახ.	სასელა-დ სხალ-ი	ერთ-ი/ერ-ი კაც-ი
მოთხ.	სასელა(დ) სხალმა	ერთ-ი(Ø)/ერ-ი(Ø) კაც-მა
მიც.	სასელა(დ) სახლს(Ø)	ერთ-ი(Ø)/ერ-ი(Ø) კაც-ს(Ø)
ნათ.	სასელა(დ) სხალ-ის/სხლ-ის	ერთ-ი/ერ-ი კაც-ის
მოქმ.	სასელა(დ) სხალ-ით/სხლ-ით	ერთ-ი(Ø)/ერ-ი(Ø) კაც-ით
ვით.	სასელა(დ) სხალ-ად/სხლ-ად	ერთ-ი/ერ-ი კაც-ად
წოდ.	სასელა(დ) სხალ-ო	ერთ-ი/ერ-ი კაც-ო

**შენიშვნა:** ერი (<ერთი) გვხვდება ძირითადად ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში (სურმავა, 2016:766. შდრ. ფალავა, ცეცხლაძე, 2016:115–151).

2. შავშური კილო:

თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელები

სახ.	(მ)გელ-ი	(მ)გელ-ებ-ი
------	----------	-------------

მოთხ.	(მ)გელ-მან	(მ)გელ-ებ-მან
მიც.	(მ)გელ-სა	(მ)გელ-ებ-სა
ნათ.	(მ)გელ-ის// (მ)გლ-ის	(მ)გელ-ებ-ის
მოქმ.	(მ)გელ-ით// (მ)გლ-ით	(მ)გელ-ებ-ით
ვით.	(მ)გელ-ათ// (მ)გლ-ათ	(მ)გელ-ებ-ათ
წოდ.	(მ)გელ-ო	(მ)გელ-ებ-ო

ფუძეუკუმშველი

სახ.	ლექს-ი	ლექს-ებ-ი
მოთხ.	ლექს-მან	ლექს-ებ-მან
მიც.	ლექს-სა	ლექს-ებ-სა
ნათ.	ლექს-ი(ს)	ლექს-ებ-ი(ს)
მოქმ.	ლექს-ით	ლექს-ებ-ით
ვით.	ლექს-ათ	ლექს-ებ-ათ
წოდ.	ლექს-ო	ლექს-ებ-ო

ხმოვანფუძიანი სახელები

ა-სა და ე-ზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელი:

სახ.	თა	თე-ებ-ი/თი-ები	დღე-ა	დღე-ებ-ი/დღი-ები
მოთხ.	თა-მ	თე-ებ-მან/თი-ებ-მან	დღე-მ	დღე-ებ-მან/დღი-ებ-მან
მიც.	თა-სა	თეებ-სა/თი-ებ-სა	დღე-სა	დღე-ებ-სა/დღი-ებ-სა
ნათ.	თ-ის(ა)	თეებ-ისა/თი-ებ-ისა	დღე-ას	დღე-ებ-ის/დღი-ებ-ის
მოქმ.	თ-ითა	თე-ებ-ითა/თი-ებ-ითა	დღე-ათ	დღე-ებ-ით/დღი-ებ-ით
ვით.	თა-თ	თე-ებ-ათა/თი-ებ-ათა	დღე-დ	დღე-ებ-ათ/დღი-ებ-ათ
წოდ.	თა-ვ(ო)	თე-ებ-ო/თი-ებ-ო	დღე-ო	დღე-ებ-ო/დღი-ებ-ო

უკვეცელი

სახ.	ბუ-ფ	ბუ-ებ-ი
მოთხ.	ბუ-მა	ბუ-ებ-მან
მიც.	ბუ-სა	ბუ-ებ(ს)
ნათ.	ბუ-ფს	ბუ-ებ-ის
მოქმ.	ბუ-ფთ	ბუ-ებ-ით
ვით.	ბუ-თ	ბუ-ებ-ათ
წოდ.	ბუ-ვ	ბუ-ებ-ო

კუმშვად-კვეცადი

სახ.	ქვეყანა	ქვეყნ-ებ-ი
მოთხ.	ქვეყანა-მა	ქვეყნ-ებ-მან
მიც.	ქვეყანა-სა	ქვეყნ-ებ-სა
ნათ.	ქვეყნ-ის	ქვეყნ-ებ-ის
მოქმ.	ქვეყნ-ით	ქვეყნ-ებ-ით
ვით.	ქვეყნ-ათ	ქვეყნ-ებ-ათ
წოდ.	ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო

საკუთარი სახელები

სახ.	სომეხეთ-ი	კახაბერი-ი
მოთხ.	სომეხეთ-მან	კახაბერ-მან
მიც.	სომეხეთ-სა	სახაბერ-სა
ნათ.	სომეხეთ-ის	კახაბერ-ის
მოქმ.	სომეხეთ-ით	კახაბერ-ით
ვით.	სომეხეთ-ათ	კახაბერ-ათ
წოდ.	სომეხეთ-ო	კახაბერ-ო

მსაზღვრელ-საზღვრული

სახ.	ჩემ შვილ-ი	ჩემ შვილ-ებ-ი
მოთხ.	ჩემ შვილ-მან	ჩემ შვილ-ებ-მან
მიც.	ჩემ შვილ-სა	ჩემ შვილ-ებ-სა
ნათ.	ჩემ შვილ-ის	ჩემ შვილ-ებ-ის
მოქმ.	ჩემ შვილ-ით	ჩემ შვილ-ებ-ით
ვით.	ჩემ შვილ-ათ	ჩემ შვილ-ებ-ათ
წოდ.	ჩემ-ო შვილ-ო	ჩემ-ო შვილ-ებ-ო

შავშურ კილოში დასტურდება ისა, ეგა/მეგა ნაცვალსახელები, მრავლობითში გვაქვს: ესანი, ისენი (ფალავა, ცეცხლაძე, 2016:784).

### 3. კლარჯული კილო

თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი სახელები

სახ.	სოფელ-ი	სოფლ-ებ-ი
მოთხ.	სოფელ-მა	სოფლ-ებ-მა
მიც.	სოფელ(ს)	სოფლ-ებ(ს)
ნათ.	სოფელ-ის//სოფლ-ის	სოფლ-ებ-ის
მოქმ.	სოფელ-ით//სოფლ-ით	სოფლ-ებ-ით
ვით.	სოფელ-ათ	სოფლ-ებ-ათ
წოდ.	სოფელ-ო	სოფლ-ებ-ო

ფუძეკუმშველი

სახ.	ლექს-ი	ლექს-ებ-ი
მოთხ.	ლექს-მა	ლექს-ებ-მა
მიც.	ლექს(ს)	ლექს-ებ(ს)
ნათ.	ლექს-ი(ს)	ლექს-ებ(ის)
მოქმ.	ლექს-ით	ლექს-ებ-ით

ვით.	ლექს-ად	ლექს-ებ-ად
წოდ.	ლექს-ო	ლექს-ებ-ო

ხმოვანფუძიანი კვეცადი

სახ.	მამა-ფ	მამი-ებ-ი	ნალია	ნალი-ებ-ი
მოთხ.	მამა-მ	მამი-ებ-მა	ნალია-მ	ნალი-ებ-მა
მიც.	მამა-ს	მამი-ებ-ს	ნალია-ს	ნალი-ებ-ს
ნათ.	მამ-ის	მამი-ებ-ის	ნალია-ფს	ნალი-ებ-ის
მოქმ.	მამ-ით	მამი-ებ-ით	ნალია-ფთ	ნალი-ებ-ით
ვით.	მამა-თ	მამი-ებ-ათ	ნალია-თ	ნალი-ებ-ათ
წოდ.	მამა-ვ	მამი-ებ-ო	ნალია-ვ	ნალი-ებ-ო

უკვეცილი

სახ.	კალო	ღვინო	ბუ/ფ	ბუ-ებ-ი
მოთხ.	კალო-მ	ღვინო-მ	ბუ-მ	ბუ-ებ-მა
მიც.	კალო-ს	ღვინო-ს	ბუ-ს	ბუ-ებ(ს)
ნათ.	კალო-ის	ღვინო-ის	ბუ-ფს	ბუ-ებ-ის
მოქმ.	კალო-თ(ი)	ღვინო-ით	ბუ-ფთ	ბუ-ებ-ით
ვით.	კალო-თ	ღვინო-თ	ბუ-თ	ბუ-ებ-ათ
წოდ.	კალო-ვ	ღვინო-ვ	ბუ-ვ	ბუ-ებ-ო

კუმშვად-კვეცადი

საკუთარი სახელები

სახ.	ქვეყანა	ქვეყნ-ებ-ი	მემედაფ	კახაბერი
მოთხ.	ქვეყანა-მ	ქვეყნ-ებ-მა	მემედა-მ//მა	კახაბერ-მა
მიც.	ქვეყანა-ს	ქვეყნ-ებ-ს	მემედა-ს	კახაბერ-ს
ნათ.	ქვეყნ-ის	ქვეყნ-ებ-ის	მემედა-ფს//ს-ი	კახაბერ-ის
მოქმ.	ქვეყნ-ით	ქვეყნ-ებ-ით	მემედა-ფთ	კახაბერ-ით

ვით.	ქვეყნ-ათ	ქვეყნ-ებ-ათ	მემედა-ათ	კახაბერ-ათ
წოდ.	ქვეყანა-ვ	ქვეყნ-ებ-ო	მემედა-ვ	კახაბერ-ო

მსაზღვრელ-საზღვრული

სახ.	ჩემ-ი შვილ-ი	ჩემ-ი შვილ-ებ-ი
მოთხ.	ჩემ შვილ-მა	ჩემ შვილ-ებ-მა
მიც.	ჩემ შვილ(ს)	ჩემ შვილ-ებ(ს)
ნათ.	ჩემ შვილ-ის	ჩემ შვილ-ებ-ის
მოქმ.	ჩემ შვილ-ით	ჩემ შვილ-ებ-ით
ვით.	ჩემ შვილ-ათ	ჩემ შვილ-ებ-ათ
წოდ.	ჩემ-ო შვილ-ო	ჩემ-ო შვილ-ებ-ო

(ფალავა, ცეცხლაძე, 2016:811)

4. ტაოური კილო

თანხმოვანფუძიანი ფუძეკუმშვადი

სახ.	დოდოფალ-ი	დოდოფალ-ებ-ი/დოდოფლ-ები
მოთხ.	დოდოფალ-მა	დოდოფალ-ებ-მა/დოდოფლ-ებ-მა
მიც.	დოდოფალ(ს)	დოდოფალ-ებ(ს)/დოდოფლ-ებ(ს)
ნათ.	დოდოფალ-ის/დოდოფლ-ის	დოდოფალ-ებ-ის/დოდოფლ-ებ-ის
მოქმ.	დოდოფალ-ით/დოდოფლ-ით	დოდოფალ-ებ-ით/დოდოფლ-ებ-ით
ვით.	დოდოფალ-ათ/დოდოფლ-ათ	დოდოფალ-ებ-ათ/დოდოფლ-ებ-ათ
წოდ.	დოდოფალ-ო	დოდოფალ-ებ-ო/დოდოფლ-ებ-ო

ფუძეუკუმშველი

ფუძეუკვეცილი

სახ.	წიგნ-ი	წიგნ-ებ-ი	ძია-ა	ძია-ებ-ი
------	--------	-----------	-------	----------

მოთხ.	წიგნ-მა	წიგნ-ებ-მა	ძია-მ	ძია-ებ-მა
მიც.	წიგნ-(ს)	წიგნ-ებ-(ს)	ძია-(ს)	ძია-ებ-(ს)
ნათ.	წიგნ-ი(ს)	წიგნ-ებ-ი(ს)	ძია-მს-ძია-სი	ძია-ებ-ისა
მოქმ.	წიგნ-ით	წიგნ-ებ-ით	ძია-მთი	ძია-ებ-ით
ვით.	წიგნ-ათ	წიგნ-ებ-ათ	ძია-თ	ძია-ებ-ათ
წოდ.	წიგნ-ო	წიგნ-ებ-ო	ძია-ვ	ძია-ებ-ო

კვეცადი

სახ.	ღელე-ფ	ღელი-ებ-ი.ღელე-ებ-ი
მოთხ.	ღელე-მ	ღელი-ებ-მა/ღელე-ებ-მა
მიც.	ღელე-(ს)	ღელი-ებ(ს)/ღელე-ებ(ს)
ნათ.	ღელე-მს/ღელ-ი(ს)	ღელი-ებ-ი(ს)/ღელე-ებ-ი(ს)
მოქმ.	ღელე-მთ/ღელ-ით	ღელი-ებ-ით/ღელე-ებ-ით
ვით.	ღელე-თ	ღელი-ებ-ათ/ღელე-ებ-ათ
წოდ.	ღელე-ვ	ღელი-ებ-ო/ღელე-ებ-ო

კუმშვად-კვეცადი

საკუთარი სახელები

სახ.	მანქანა	მანქნ-ებ-ი	კახაბერ-ი	აჭარა
მოთხ.	მანქანა-მ	მანქნ-ებ-მა	კახაბერ-მა	აჭარა-მ
მიც.	მანქანა-(ს)	მანქნ-ებ-ს	კახაბერ-(ს)	აჭარა-ს
ნათ.	მანქნ-ი(ს)	მანქნ-ებ-ის	კახაბერ-ის/კახაბერ-ის	აჭარა-მს
მოქმ.	მანქნ-ით	მანქნ-ებ-ით	კახაბერ-ით/კახაბერ-ით	აჭარა-მთ
ვით.	მანქნ-ათ	მანქნ-ებ-ათ	კახაბერ-ათ/კახაბერ-ათ	აჭარა-თ
წოდ.	მანქანა-ვ	მანქნ-ებ-ო	კახაბერ-ო	აჭარა-ვ

მსაზღვრელ-საზღვრული



სახ.	ბეური ფულ-ი	ოთხი მარცხალ-ი
მოთხ.	ბეურ ფულ-მა	ოთხ მარცხალ-მა
მიც.	ბეური ფულ-(ს)	ოთხი მარცხალ-(ს)
ნათ.	ბეურ ფულ-ის	ოთხი მარცხალ-ის
მოქმ.	ბეურ ფულ-ით	ოთხ მარცხალ-ით
ვით.	ბეურ ფულ-ათ	ოთხ მარცხალ-ათ
წოდ.	ბეურო ფულ-ო	ოთხო მარცხალ-ო

(იხ. ფალავა, ცეცხლაძე, 2016:837)

## დასკვნები

1. სამხრული კილოების გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის აუზია, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაშია და ძირითადად, ართვინის პროვინციის ტერიტორიას შეადგენს. ქართულ ენაზე მეტყველებენ შავშეთის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში (იმერხევში, უსტამისსა და ჩიხისხევში), ნიგალში - ჭოროხის ხეობაში მარადიდიდან ართვინამდე (მურღულის ხეობითურთ), ასევე ართვინსმიღმა სივრცის ერთ სოფელში - ბინათში; ზედა მაჭახლის (მაჭახლის ხეობის თურქული ნაწილის) ექვს სოფელში, ტაოში - პარხლისწყლის აუზის რამდენიმე სოფელში. აჭარასთან (და საქართველოს სხვა რეგიონებში შიდა მიგრაციის შედეგად დაფუძნებულ ზოგიერთ სოფელთან) ერთად სწორედ დასახლებული ტერიტორია შეადგენს სამხრული დიალექტების გავრცელების არეალს ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

გარდა აღნიშნულისა, სამხრული დიალექტების გავრცელების არეალია თურქეთის მარმარილოსა და შავი ზღვის რეგიონების ის დასახლებები, რომლებშიც აჭარიდან, კლარჯეთიდან, შავშეთიდან, ტაოდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

2. ისტორიულმა რეალობამ წარუშლელი კვალი დატოვა ჭოროხის აუზის მოსახლეობის ყოფაზე. ისტორიულ-კულტურული მეხსიერება ინახავს არაერთი ისტორიული ეპოქის ტრაგიკულ თუ საამაყო ნიშანს. ეს ნიშნები ვლინდება როგორც მატერიალურ კულტურაში, ასევე ადათ-წესებში, ლეგენდებსა და თქმულებებში, ტოპონიმებში, ქართულ მეტყველებში და ენადაკარგულ ქართველთა თურქული მეტყველების ქართულ ლექსიკაშიც კი... თანამედროვე მოსახლეობაში ამ ინფორმაციის შეგროვება და სისტემაში მოყვანა მრავალმხრივ სურათს ხატავს რეგიონის წარსული თუ ამჟამინდელი ყოფის შესახებ და, ამასთან, არაერთ პრობლემას წარმოაჩენს თვალსაჩინოდ.

3. ქართულ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვაობაა სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, უკანასკნელ წლებში განხორციელებული კვლევებით, სამხრული მეტყველების ინტენსიური

შესწავლის საფუძველზე, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, მისაღები ჩანს შემდეგი კლასიფიკაცია:

შავშური კილო // შავშური დიალექტი კილოკავებით: იმერხეული, მაჭახლური.

კლარჯული კილო // კლარჯული დიალექტი კილოკავებით: ზემოკლარჯული, ქვემოკლარჯული (ლივანური).

ტაოური კილო // ტაოური დიალექტი.

აჭარული კილო // აჭარული დიალექტი კილოკავებით: ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური.

აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც სამხრულ დიალექტებს//სამხრულ კილოებს ან სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ

4. სამხრული კილოების კვლევას საფუძველი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩაეყარა. ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეული სამხრეთ საქართველოს პირველი კვლევები დაკავშირებულია ორი ცნობილი ქართველი მოგზაურის - დიმიტრი ბაქრაძისა და გიორგი ყაზბეგის სახელებთან. ისინი ჭოროხის „ქვეყნებში“ ოსმალთა ბატონობის დროს მოგზაურობდნენ. დიალექტების შესახებ საინტერესო მასალა გვხვდება ზ. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას, ე. თაყაიშვილის, განსაკუთრებით, ნ. მარის და სხვათა ჩანაწერებში. საქართველოს გასაბჭოების და ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების თურქეთის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ თითქმის 70 წელს, XX საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველ მკვლევარს თურქეთის ქართულ პროვინციებში ფეხი არ დაუდგამს. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა, ინდივიდუალური გასვლები, შედეგად, მოპოვებულ იქნა საყურადღებო ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალები. გამოითქვა მრავალი მოსაზრება. ამ კვლევით საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომპლექსური მონოგრაფიები „შავშეთი“ (2011 წ.) და „კლარჯეთი“ (2016 წ.), ასევე მ. ფაღავას, შ. ფუტყარაძის, მ. ცინცაძის და სხვათა

ნაშრომები, რომლებიც, არსებითად, სამხრული დიალექტების კვლევის ახალ ეტაპს წარმოადგენენ.

5. თანამედროვე თურქეთის ქართულენოვან დასახლებათა შორის, ჭოროხის აუზთან შედარებით, გაცილებით მეტია თურქეთის შიდა რაიონებში მცხოვრები მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლების წილი. ისტორიული სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მუჰაჯირების უმრავლესობა მუსლიმი ქართველი იყო. მათ შთამომავლებს თანამედროვე თურქეთის თითქმის ყველა მხარეში ნახავთ, მაგრამ ყველაზე მეტი შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს ზღვის რეგიონებშია (პროვინციები: ორდუ, ქოჯაელი, საქარია, ბურსა, სტამბოლი, ბალიქესირი, დუზჯე, სამსუნი, გირესუნი, თოქათი, ამასია, სინოპი, ბოლუ, ბილეჯიქი, იალოვა და ა.შ.). მათ, უმეტეს შემთხვევაში, იციან საკუთარი წარმომავლობის, ფესვების შესახებ. ბევრი მათგანი ლაპარაკობს ქართულად და ურთიერთობს საქართველოში მცხოვრებ ნათესავებთან. ამასთან, მშობლიურ ენაზე საუბრობს მხოლოდ საშუალო და უფროსი თაობა. დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ პროვინციებში.

რაც შეეხება მუჰაჯირთა მეტყველებას - აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველება ტიპური აჭარულია, შავშელებისა - შავშური, კლარჯებისა - კლარჯული და ა.შ. მუჰაჯირებს შენარჩუნებული აქვთ წინაპართა რეგიონების მკვიდრთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი აქცენტიც, მათი მეტყველება თავისუფალია სალიტერატურო ქართულის გავლენისაგან, უფრო მეტიც, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებამ შეინახა სამშობლო რეგიონების ბევრი ის თავისებურება, რომელიც ახასიათებდა საუკუნე-ნახევრის წინ და რომელიც „დაივიწყა“ აჭარულმა აჭარაში, კალრჯულმა კლარჯეთში, შავშურმა შავშეთში და ა.შ. ამდენად, მუჰაჯირთა მეტყველება საყურადღებოა ენის ისტორიისთვისაც.

შესაბამისად, როდესაც სამხრულ დიალექტებს ვიკვლევთ, ადარაა საკმარისი დღევანდელი ჭოროხის აუზის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვება, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაც

6. ჩვენი კვლევის ობიექტია სახელი სამხრულ კილოებში. მეტყველების ნაწილებს შორის გვაქვს ოთხი სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი.

ამდენად, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ცნება-ტერმინი „სახელი“ აერთიანებს სრულიად არაერთგვაროვან რამდენიმე ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს (ერთი მხრივ „საგანი“, მეორე მხრივ - „თვისება“, მესამე მხრივ - „რაოდენობა“...);

უპირველეს ყოვლისა, საერთო ცნება „სახელი“ უნდა დავახასიათოთ იმ გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, რომელიც ასევე საერთო იქნება ამ ცნებით წარმოდგენილი სახელთა ყველა კლასისათვის. ასეთი არის **ბრუნება**.

ამდენად, სახელად შიძლება მოვიხსენიოთ ისეთი სიტყვები, რომლებიც განარჩევს ბრუნვებს, ანუ ქმნის ბრუნების სისტემას.

სახელისათვის ასევე დამახასიათებელია რიცხვის კატეგორია, ოღონდაც ეს კატეგორია შინაარსობრივად არსებით სახელს მიემართება, ხოლო დანარჩენ მეტყველების ნაწილებზე გადადის იმდენად, რამდენადაც ისინი ან მსაზღვრელის როლში შეეთანხმებიან არსებით სახელს (მთანი მაღალნი), ანდა არსებითი სახელის როლს ასრულებენ (ისინი, მათ...).

სახელი, როგორც ბრუნებადი სიტყვა, ასევე დაირთავს თანდებულებს.

7. ჭოროხის აუზის ქართველთა მეტყველებაზე დაკვირვება ფუძეთქმნადობის რამდენიმე ტენდენციას ადასტურებს. ხშირად გვხვდება ფუძეზე საწყისი ბგერის დაკარგვის შემთხვევები; ასევე გვაქვს შემთხვევები, როდესაც სახელის ფუძეში ო-ს ნაცვლად გვხვდება ვ ბგერა და პირიქით - ვ-ს ნაცვლად - ო; ზოგჯერ ფუძე არ არის შეკვეცილი ან შეკუმშული ისეთ სახელებში, სადაც ჩვეულებრივ ხდება კვეცა ან კუმშვა. ასეთი ფორმები ძირითადად დამახასიათებელია კლარჯული კილოსთვის, თუმცა, მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა სამხრულ კილოში; გვხვდება ისეთი ფორმებიც, როდესაც ბგერები გადანაცვლებულია ან ჩამატებულია ზედმეტი ბგერა; სამხრულ მეტყველებაში საკმაოდ ხშირია ერთი ბგერის შეცვლა სხვა ბგერით; დამახასიათებელ ფორმებს იძლევა სიტყვათწარმოება და ა.შ.

8. ფუძეთა მიხედვით სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი, მაგრამ სამხრულ კილოებში ზოგიერთი არსებითი სახელი

ორგვარი ფუძითაა წარმოდგენილი. მაგ. თუთა//თუთი; ჯინჭველი//ჯინჭველა და სხვ. განსახილველი მასალა შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაიყოს:

ა. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები;

ბ. ფუძის ბოლოს, აუსლაუტში მონაცვლეობენ ხმოვნები და თანხმოვნები.

ცვლილება მოუდის როგორც ნასესხებ ფუძეებს, ისე ქართულ ფუძეებს. ფუძის ორგვარი ვარიანტით წარმოდგენა სამხრული კილოების სახელის ფუძისქმნადობის ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს.

9. ბრუნვის ნიშნების მხრივ სამხრულ კილოებში ბევრი თავისებურება არ ჩანს.

სამხრულ დიალექტებში სახელობითი ბრუნვა გვხვდება ერთი და იგივე ფორმით, ანუ ხმოვანფუძიან სახელებში ბრუნვის ნიშნად გვაქვს *ე*, *ი* და უნიშნობა. რაც შეეხება თანხმოვანფუძიან სახელებს, თითქმის ყველა შემთხვევაში გვხვდება ჩვეულებრივ სახელობითი ბრუნვის ნიშანი -*ი*, თუმცა, ტაოური კილო განსხვავდება დანარჩენებისგან და თანხმოვანფუძიანი სახელებიც უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ფუძის სახით, რაც ძველი ქართულის წრფელობითის ფარდად უნდა ჩაითვალოს.

სამხრულ კილოებში მიცემითში მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ფონეტიკური მოვლენა, რაც ცოცხალი ქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, ბგერის დაკარგვა. ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, განსაკუთრებით თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდობით რიცხვსა და -ებთან მრავლობითში. მნიშვნელობა არა აქვს, სახელი ზმნასთან შეწყობილი პირია თუ გარემოება. სამხრულ კილოებში გვაქვს ფორმები, როდესაც მიცემით ბრუნვაში სახელებს დართული აქვთ სავრცობი -*ა*. უფრო მეტად ეს მოვლენა დამახასიათებელია შავშურისათვის.

ნათესაობითი ნიშნის აფიქსისეული თანხმოვნის დაკარგვა საერთო მოვლენაა სამხრული კილოებისათვის. მთლიანი აფიქსის (-ის) დაკარგვა მუჰაჯირებთან დადასტურდა სპორადულად, რაც, ბუნებრივია, აჭარულის მახასიათებლად ვერ ჩაითვლება, იგი ინდივიდუალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ნათესაობითი ბრუნვის ფორმები წარმოდგენილია ასევე სავრცობი -*ა*'თი. ასეთი შემთხვევები დასტურდება ძირითადად შავშურში, იშვიათად კლარჯულში. ერთმანეთის

პარალელურად წარმოდგენილია შეკვეცილი და შეუკვეცავი, შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები. მოვლენა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვხვდება ყველა სამხრულ კილოში.

სამხრულ მეტყველებაში მოქმედებით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებში ყოველთვის გვაქვს ბრუნვის ნიშნად –ით. თანხმოვანფუძიანი სახელები ისევე არიან გაფორმებული, როგორც სამწერლობო ენაში;

ვითარებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნად გვხვდება –ათ (<ად):

წოდებითში თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან ზემო აჭარულში უპირატესად ო გამოიყენება: ოსმანო! ლევანო! მირიბანო! – მაგრამ ოსმანავ!

ხმოვანფუძიან სახელებთან კი ვ: მემედავ! ფადიმევ! მიხეილავ! ხუსიკავ!

ამავე რიგს მიეკუთვნება წოდებითის ფორმები: იმავ, იმანო.

10. ქართული ენის სამხრული დიალექტებისთვის (უმეტესად შავშურისა და კლარჯულისათვის) დამახასიათებელია როგორც ძველი, ისე თანამედროვე სახე მოთხრობითი ბრუნვის წარმოებისა. შეიძლება ვისაუბროთ ერთგვარ გარდამავალ ფორმებზეც, მხედველობაში გვაქვს -მა ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებში.

აღწერილია შემთხვევები, როცა გარდაუვალი ზმნა წყვეტილში სახელს მართავს მოთხრობით ბრუნვაში (მაგ. ეიწია ყანამ რამტონი ხანია). კირნათ-მარადიდის მეტყველებისათვის სპეციფიკური ისაა, რომ ზმნა სახელს მოთხრობით ბრუნვაში მართავს პირველის სერიის მწკრივებშიც (მაგ. **ბაღნებმა** არ ეპატრონებიან მის სახლს; **ფიქრიემ** ტირის, ბაბამ მომკლისო). მარადიდული მეტყველების ამ სპეციფიკურ თვისებას მკვლევრები ლაზური ენის ინტერფერენტულ გავლენად მიიჩნევენ. თუმცა, მეორე მოსაზრებით სხვა ქართულ კილოებში ანალოგიური ფორმების პოვნა ეჭვიანობს აყენებს ლაზურის გავლენის საკითხს ლივანურ და შავშურ მეტყველებაზე.

11. თანდებულთან დაკავშირებით სამხრულ კილოებში საინტერესო სურათი იხატება. შავშური, აჭარული, კლარჯული და ტაოური კილოები ბევრ საერთოს ავლენენ. სამხრულ კილოებში, ისევე როგორც სამწერლობო ქართულსა და სხვა დიალექტებში, დასტურდება ადგილისა და დროის ზმნიზედებზე თანდებულის დართვის შემთხვევები. ჩანს, მოვლენა ქართული ენის უძველესი ვითარების

ამსახველია. შავშურში დადასტურდა ასევე ერთდროულად ორი თანდებულის დართვის შემთხვევები: აგზედამ, მაგზედამ...

შავშურში ხშირია –დამ(ა) (<დაღმე) თანდებულის გამოყენების შემთხვევები. –დამ დადასტურდა ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში და სამწერლობო ენაშიც. –დამ (არც მისი ამოსავალი –დაღმე) არ ჩანს ძველ ქართულში. დაღმე სამწერლობო ენაში ჩნდება XII საუკუნიდან, ხოლო –დამ უფრო გვიანი პერიოდიდან. –დამ სამწერლობო ენაში დიალექტიზმია. იგი ვერ იგუა სალიტერატურო ქართულმა.

-დამ და -დ-ან ახალ ცოცხალ მეტყველებაში გვერდიგვერდ იხმარება.

-დამ თანდებულის თავდაპირველი ფუნქციაა მოქმედების საწყისი პუნქტის აღნიშვნა.

სამხრულ მეტყველებაში დასტურდება –ში თანდებულის ამოსავალი ფორმა შიგან, ზოგჯერ კი ში>ჩი'ს. დიალექტებს დაუცავს არქაული ვითარება: -ში თანდებულიანი ფორმების გვერდით იხმარება უთანდებულო მიცემითიც. ფაქტი საყურადღებოა ქართული ენის ისტორიისათვის.

-თვის თანდებული შავშურში გვხვდება -თვინ||თინ||თუნ ფორმითაც. ანალოგიური ფორმები გვხვდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

-კენ თანდებული იხმარება –კე ფორმითაც, რითაც სამხრული კილოები ანალოგს ავლენენ ქართული ენის ბევრ კილოსთან.

ხმოვანფუძიან სახელებზე –თან თანდებულის დართვის შემდეგ იკარგება ბრუნვის ნიშანი (-ს). გვაქვს თანდებულისეული /თ/ თანხმოვნის ჩავარდნის შემთხვევებიც: დასთან>დასან.

შავშურში, როგორც გურულსა და აჭარულში გვხვდება –თვის თანდებულის ბადალი –იზა//იზდა.

უკან ზმნისართული თანდებული იხმარება „შემდეგ“-ის მნიშვნელობით. უკან'ს ანალოგიური დატვირთვა აქვს აჭარულში, კლარჯულსა და ტაოურში. უკან შემდეგ'ის მნიშვნელობით სამხრული მეტყველების კუთვნილებაა.



12. ბრუნვების ფუნქციები კარგადაა გამოკვეთილი კლარჯულში, ასევე, სხვა სამხრულ კილოებში; ნაწილი ფუნქციებისა გვხვდება უფრო ხშირად, ნაწილი კი იშვიათად. გვხვდება სალიტერატურო ქართულისაგან და სხვა კილოებისაგან განსხვავებული შემთხვევებიც.

13. სახელის მრავლობითს აწარმოებს -ებ, ნ/თ სუფიქსები. ნორმა ჩანს -ებ'იანი წარმოება, ნარ-თან'იანი წარმოება იშვიათია. შეიძლება ითქვას, რომ რიცხვის წარმოება სამხრულ კილოებში ძირითადად მიჰყვება ქართული ენის ნორმას, თუმცა გვაქვს თავისებურებებიც, რაც კლარჯული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

14. დიალექტოლოგები ამა თუ იმ დიალექტის აღწერისას, ცალკეული გრამატიკული ფაქტისა თუ მოვლენის ანალიზისას ჩვეულებრივ მსჯელობენ ცალკეულ თავისებურებებზე, რომლებიც დასტურდება ამა თუ იმ დიალექტში. ხშირ შემთხვევაში, ჭირს ამ თავისებურების გააზრება სხვა ფორმებთან მიმართებით, ამ თავისებურების ადგილის გარკვევა საერთო ენობრივ სისტემაში; ანუ: ამ თავისებურებების გააზრება სისტემის წევრად. ნაშრომში წარმოდგენილია ბრუნვის პარადიგმი და ამ პარადიგმებში წარმოჩენილია თავისებური ფორმები, რასაც ამ თავისებურებათა ანალიზისათვის და არსებული ენობრივი ტენდენციების გარკვევისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე, 2002: აფრიდონიძე შუქია, ჩვენი ენა ქართული, თბილისი;
2. ბაქრაძე, 1987: ბაქრაძე დავით, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი;
3. ბარამიძე 2014: ბარამიძე მ., კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული ტ. IX, 2014 წ. ბათუმი;
4. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1985: გამყრელიძე თამაზ, მაჭავარიანი გივი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი;
5. გოგოლაშვილი, 2011: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით) თბილისი;
6. გოგოლაშვილი, 2016: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები (გიორგი გოგოლაშვილის რედაქციით), თბილისი;
7. ვეიდენბაუმი, 2005: ვეიდენბაუმი ევგენი, ბათუმიდან ართვინამდე, თბილისი;
8. ზურაბიშვილი, 1972: ზურაბიშვილი თამარ, ემფატიკური ა ახალ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბილისი;
9. იმნაიშვილი, 1957: იმნაიშვილი ივანე, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში.
10. იმნაიშვილი, 2006: იმნაიშვილი გრიგოლ, გურული დიალექტი, თბილისი;
11. კლარჯეთი 2016: ფალავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მაია, ჩოხარაძე მალხაზ, შიომვილი თინა, მამულაძე შოთა, ხალვაში რამაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, კარალიძე ჯემალ, კლარჯეთი, მონოგრაფია, თბილისი;
12. ლეჟავა, 1958: ლეჟავა ლ., ზემო იმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, IX-X, თბილისი;
13. ლომსაძე შ: ლომსაძე შოთა, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი;

14. **მარი, 2012:** მარი ნიკო, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი;
15. **მარტიროსოვი, 1946:** მარტიროსოვი არამ, თანდებული ქართულში, იკე, I, თბილისი;
16. **მარტიროსოვი, 1984:** მარტიროსოვი არამ, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი.
17. **მარტიროსოვი, 1947:** მარტიროსოვი არამ, ზმნიზედის, თანდებულისა და კავშირის ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, ტ. II, თბილისი;
18. **მასალები, 2005:** ტაოური მეტყველების ნიმუშები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. IV, ბათუმი.
19. **მასალები, 2009:** კლარჯული მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. VI, ბათუმი;
20. **მასალები, 2013:** ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველება, მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, ტ. VII, ბათუმი;
21. **მასალები, 2014 (I):** კლარჯული კილო, მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. VIII, ბათუმი;
22. **მასალები, 2014 (II):** კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება, მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. IX, ბათუმი;
23. **მასალები, 2015:** ჭოროხის აუზის ტოპონიმია, მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. X, ბათუმი;
24. **მიქელაძე 1991:** მიქელაძე ა., წერილები აჭარიდან, თბილისი.

25. **ნაჭყეზია, 2011:** ნაჭყეზია მერაბ, ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა კლასიფიკაციის საკითხისათვის ქართველურ ენათა კილოებში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III, თბილისი;
26. **ნიჟარაძე, 1975:** ნიჟარაძე შოთა, აჭარული დიალექტი, ბათუმი;
27. **სურმავა, 2011:** სურმავა ნარგიზა, ლაზურის ინტერფერენციული გავლენა ჭოროხის ხეობის ქართულ მეტყველებაზე, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ტ. II, ბათუმი;
28. **უთურგაძე, 1991:** უთურგაძე თედო, სახელის მორფონოლოგიური ანალიზი ქართულში, თბილისი;
29. **ფარტენაძე 2016:** ფარტენაძე ნ., ბგერის დაკარგვისა და ჩართვის შემთხვევები შავშურში, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, 12, 2014წ. ქუთაისი
30. **ფალავა, 2003:** ფალავა მამია, სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი;
31. **ფალავა 2004:** ფალავა მამია, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი 2004 წ.
32. **ფალავა, 2006:** ფალავა მამია, ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი, ბსუ-ს შრომები, ტ. V, ბათუმი;
33. **ფალავა, 2011 (I):** ფალავა მამია, თანდებული შავშურში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III, თბილისი;
34. **ფალავა, 2011 (II):** ფალავა მამია, შავშური ჩანაწერები, თბილისი;
35. **ფალავა, 2012:** ფალავა მამია, წინასიტყვაობა გამოცემისთვის: ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი.
36. **ფალავა, ცეცხლაძე 2015 (I):** აჭარული კილოს თავისებურებანი. ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ფილოლოგიური მაცნე III. თბილისი;

37. **ფალავა, ცეცხლაძე 2015 (II):** . კლარჯული კილო, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, საენათმეცნიერო ძიებანი XXXVIII, თბილისი;
38. **ფალავა, ცეცხლაძე 2015 (II):** ტაოური კილო, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები საენათმეცნიერო ძიებანი XXXVIII, თბილისი;
39. **ფალავა, ცეცხლაძე 2015 (II):** შავშური კილო, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები XIII, თბილისი;
40. **ფალავა, 2016:** ფალავა მამია, მუჰაჯირთა შთამომავლებთან, თბილისი;
41. **ფალავა, ცეცხლაძე, 2016** – მამია ფალავა, ნანა ცეცხლაძე, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები. ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიური მაცნე, 3, თბილისი.
42. **ფუტკარაძე, 1993:** ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი;
43. **ფუტკარაძე, 2016:** ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი;
44. **ფუტკარაძე 2014:** ფუტკარაძე ტარიელ, ქართველოლოგიის შესავალი, თბილისი;
45. **ქუთელია, 2012:** ქუთელია ნათელა, ანლაუტისა და აუსლაუტის სტრუქტურისათვის. წიგნში: ქართველოლოგიური კვლევები, თბილისი;
46. **ლუტიძე, 2010:** ლუტიძე ინგა, მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები. „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, ტ. XII;
47. **ყაზბეგი, 1995:** ყაზბეგი გიორგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი;
48. **შავშეთი, 2011:** შავშეთი, მონოგრაფია, ავტორები: მამია ფალავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაზ ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტკარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, თბილისი;
49. **შაშიკაძე 2013:** შაშიკაძე ზაზა, ქართველთა მუჰაჯირობა თურქეთის შავი ზღვის რეგიონში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლე-

- ბისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული VII, ბათუმი;
50. **ჩიქობავა, 1942:** ჩიქობავა არნოლდ, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი;
  51. **ჩიქობავა, 2010:** ჩიქობავა არნოლდ, ერთი უცნობი თანდებული ქართულში, თხზ. ტ. II, თბილისი;
  52. **ჩიქობავა, 2011:** ჩიქობავა არნოლდ, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, შრომები, ტ II, თბილისი;
  53. **ჩოხარაძე, 2009:** ჩოხარაძე მალხაზ, ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, რსუ-ს ქრისტიანული კვლევის ცენტრის კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, ტ. I, ბათუმი.
  54. **ჩოხარაძე, 2013:** ჩოხარაძე ვარდო, თურქიზმები ქართული ენის სამხრულ დიალექტებში, დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი;
  55. **ჩოხარაძე... 2014 (I):** ჩოხარაძე მალხაზ, ჩოხარაძე თამარ, ქართული ენა თანამედროვე თურქეთში, თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.
  56. **ჩოხარაძე... 2014 (II):** ჩოხარაძე მალხაზ, ჩოხარაძე თამარ, ქართული ენა და სოფლები ბურსის პროვინციაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - II“ მასალები; ბათუმი.
  57. **ჩოხარაძე... 2015:** ჩოხარაძე მალხაზ, ჩოხარაძე თამარ, ქართული დასახლებები გირესუნის პროვინციაში, XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი;

58. **ჩოხარაძე, 2016 (I):** ჩოხარაძე მალხაზ, ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში, წიგნი პირველი, მარმარილოს ზღვის რეგიონი, ბათუმი;
59. **ჩოხარაძე... 2016 (II):** ჩოხარაძე მალხაზ, მასალები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებითვის თურქეთის შავიზღვისპირეთში, აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები, ტ. VI, 2016 წ., ბათუმი.
60. **ცეცხლაძე, 2004:** ცეცხლაძე ნუგზარ, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი;
61. **ცინცაძე, 1954:** ცინცაძე მერი, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, ტ. I, ბათუმი;
62. **ცინცაძე... 1998:** ცინცაძე მერი, ფაღავა მამია, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), თბილისი.
63. **ცინცაძე, 2001:** ცინცაძე მერი, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება; XXI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.
64. **ცინცაძე, 2015 –** მერი ცინცაძე, „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციისათვის კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, 10, ბათუმი.
65. **ჭიჭნაძე, 1913:** მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბილისი;
66. **ჯორბენაძე, 1989:** ჯორბენაძე ბესიკ, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი;
67. **ჯორბენაძე, 1995:** ჯორბენაძე ბესიკ, ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი;
68. **ხახუტაიშვილი 2014:** ხახუტაიშვილი მ., სალექსიკონო მასალა ქობულეთური კილოკავისათვის (ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული ტ. IX, 2014 წ. ბათუმი;
69. **Artvinli 2013:** Artvinli T., Artvin Yer Adları Sözlüğü, Istanbul.

შემოკლებანი (თურქეთში არსებული ქართული დასახლებების განმარტება)

N	შემოკლება ტექსტში	სოფლის დასახელება	თურქ. პროვინცია	რაიონი
1.	ა.	აგარა	ართვინი	შავშათი
2.	ადაგ.	ადაგული	ართვინი	ბორჩხა
3.	ადლ.	ადლიე	ბურსა	ოსმენელი
4.	ავ.	ავანა	ართვინი	ბორჩხა
5.	ახალდ.	ახალდაბა	ართვინი	შავშათი
6.	ბალ.	ბალჯიდედე	ბალიქესირი	გონენი
7.	ბაგ.	ბაგინი	ართვინი	ბორჩხა
8.	ბაზგ.	ბაზგირეთი	ართვინი	შავშათი
9.	ბალაბ.	ბალაბანი	ქოჯაელი	ქართეფე
10.	ბაშქ.	ბაშქოი	ართვინი	მურღული
11.	ბელ.	ბელდიბი	საქარია	აქიაზი
12.	ბზ.	ბზათა	ართვინი	შავშათი
13.	ბორ.	ბორჩხა	ართვინი	ბორჩხა
14.	ბრ.	ბრილი	ართვინი	შავშათი
15.	ბუჯ.	ბუჯური	ართვინი	მურღული
16.	გულ.	გულდიბი	საქარია	ჰენდექი
17.	გურ.	გურბინი	ართვინი	მურღული
18.	გუჯ.	გუჯუჯექი	საქარია	აქიაზი
19.	დ.	დაბა	ართვინი	შავშათი
20.	დავ.	დავლათი	ართვინი	შავშათი
21.	დამუდ.	დამუდერე	გირესუნი	ბულანჯაქი
22.	დას.	დასამობი	ართვინი	შავშათი
23.	დევსქ.	დევსქელი	ართვინი	ბორჩხა
24.	დეირ.	დეირმანჯილი	სინოპი	ერფელიქი
25.	დიო.	დიობანი	ართვინი	შავშათი
26.	დუა.	დუაიერი	ორდუ	ფაცა
27.	ელიას.	ელიასხევი	ართვინი	იუსუფელი
28.	ერენ.	ერენქოი (ერეგუნა)	ართვინი	მურღული
29.	ვერხვ.	ვერხვნალი	ართვინი	შავშათი
30.	ზ.	ზიოსი	ართვინი	შავშათი
31.	ზაქ.	ზაქიეთი	ართვინი	შავშათი
32.	ზენ.	ზენაგარა	ართვინი	შავშათი
33.	თახთ.	თახთაბაში	ორდუ	ფაცა
34.	თეთ.	თეთრაკეთი	ართვინი	შავშათი
35.	თეფ.	თეფექოი	გირესუნი	ფირაზიზი



36.	თექ.	თექქირაზი	ორდუ	უნიე
37.	თემ.	თეშვიქიე	იალოვა	ჩინარჯიქი
38.	თხილ.	თხილაზორი	ართვინი	ბორჩხა
39.	იან.	იანიქი	საქარია	საფანჯა
40.	იბრ.	იბრაქლი (ებრიკა)	ართვინი	ბორჩხა
41.	იემ.	იეშილვადი	საქარია	ჰენდექი
42.	ივ.	ივეთი	ართვინი	შავშათი
43.	ისკ.	ისკები	ართვინი	მურლული
44.	იუვ.	იუვაქოი	ორდუ	გოლქოი
45.	იუჯ.	იუჯელერი	ორდუ	უნიე
46.	იფხ.	იფხრეული	ართვინი	შავშათი
47.	იჯ.	იჯადიე	ქოჯაელი	გოლჯუქი
48.	კაბაქ.	კაბაქდალი	ორდუ	ფაცა
49.	კოკ.	კოკბერეთი//კოკვერეთი	ართვინი	ართვინის ცენტრ.
50.	კუმ.	კუმჩა	სამსუნი	თერმე
51.	მან.	მანატბა	ართვინი	შავშათი
52.	მარმ.	მარმაწმინდა	ართვინი	შავშათი
53.	მაჩხ.	მაჩხატეთი	ართვინი	შავშათი
54.	მელენ.	მელანაღზი	დუზჯე	აქჩაკოჯა
55.	მერჯ.	მერჯიმექდუზი	თოქათი	ნიქსარი
56.	მურათ.	მურათლი (ზ/ მარადიდი)	ართვინი	ბორჩხა
57.	მურკ.	მურკვეთი	ართვინი	ბორჩხა
58.	მუს.	მუსლუბეი	სამსუნი	სალიფაზარი
59.	ნაფ.	ნაფურნევის იაილა	ართვინი	შავშათი
60.	ნიოლ.	ნიოლეთი	ართვინი	შავშათი
61.	ნუს.	ნუსრეთიე	ქოჯაელი	ქართეფე
62.	საზგ.	საზგირელი	ართვინი	შავშათი
63.	სოფ.	სოფულარი	ქოჯაელი	გოლჯუქი
64.	სვირ.	სვირევანი	ართვინი	შავშათი
65.	სინკ.	სინკოთი	ართვინი	შავშათი
66.	სუდ.	სუდერე	ორდუ	ფაცა
67.	სხლობ.	სხლობანი	ართვინი	შავშათი
68.	ტბ.	ტბეთი	ართვინი	შავშათი
68.	ტრაპ.	ტრაპენი	ართვინი	ბორჩხა
70.	უ.	უბე	ართვინი	შავშათი
71.	უსტ.	უსტამისი	ართვინი	შავშათი
72.	ფ.	ფაცა	ორდუ	ფაცა
73.	ქართ.	ქართლა	ართვინი	ართვინის ცენტრ.
74.	ქლასკ.	ქლასკური	ართვინი	ბორჩხა
75.	ქორ.	ქორგანი	ორდუ	ქორგანი

76.	ქუაბ.	ქუაბაგი	ართვინი	იუსუფელი
77.	ყვირ.	ყვირალა	ართვინი	შავშათი
78.	შერ.	შერეფიე	საქარია	გეივე
79.	შოლტ.	შოლტისხევი	ართვინი	შავშათი
80.	ჩ.	ჩიხორი	ართვინი	შავშათი
81.	ჩათ.	ჩათალფინარი	ორდუ	უნიე
82.	ჩაქ.	ჩაქველთა	ართვინი	შავშათი
83.	ჩიხ.	ჩიხთა	ართვინი	შავშათი
84.	ცუც.	ცუცეკარი	ართვინი	იუსუფელი
85.	წეთ.	წეთილეთი	ართვინი	შავშათი
86.	წით.	წითლეკკარი	ართვინი	იუსუფელი
87.	წყალს.	წყალსიმერი	ართვინი	შავშათი
88.	ჭილ.	ჭილათი	ართვინი	იუსუფელი
89.	ჭუარ.	ჭუარები	ართვინი	შავშათი
90.	ხ.	ხეზა	ართვინი	ბორჩხა
91.	ხანთ.	ხანთუშეთი	ართვინი	შავშათი
92.	ხევწ.	ხევწრული	ართვინი	შავშათი
93.	ხოხ.	ხოხლევი	ართვინი	შავშათი
94.	ჯვარ.	ჯვარისხევი	ართვინი	შავშათი
95.	ჯივ.	ჯივანი	ართვინი	ბორჩხა
96.	ჰაირ.	ჰაირიე	ბურსა	ინეგოლი
97.	ჰამ.	ჰამიდიე	ბურსა	ინეგოლი
98.	ჰაჯ.	ჰაჯეთი	გირესუნი	ბულანჯაქი